# ჩვენი მწერლობა

**14**
**2016**

ISSN 1987-7587



Georgian Foundation for Strategic and International Studies

ჟურნალი მოამზადა საქართველოს სტრატეგიისა
და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდმა.

ყველა უფლება დაცულია ©

მთავარი რედაქტორი: **ეკატერინე მეტრეველი**

რედაქტორ-კორექტორი: **რუსუდან მარგიშვილი**

დიზაინერი და დამკაბადონებელი: **ირინა კაჭარავა**
**გიორგი ახუაშვილი**

ISTUDIO

სარედაქციო კოლეგია:

**ნინო რამიშვილი**
**კახა გოგოლაშვილი**
**თამარ რამიშვილი**

სტატიების ავტორები:

**მიხეილ ბახტაძე**
**თორნიკე შარაშენიძე**
**რევაზ თოფურია**
**ზაზა ოსმანოვი**
**გიორგი აბაშიძე**
**ზურაბ კიკნაძე**
**ნინო ჩხობაძე**
**ინესა მერაბიშვილი**
**გიორგი თარხან-მოურავი**

ჩვენი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა ჟურნალში
გამოყენებული ზოგიერთი ფოტოს საავტორო უფლების
მფლობელის ვინაობის დადგენა. გამოხმაურების შემთხვევაში
გამომცემელი მზადაა დაიცვას საავტორო უფლებები.



**გარეკანზე: სინგაპური დღეს**

**ჟურნალის ელექტრონული ვერსია იხ. ვებგვერდზე: www.gfsis.org**

ჟურნალი დაფინანსებულია აშშ-ის საელჩოს მიერ.
გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით
ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ის სა-
ხელმწიფო დეპარტამენტის თვალსაზრისს.

**ISSN 1987-7587**

14 / 2016

ჟურნალი ახალგაზრდებისათვის

# ს ა რ ჩ ე ვ ი

**ისტორია**

მიხეილ ბახტაძე
1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყება საქართველოში — 4

**ცნობილი ადამიანები**

თორნიკე შარაშენიძე
დიპლომატიის გენია — 12

**მოდერნიზაცია**

რევაზ თოფურია
ლი კვან იუ – ადამიანი, რომელმაც შექმნა ერი — 20

**მეცნიერება**

ზაზა ოსმანოვი
მარტონი ვართ თუ არა სამყაროში? — 32

**დიდი ქართველები**

გიორგი აბაშიძე
კიტა აბაშიძე — 44

**ცივილიზაცია**

ზურაბ კიკნაძე
აშოკა – „ღმერთების ნებიერი, მეფე მაღლამხედი“ — 50

**გარემო**

ნინო ჩხობაძე
ნარჩენები — 60

**ლიტერატურა**

ინესა მერაბიშვილი
შექსპირის ვინაობის კვალდაკვალ — 74

**ქართველები უცხოეთში**

გიორგი თარხან-მოურავი
აფხაზებისა და მათი ლამაზი ბაღის თავგადასავალი — 82

კროსვორდი — 90



# 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყება საქართველოში

მიხეილ ბახტაძე

1922 წლის აპრილ-მაისში იტალიის ქალაქ გენუაში საერთაშორისო კონფერენცია მიმდინარეობდა, რომელსაც დაახლოებით ოცდაათი სახელმწიფოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კონფერენციას წერილი გაუგზავნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ. ქართული ეკლესიის მწყემსმთავრის წერილში ჩამოყალიბებული იყო ორი მთავარი მოთხოვნა: „დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან; საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოდ, მოაწყოს თავისი თავი ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებასა და ეროვნულ კულტურას შეესაბამება. სრული იმედი მაქვს, რომ მაღალპატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულებელყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემი პირით წარმოთქმულს, და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან“.



გენუის კონფერენცია გაიმართა 1922 წლის 20 აპრილიდან 19 მაისამდე. ამ კონფერენციაზე შეიკრიბნენ 34 ქვეყნის წარმომადგენლები, რათა განეხილათ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ გაჩენილი გლობალური ეკონომიკური პრობლემები. მთავარი მიზანი იყო ომის შემდეგ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, განსაკუთრებით რუსეთის, მოწყობის სტრატეგიის შემუშავება და ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებსა და ახალ რუსულ ბოლშევიკურ რეჟიმს შორის ურთიერთობებზე მოლაპარაკება.

კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვა იყო ერთი, თუმცა მნიშვნელოვანი ეპიზოდი იმ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა, რომელიც საქართველოში 1921 წელსვე დაიწყო, მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაიპყრო.



პატრიარქი ამბროსი ხელაია



ქართველი წითელარმიელები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ხევსურეთის 1922 წლის ამბოხების და 1924 წლის ეროვნული აჯანყების ჩახშობაში. პირველ რიგში, მარჯვნიდან მეშვიდე, ლეიტენანტი კონსტანტინე ლესელიძეა.

მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლების პარალელურად, დაკარგული თავისუფლების დასაბრუნებლად, იყო შეიარაღებული ბრძოლაც. 1921 წლის შემოდგომაზე ანტისაბჭოთა აჯანყება დაიწო სვანეთში, რომელშიც 2 ათას კაცამდე მონაწილეობდა. საბჭოთა ხელისუფლებამ მხოლოდ 1922 წლის ზაფხულში შეძლო სვანეთში საკუთარი ძალაუფლების აღდგენა. პარტიზანული რაზმები მოქმედებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. კახეთში მათ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი ხელმძღვანელობდა, ქართლში – მ. ლაშქარაშვილი, გურიაში – ს. მანწკავა.

1922 წლის მარტში შეიქმნა „სამხედრო ცენტრი", ორგანო, რომელსაც უნდა მოემზადებინა და შემდგომში ეხელმძღვანელა ანტისაბჭოთა აჯანყებისთვის. „სამხედრო ცენტრის" წევრები ცნობილი ქართველი სამხედროები იყვნენ. იმავე წლის აპრილში საქართველოში უკვე არალეგალურად მოქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა დააარსეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" (მას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ – „დამკომი", „პარიტეტული კომიტეტი", „ინტერპარტიული კომიტეტი"). კომიტეტს აჯანყების მომზადების საერთო ხელმძღვანელობა დაევალა. 1922 წლის ზაფხულში ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით აჯანყება დაიწყო ფშავ-ხევსურეთში. ქაქუცამ თავის თანამებრძოლებთან ერთად, რომლებსაც „შეფიცულებს" უწოდებდნენ, რამდენიმე შეტაკებაში (მაღაროსკარში და ორწყალთან) შეძლო საბჭოთა მილიციელებისა და წითელარმიელების დამარცხება. სამწუხაროდ, ძალები არათანაბარი იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო აჯანყების ჩახშობა, „შეფიცულებმა" თავი ტყეს შეაფარეს და პარტიზანული ბრძოლა განაგრძეს.

საბჭოთა ხელისუფლება და მისი სპეცსამსახური – საგანგებო კომისია (ე.წ. „ჩეკა" – რუს. Чрезвычайная Комиссия) – ყველაფერს აკეთებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად. იჭერდნენ და დევნიდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლ მამულიშვილებს. საკუთარი აგენტურის წყალობით საბჭოთა ხელისუფლებას ჰქონდა გარკვეული ინფორმაცია „სამხედრო ცენტრისა" და „დამკომის" მუშაობის



პოლკოვნიკი ᲥᲐᲘᲮᲝᲡᲠᲝ (ᲥᲐᲥᲣᲪᲐ) ᲩᲝᲚᲝᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ (1888-1930) პირველ მსოფლიო ომში ლეიტენანტის ჩინით იბრძოდა ჯერ ავსტრიის, შემდეგ – კავკასიის ფრონტზე. თავი გამოიჩინა სარიყამიშის ბრძოლის დროს. დააჯილდოვეს ოქროს ხმლით. მძიმედ დაჭრილი ჩამოიყვანეს თბილისში. 1916 წელს გახდა გენერალ დავით ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული ქართველ ცხენოსანთა ათასეულის წევრი და მონაწილეობა მიიღო სპარსეთის ფრონტზე განხორციელებულ ცნობილ რეიდში (სპარსეთიდან მესოპოტამიაში). 1918-1920 წლებში მსახურობდა სახალხო გვარდიის ცხენოსან ნაწილში. მონაწილეობდა სომხეთთან ომში, სამხედრო მოქმედებებში სოჭის ოლქში. 1921 წლის ომის დროს გენერალ დავით ჭავჭავაძესთან ერთად გაიგზავნა დასავლეთ საქართველოში საკავალერიო ნაწილების ჩამოსაყალიბებლად. მონაწილეობა მიიღო ბათუმიდან ქემალისტების განდევნაში. ემიგრაციაში არ წასულა. გახდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. 1924 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ „შეფიცულებთან" ერთად გაემგზავრა საფრანგეთში, ემიგრაციაში.



ფოტო გადაღებულია საფრანგეთში ემიგრაციაში ყოფნისას

**ვალიკო ჯუღელი** (1887-1924) – სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი. სახალხო გვარდიის შტაბის უფროსი (გვარდიის ფაქტობრივი სარდალი) უშუალოდ მონაწილეობდა 1918-1921 წლებში მომხდარ თითქმის ყველა ბრძოლაში. გამოირჩეოდა საოცარი ვაჟკაცობითა და სიმამაცით. უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა გვარდიის მეთაურებსა და წევრებს შორის. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩაახშეს 1920 წლის ანტისახელმწიფოებრივი აჯანყება ცხინვალის რეგიონში. 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაში მყოფი საქართველოში დაბრუნდა 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების მოსამზადებლად, მაგრამ დააპატიმრეს და იმავე წლის აგვისტოში დახვრიტეს.

შესახებ. ხელისუფლებამ ისიც იცოდა, რომ მზადდებოდა დიდი აჯანყება, თუმცა ზუსტი გეგმები მისთვის უცნობი იყო. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის დიდი დარტყმა იყო „სამხედრო ცენტრის“ განადგურება. 1923 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა სპეცსამსახურებმა შინაგამცემის დახმარებით შეძლეს „სამხედრო ცენტრის“ წევრთა დაპატიმრება. 19 მაისს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიისა და  საქართველოს საგანგებო კომისიის ხელმძღვანელთა გაერთიანებული სხდომა ჩატარდა, რომელზეც „სამხედრო ცენტრის“ წევრებს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯეს. საგანგებოდ აღინიშნა, რომ განაჩენი 24 საათში უნდა აღსრულებულიყო. 21 მაისს, გამთენიისას, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე დახვრიტეს თხუთმეტი ქართველი მამულიშვილი: გენერალი კოტე აფხაზი, გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გენერალი ვარდენ წულუკიძე, პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი, პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი, პოლკოვნიკი ალექსანდრე მაჭავარიანი, პოლკოვნიკი ელიზბარ გულისაშვილი, ნიკოლოზ ზანდუკელი, სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი, ფარნაოზ ყარალაშვილი, იასონ კერესელიძე, ივანე ქუთათელაძე, სიმონ ჭიაბრიშვილი, ლევან კლიმიაშვილი, დიმიტრი ჩრდილელი. „სამხედრო ცენტრის“ საქმე განაგრძო „დამკომთან“ შექმნილმა „სამხედრო კომისიამ“.

აჯანყების ხელმძღვანელთა მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, აჯანყება ერთდროულად უნდა დაწყებულიყო მთელ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში 1924 წლის 17 აგვისტოს. თბილისზე დარტყმა სამი მხრიდან უნდა განეხორციელებინათ ქაქუცა ჩოლოყაშვილის, მიხეილ ლაშქარაშვილისა და ირაკლი ცაგურიას რაზმებს, მაგრამ ვითარება შეიცვალა. საგანგებო კომისიამ 6 აგვისტოს დააპატიმრა ემიგრაციიდან საგანგებოდ აჯანყების ხელმძღვანელობისათვის დაბრუნებული ვალიკო ჯუღელი. ამან აჯანყების ხელმძღვანელთა შორის დაბნეულობა გამოიწვია და გარკვეული პესიმიზმიც გააჩინა. ხელისუფლებამ კი უფრო აქტიური მოქმედება დაიწყო. თბილისში დააბრუნეს მანევრებზე გაყვანილი საჯარისო ნაწილები. საღამოს 9 საათის შემდეგ აიკრძალა დედაქალაქიდან გასვლაცა და შემოსვლაც. ხალხის დაპატიმრება რაიონებშიც დაიწყეს. სოლომონ ზალდასტანიშვილი იგონებდა: „მთავარსარდალმა გენერალმა ჭავჭავაძემ ძალების შესუსტება იგრძნო და შეხვედრა მთხოვა. ბაასის დროს გაირკვა, რომ მთავარსარდალს აჯანყების გამარჯვების იმედი დაჰკარგვოდა და მთხოვა „დამკომისთვის“ გადამეცა, რომ ამ პირობებში გამოსვლა შეუძლებელი ხდება. იმ საღამოსვე ვინახულე იასონ ჯავახიშვილი და გადავეცი მთავარსარდლის აზრი... იასონ ჯავახიშვილმა „დამკომში“ მოითხოვა მთავარსარდლის გადაყენება და მის მაგიერ პოლკოვნიკ ქაქუცა ჩოლოყაშვილის კანდიდატურა წამოაყენა. „დამკომმა“ ეს წინადადება არ მიიღო და მთავარსარდლად ისევ გენერალი ჭავჭავაძე დასტოვა. შეცვლილმა მდგომარეობამ დამუშავებული გეგმის შეცვლა გამოიწვია. „დამკომისა“ და მთავარსარდლის აზრით თბილისი აჯანყების ცენტრად ველარ გამოდგებოდა“.

გადაწყდა აჯანყების თარიღი შეეცვალათ. ქაქუცასთან მოსათათბირებლად 15 აგვისტოს თბილისიდან სოლომონ ზალდასტანიშვილი გაიგზავნა.

აი, როგორ აღწერს ქაქუცასთან შეხვედრას ზალდასტანიშვილი: „ქაქუცასთან უკვე თავი მოეყარათ მანგლისისა და დიღმის რაიონების წარმომადგენლებს და განკარგულებას ელოდნენ... პირველი გეგმის შესასრულებლად მას 17 აგვისტოსთვის 600 კაცამდე უგროვდებოდა და ეს ძალა თბილისზე იერიშის მისატანად მთლად საკმარისი იყო. მით უმეტეს, რომ თბილისში სხვა რაზმები უნდა დახვედროდა. ქაქუცა დარწმუნებული იყო, რომ ერთ ღამეში რუსებს თბილისიდან გარეკავდა, მაგრამ როცა შევატყობინე სინამდვილე, ქაქუცას გული გაუფუჭდა, დაღონდა, გეგმის შეცვლა არ ესიამოვნა, აჯანყების გადადებამ კვლავ ააღელვა. ბოლოს იძულებული იყო „დამკომის“ და მთავარსარდლის დადგენილებას და-



**სოლომონ (სოლიკო) ზალდასტანიშვილი (1891-1941)**

1913 წელს დაამთავრა წმ. ვლადიმირის სამხედრო სასწავლებელი და იმავე წელს ოფიცრის ხარისხით დაინიშნა თურქისტანის მერვე პოლკში. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში და ორჯერ მძიმედ დაიჭრა. 1917 წელს, რუსეთის რევოლუციის შემდეგ, სოლომონ ზალდასტანიშვილი პოდპოლკოვნიკის ჩინით სამშობლოში დაბრუნდა. 1918-1921 წლებში იყო საქართველოს ეროვნული გვარდიის პოლკოვნიკი და სხვადასხვა ფრონტზე იბრძოდა. 1923 წელს სოლომონ ზალდასტანიშვილი შევიდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში, რომელსაც გენერალი კოტე აფხაზი თავმჯდომარეობდა. გახდა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ (დამკომი) და მასთან შექმნილი „სამხედრო ცენტრის“ წევრი. აჯანყების დამარცხების შემდეგ დატოვა საქართველო და ემიგრაციაში წავიდა.

მორჩილებოდა, მაგრამ დამისვა შემდეგი პირობები: „ხომ ხედავ, ხალხი თავს იყრის და თუ დროზე გამოვედით, იმედი მაქვს, რაზმს უფრო გავაძლიერებ, თუ გამოსვლა 20 აგვისტოს არ მოხდა, მაშინ თბილისთან ახლოს ტყეში ამდენ ხალხს ვერ შევინახავ, სანოვაგის საკითხი ამისთვის მოგვარებული არ მაქვს და იძულებული გავხდები რამდენიმე დღის შემდეგ ხალხი სოფელში დავაბრუნო. ახლო მომავალში მათი თავის მოყრა ადვილი აღარ იქნება. მინამ გლეხკაცი პურს და ღვინოს არ დააბინავებს, აღარ გამოვა. რადგან გადადება აუცილებელია, მაშინ გონიერება მოითხოვს, აჯანყება ოქტომბრისთვის გადაიდოს“. ქაქუცას მოსაზრება სავსებით გავიზიარე და დარწმუნებული ვიყავი, რომ „დამკომი“ და მთავარსარდალი ამ შეხედულებას მხედველობაში მიიღებდა“.

20 აგვისტოს გამართულმა „დამკომის“ სხდომამ აჯანყების დაწყების თარიღის განსაზღვრა ხუთ კაცს მიანდო. ამ ხუთმა კაცმა – კოტე ანდრონიკაშვილმა, იასონ ჯავახიშვილმა, შალვა ამირეჯიბმა, სპირიდონ ჭავჭავაძემ და დავით ონიაშვილმა – 24 აგვისტოს მიიღეს გადაწყვეტილება, რომ აჯანყება დაწყებულიყო 29 აგვისტოს 2 საათზე და აჯანყების შტაბი გადასულიყო ქაქუცას ბანაკში. 25 აგვისტოს კოტე ანდრონიკაშვილმა, იასონ ჯავახიშვილმა, შალვა ამირეჯიბმა და სპირიდონ ჭავჭავაძემ თბილისი დატოვეს და ქაქუცასთან მივიდნენ. აჯანყების მთავარსარდლად გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე იყო დანიშნული.

აჯანაყების დაწყების დათქმულ დღემდე ერთი თუ ორი დღით ადრე ქაქუცა ჩოლოყაშვილს გადაეცა აჯანყების დროშა. ალექსანდრე კარგარეთელი იგონებდა: „საღამოს გაიმართა ალლუმი. ბატონმა კოტე ანდრონიკაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა ქაქუცას მოქმედებაზე. მიულოცა ეროვნული გმირობა, გადასცა დროშა და უსურვა გამარჯვება. ყველამ „ვაშა! გაუმარჯოს ქაქუცას! გაუმარჯოს საქართველოს!“ – შევძახეთ“.

გათენდა 28 აგვისტო. აჯანყებამდე ერთი დღეღა იყო დარჩენილი. აი, როგორ იხსენებს ამ დღეს ს. ზალდასტანიშვილი: „ალაგს ვერ ვპოულობდი და სანატრელს წუთებს, ღამის ორ საათს, მოუთმენლად ველოდებოდი. ნასადილევს გახარებულმა ბავშვმა გაზეთი შემომიტანა – ძია წაიკითხე, რა კარგი ამბები სწერიაო. გავშალე გაზეთი და ჩემს თვალებს არ დავუჯერე: ჭიათურა 28 აგვისტოს დილით 2 საათზე გამოსულიყო და აჯანყებულ ხალხს ქალაქი დაეკავებინა. ე.ი. ჭიათურა გამოვიდა 24 საათით ადრე, ვიდრე საჭირო იყო. თავბრუ დამეხვია, კანკალმა ამიტანა, მარწუხებით შეპყრობილმა არ ვიცოდი რა მექნა! რით მეშველა!? ამის წამკითხველი მეტყვის, კიდევ იყო გამოსავალი. დიახ, მეც ვიგრძენი, რომ იყო... მხოლოდ ამისთვის საჭირო იყო ელვის სისწრაფით გვემოქმედა და იმ წუთშივე ყველგან და განსაკუთრებით თბილისში აჯანყება დაგვეწყო. მაგრამ როგორ მოგვეწყო ანდა ვინ იკისრებდა ამდენი შეცდომების გამოსწორებას. მთავარსარდალი და ხელმძღვანელი ორგანო 20 კილომეტრით იყო თბილისიდან დაშორებული და ტექნიკურად მოწყვეტილი ჩვენგან. ამბოხების პირობებში ყოველ დაგვიანებულ წუთს მნიშვნელობა აქვს. გარემოება ისეთი შეიქმნა, რომ ჭიათურაში 24 საათით ადრე გამოსვლამ დრო და ინიციატივა მოქმედების „ჩეკას“ და ხელისუფლებას გადასცა. იმავე დღეს, ე.ი. 28 აგვისტოს, გამოცხადდა სამხედრო წესები, დაიკავეს ჯავშნიანი ავტომობილები, ფოსტა, ტელეფონი, ჯავშნოსანი მატარებელი ჭიათურაში გაიგზავნა, საეჭვო ოფიცრები დროებით ადგილებიდან გადააყენეს, პარტიული კომუნისტური რაზმი ქუჩაში გამოიყვანეს და სხვ. ერთი სიტყვით, თაოსნობა ხელიდან წაგვერთვა და ხელისუფლება იერიშით ქართველი ხალხის წინააღმდეგ გამოვიდა“.

**ირაკლი ცაგურია იგონებდა, „აჯანყების გეგმა იყო შემდეგი: ტფილისის ხელში ჩაგდება, სადაც დაგროვილი იყო წითელი არმიის მთელი ძალა, ძნელი საქმე იქნებოდა, მაგრამ ქართველობამ, გულადობითა და უსათუო გამარჯვების სურვილით გატაცებულმა, გადაწყვიტა ტფილისის აღება, პროვინციაში გამარჯვების შემდეგ. აჯანყებულები უნდა მისდ-**

გომოდნენ ტფილისს სამი მხრიდან: კოჯორიდან მოდიოდა პოლკოვნიკი ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით. საწინააღმდეგო მხრიდან უნდა გამოვსულიყავი მე და პოლკ. ჩოლოყაშვილთან შეერთების შემდეგ, ორივენი ტფილისზე მივდიოდით. ყველაზე ძნელი ამოცანა მე მერგო. უნდა ამეღო, ტფილისიდან 25 ვერსის მანძილზე დაცილებული ვაზიანის პოლიგონი, სადაც იდგა წითელი ჯარი 98 ზარბაზნით. ასეთი გეგმა შემცდარი და მიუღებელი იყო. აჯანყების მომწყობთ არ გაუთვალისწინებიათ ტფილისის მორალური და პოლიტიკური მნიშვნელობა. საქართველო უპყრია მას, ვისაც ტფილისი აქვს ხელში. სწორედ ამისთვის აუცილებელი იყო პირველი დარტყმა მომხდარიყო ტფილისზე, კომუნისტურ ძალთა სიმაგრეზე. ტფილისის აღებისას წითელი არმია, მოკლებული ცენტრალურ მმართველობას, დევნილი მთელ საქართველოში, ხალხის სიძულვილით გარშემორტყმული, უნდა დანებებოდა გამარჯვებულს. მაშინ, როდესაც პირველი გეგმის მიხედვით, ჩვენი ძალები, დაქსაქსულნი მთელ მხარეში, ვერ შეიკრიბნენ თავის დროზე, ჩვენ დავმარცხდით ძალიან უსწორო ბრძოლაში. მეორე მიზეზი ჩვენი დამარცხებისა იყო ჭიათურის დასწრებული გამოსვლა – დანიშნულ დროზე 24 საათით ადრე... ჭიათურის ნაადრევმა გამოსვლამ საშუალება მისცა საბჭოთა უფროსებს, დროზე მიეღოთ ენერგიული ზომები აჯანყების ჩასაქრობად. მთელ საქართველოში გამოცხადდა სამხედრო წესები“.

29 აგვისტოს აჯანყება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაიწყო. დასავლეთ საქართველოში აჯანყებულებმა დაიკავეს: საჩხერე, ვანი, სამტრედია, ბაღდათი, ახალი სენაკი, აბაშა, მარტვილი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ზუგდიდი, ჩოხატაური და სხვ. ზოგან აჯანყებულებმა 3-4 დღითაც კი შეინარჩუნეს ძალაუფლება. აჯანყებულთა ხელში გადავიდა სვანეთი. აჯანყება იყო ქუთაისის მაზრაშიც (1200 კაცამდე გამოვიდა), თუმცა თავად ქუთაისის აღება ვერ მოხერხდა.

აჯანყებულებმა მოსახლეობაში შემდეგი მიმართვა გაავრცელეს:

„მოქალაქენო! დიდი თავგანწირული ბრძოლით და მრავალის მსხვერპლის გაღებით ქართველმა ერმა თავი დააღწია რუსეთის ას ოცი წლის მონობას და 1918 წლის 26 მაისს ქვეყანას აუწყა, რომ ის არის თავისუფალი, სუვერენული ერი, აქვს თავის ისტორიული მიწა-წყალი და ითხოვა ამ მიწა-წყალზე ეცნოთ მისი სახელმწიფოებრიობა. ყველა სახელმწიფოებმა ეს მოთხოვნილება სამართლიანად დაინახა და საქართველოს სახელმწიფოებრიობა იურიდიულად იცნო. საქართველოს რუსეთიდან ჩამოშორება და მისი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობა იცნო რუსეთმაც. მაგრამ რუსეთი როდის ინდობდა საქართველოს, რომ ეხლა დაენდო და საქართველოს მოღალატე – ქართველ ბოლშევიკების დახმარებით 1921 წლის თებერვალში საქართველოს თავისი ჯარი შემოუსია, დაიპყრო და ხელი მიჰყო მის აკლება-გაპარტახებას. დღიდან საქართველოს დაპყრობისა რუსეთის მიერ მოვლინებულმა საოკუპაციო მთავრობამ მოსპო ყოველგვარი თავისუფლება, კანონის გარეშე გამოაცხადა ყველა პოლიტიკური პარტიები, გარდა ქართველ ერის ნაძირალების, ე.წ. კომუნისტური პარტიისა, რომელზედაც თვითონ ეყრდნობოდა, დაარსდა საგანგებო კომისია „ჩეკა“, რომელსაც მიენდო საქართველოს სრულიად მოკვლა. ამ მიზნის მისახწევად „ჩეკამ“ გაავსო ქალაქები, დაბები და სოფლები თავისი ჯაშუშებით. იწყო საქართველოს მებრძოლთა ჭერა-დაპატიმრება (მოიგონეთ სხვათაშორის 15 აფიცრების დახვრეტა), დახვრეტა, გახურებულ შანთებით წამება, ჩეკის ნესტიან ჯურღმულებში ცემა, დაცინვა, ადამიანის ღირსების დამცირება, ხელის მოწერით უარეყოთ თავიანთი აზრები წამების, დახვრეტის და გადასახლების შიშით, გადასახლება საზღვარგარეთ, გადასახლება რუსეთში და საქართველოს მთავრობის და დამფუძნებელ კრების წევრთა და აგრეთვე, თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეთა მძევლად დაჭერა რუსეთის ციხეებში. ის ამაზედ არ დაჯერდა, მან დახურა და გაძარცვა საქართველოში ათას ოთხასი ეკლესია; ზოგი მადგანი სრულიად დაანგრია, ზოგიც სათეატრო სახლად და კლუბად გადააკეთა და ზოგიც სხვა რამედ, რითაც დასჭირდებოდა. მან სამასხაროთ და ქუჩის ბიჭების დასაცინად გახადა სარწმუნოება. ეკლესიის მსახურნი, ვინც კი გაბედა სარწმუნოების გამოქომაგება, გაკრიჭა, ციხეში ჩაყარა კათალიკოსიანათ, ციხის გარეთ დარჩენილი მღვდლები აიძულეს, მღვდელმოქმედებაზედ ხელი აეღოთ და ძალად გაკრიჭეს. ამავე დროს ყველა ეს სისაძაგლე დააბრალეს ხალხს, განაცხადეს რა თავიანთ ყრილობებზე – ეკლესიები ხალხმა დახურაო, თარეში განაგრძეს სწავლა განათლების საქმეშიც და ეს დარგი სრულიად გაათახსირეს. გაყარეს სკოლიდან პატიოსანი და ნიჭიერი მასწავლებლები და მათ მაგიერად სასწავლებელში შეიყვანეს უმეტეს ნაწილი ახალგაზრდა კომკავშირის წრიდან – ნაკლები ღირსების მასწავლებლები და დაავალეს მათ, რუსეთის მონების აღზრდა საქართველოში. ამ ბოლო დროს მისწვდნენ ქართულ უნივერსიტეტს წასახრჩობად. არც ამას დასჯერდა საოკუპაციო მთავრობა და სულიერად აკლებასთან ერთად შეუდგა ნივთიერ გაპარტახებასაც, რომ გაპარტახებულ

რუსეთის დაბალ-ღირსების ნაწარმოებისთვის ბაზა მოეპოვა (მოაქცია რა საქართველო რუსეთის სახელმწიფო ფარგლებში და სავაჭრო რკალში), ჯერ არ გაგონილი სიდიდის საბაჟო გადასახადები დააწესეს უცხო სახელმწიფოთათვის შემოსატან საქონელზე, იწყო თავისი გაძვირებულ საქონლის გასაღება აქ და აქედანვე გაზიდვა ყოველივე იმ ნედლი მასალისა, რაც კი ჩვენს ქვეყანაში მოიპოვება და ამავე დროს რუსეთს ესაჭირვება. რუსეთი აწესებს ფასებს ჩვენს საქონელზედ (მატყლი, ბამბა, პარკი და სხვ.) და ამ მიზეზით ხალხი გაშიშვლდა. ამრიგად, ჩვენს ქვეყანას დაღუპვისაკენ მიაქანებს. იღუპება საქართველო – სარგებლობს რუსეთი, ასეთია დაპყრობის შედეგი.

მოქალაქენო! თქვენ უკვე მოგეხსენებათ, რომ ჩვენს ნაციონალურ მთავრობას რუსეთის ურდოებმა საქართველო დაატოვებინეს და საზღვარგარედ გააქციეს. ამის შემდეგ დაარსდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი, რომელშიც შედიან საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური პარტიები, გარდა კომუნისტური პარტიისა. დღიდან თავისი არსებობისა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ცდილობს საქართველოს განთავისუფლებას რუსეთის მონობისაგან. ის აწარმოებს შეუწყვეტელ ბრძოლას შინ და გარეთ, საქართველოში და ევროპაში; და აი დადგა კიდეც დრო გადამჭრელი ბრძოლისა, დრო, ქართველი ერის აღდგომისა.

მოქალაქენო! განვლო სამნახევარმა წელმა, წლებმა ტანჯვისამ, წამებისამ, რჩეულ პატრიოტთა სიკვდილით დასჯისამ, გადასახლებისამ, დამცირებისა და შეურაცხყოფისამ, ერის ნაოფლარის გაფლანგვისამ, მითვისებისამ. ამ პირობებში საქართველოს დარჩენა ნიშნავს საქართველოს დაღუპვას, ხოლო განთავისუფლება – აღორძინებას. ამიტომ ქართველმა ერმა, მთიულეთთან და აზერბაიჯანთან ერთად, დაიწყო თავის განთავისუფლებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დილით, 29 აგვისტოს.

მოქალაქენო! ვისაც გინდათ ეროვნული თავისუფლება, ვისაც გინდათ პოლიტიკური თავისუფლება, სარწმუნოების თავისუფლება, ვისაც გინდათ თქვენი ნაოფლარის პატრონი იყოთ – იარაღს მოკიდეთ ხელი. ყველამ მიიღეთ მონაწილეობა ამ ბრძოლაში, ყველამ, ვისაც რითი შეგეძლებათ.

ამ ბრძოლაში ჩვენთანაა ევროპა და ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია.

ძირს საოკუპაციო მთავრობა! გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს!“



პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია – დაამთავრა მიხეილის საარტილერიო სასწავლებელი. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში იბრძოდა კავკასიის ფრონტზე, შემდეგ– სპარსეთში მყოფ საექსპედიციო კორპუსში. იყო სამთო-საარტილერიო ბატარეის უფროსი. გამოირჩეოდა საარაკო ვაჟკაცობით. 1917 წელს დაჯილდოვდა გიორგის ჯვრით. 1918 წლიდან ქართულ ჯარშია. 1918 წელს მონაწილეობდა ჯერ ბათუმის ოსმალთაგან დაცვაში, ხოლო შემდეგ სომხეთთან ომში. 1921 წლის თებერვალში ასრულებდა სახალხო გვარდიის ცხენოსანი რაზმის უფროსის მოვალეობას. 24 თებერვალს ის მცირერიცხოვანი რაზმით სოფელ ნორიოსთან რუსების კავალერიას ეკვეთა და ფაქტობრივად შეაჩერა მათი შეტევა. ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. იყო 1924 წელს აჯანყებულთა ერთ-ერთი მეთაური. თავდაპირველი გეგმის თანახმად მას ვაზიანის ბაზა უნდა აეღო და ხელში ჩაეგდო ზარბაზნები და თბილისისთვის შეეტია. სამწუხაროდ პოლკოვნიკმა ცაგურიამ ვაზიანის დაკავება ვერ შეძლო. აჯანყების დამარცხების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. ცხოვრობდა ბელგიაში.

მიუხედავად აჯანყებულთა თავდადებული ბრძოლისა, ძალები არათანაბარი იყო. ინიციატივა ხელისუფლების მხარეს იყო. გარდა ამისა, აჯანყებამდე გატარებული რეპრესიების გამო საქართველოს ზოგიერთ რაიონში აჯანყება საერთოდაც არ დაწყებულა. ძალთა მობილიზაციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ ნელ-ნელა შეძლო აჯანყებულთა დამარცხება და დასავლეთ საქართველოში საკუთარი გავლენის აღდგენა.

დასავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, აღმოსავლეთ საქართველოში აჯანყებამ ფართო ხასიათი ვერ მიიღო. ირაკლი ცაგურიამ ვერ შეძლო ვაზიანის დაკავება და შედეგ ვერც თბილისზე გამოლაშქრება. უკვე ემიგრაციაში მყოფი ცაგურია წერდა: **„უმთავრესი ჩემი დავალება ე.ი. ვაზიანში მყოფი წითლების განიარაღება, ვერ მოვიყვანე სისრულეში. მე ვყოყმანობდი იმ ბრძოლის პერსპექტივის გათვალისწინებით, რომლის შედეგი იქნებოდა ტყუილუბრალოდ ჩემი ხალხის სამსხვერპლოზე მიტანა. ჩემს განკარგულებაში მყავდა 300 გლეხი, ყოჩაღნი და ამაყნი, რომელთა საშუალებით, შესაძლებელია, სხვა ვინმე შესძლებდა სასწაული მოეხდინა და გმირობა გამოეჩინა,**

**მაგრამ აღვიარებ, რომ მე ვერ გავამართლე პარტიათა კომიტეტის ჩემზე დამყარებული იმედები, რადგან მას ჰქონდა უფლება მოეთხოვა ჩემგან სასწაული. დიახ, ჩემს სამშობლოს ჰქონდა ბევრი შემთხვევა ჩემი ნერვების დაცდისა: ბათომი, სადახლო, ნორიო – სადაც მტრის ტყვიით დაჭრილი მაინც განვაგრძობდი ჩემ ადგილას ყოფნას და როდესაც ვამბობ: ჭიათურის ნაადრევმა გამოსვლამ შემიშალა ხელითქო, ამით არ ვიმართლებ თავს. ვინაიდან, შესაძლებელია მაკლდა რევოლუციონური აღმაფრენა, მე ვიმოქმედე იმ ღამეს, როგორც პატიოსანმა ჯარისკაცმა, როგორც მხედარმა... ჩემი შტაბი იმყოფებოდა პატარძეულში. ვაზიანის კომისარი მოვიდა ჩემთან და მთხოვა გამოვსულიყავი დანიშნულ დროის თორმეტი საათით უფრო ადრე, რადგან სამხედრო წესი გამოცხადდა და ჩვენს მოულოდნელ თავდასხმას შეეძლო გამოეწვია არევდარევა მოწინააღმდეგეში. დავთანხმდი ამ წინადადებაზე და საღამოს შვიდ საათზე თორმეტ სოფელში ძალაუფლება გადმოვიდა ჩვენს ხელში – კომუნისტების უფროსობა იქნა დატუსაღებული – ადგილი არ ჰქონია არც ერთ უსამართლობას მათ მიმართ. ჩვენი პროგრამის პირველი ნაწილი ჩინებულად შევასრულეთ. დაგვრჩა მეორე – უფრო ძნელი და უფრო თავაღებული ნაბიჯის გადადგმა – უნდა წავსულიყავით ტფილისზე. საჭირო იყო მთელი არტილერიის ხელში ჩაგდება. ჩვენ ვუახლოვდებოდით მტრის ბანაკს, როდესაც ჩვენი სვლა შენიშნა მტერმა პროჟექტორების საშუალებით. ბატარეიდან ათი კილომეტრის მანძილზე ავუტეხეთ სროლა უკანა მცველებს. გაჩაღდა ბრძოლა. ამ მომენტში მაცნობეს მტრის კავალერიის სამი პოლკის ჩვენსკენ გამომგზავრება, წითლების გასაძლიერებლად. მდგომარეობა გართულდა. ტყვია-წამალი გვითავდებოდა. იძულებული ვიყავი ჩემიანებისთვის უკან დახევა მებრძანებინა და ღამის სიბნელის გამოყენებით ტყეში შევიხიზნეთ, მაგრამ გვიანღა იყო... მთელი ეს საერთო აჯანყება ჩაქრობილ იქნა საშინელ სისასტიკით“.**

ქაქუცამ თავისი რაზმი, რომელშიც მხოლოდ 150 მებრძოლიღა ჰყავდა, ორ ნაწილად გაყო: ერთი მანგლისისკენ დაიძრა, მეორემ, ლელო ჩიქოვანის მეთაურობით, მანგლისთან მდებარე სოფელ პრიუტს შეუტია.

მანგლისზე თავდასხმის მონაწილე, „შეფიცულთა“ წევრი ალექსანდრე სულხანიშვილი იგონებდა: **„ოცდაცხრა აგვისტოს დილით ჩვენთან ერთი მეკავშირე მოვარდა და მოგვიტანა თავრეტდამსხმელი ამბავი: ჭიათურა გამოსულა ოცდარვა აგვისტოს ღამით, ე.ი. ოცდაოთხი საათით ადრე! ამ ცნობამ დაგვცა, ნებით თუ**



მარცხნიდან სხედან: ქაქუცა ჩოლოყაშვილი და გენერალი სპირიდონ მიხეილის ძე ჭავჭავაძე. დგანან: ლელო ჩიქოვანი, ელიზბარ ვაჩნაძე, რაფო ერისთავი, ალექსანდრე სულხანიშვილი.

**უნებლიეთ ეს იყო ნამდვილი ღალატი, ზურგში ხანჯლის ჩაცემა! ...ჭიათურის გამოსვლების შემდეგ ჩვენ დავრწმუნდით, რომ გამოსვლები წაგებული იყო, მაგრამ მაინც გადავწყვიტეთ მანგლისზე დაცემა. ოცდაცხრა აგვისტოს შუაღამისას მივუახლოვდით კურსანტების ყაზარმებს, სულ სამოცდაათი კაცი ვიყავით... ქაქუცამ მე დამნიშნა მარჯვენა ფრთაზე და მომცა თხუთმეტი კაცი... მარცხენა ფრთაზე ელიზბარი გაგზავნა ოცი კაცით. ჩვენ შუა გარკვეულ მანძილზე განალაგა მიშა ნაცვლიშვილი და რაფო ერისთავი, ორივე მათგანი რამდენიმე კაცით. აი ასე განაწილდა ის სამოცდაათი კაცი. ჩვენ ფრთხილად მივუახლოვდით ყაზარმას. სროლა მაშინ უნდა დაწყებულიყო, როდესაც ჩვენი შეფიცული ყაზარმაში ბომბს შეაგდებდა ფანჯრიდან, მაგრამ საუბედუროდ ბომბი არ გასკდა, ხოლო მეტი არ გვქონდა. სულ ახლოს მივედით ყაზარმასთან, პირდაპირ დავუშინეთ საწოლზე არხეინად წამოგორებულ კურსანტებს, რის გამოც ისინი დაიბნენ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეორე სართულზეც ისინი ყოფილან მოთავსებული. აბა, ჩვენ რა ვიცოდით! აი ამგვარად, რადგან არავინ ესროდათ, იმათ ისარგებლეს ამ ხელსაყრელი გარემოებით და აუშვეს რაკეტა, რომელმაც დღესავით გაანათა ყაზარმების გარშემო მდებარე მიდამოები. კურსანტებმა მაშინვე ტყვიამფრქვევი გამოაგდეს ერთი ფანჯრიდან, რომ საპასუხო ცეცხლი გაეხსნათ. მაგრამ არ დასცალდათ. მათ მარცხნიდან კედელზე აკრული წამოეპარა ელიზბარი, რომ იქნებ ხელი ვტაცო და ტყვიამფრქვევი გადმოვათრიოვო, მაგრამ ვერც ელიზბარმა შეძლო განზრახვის მოყვანა**

**სისრულეში, ვინაიდან მათ გაუგეს. სამაგიეროდ, ვფიქრობ, რომ ჩვენ მოვკალით მეტყვიამფრქვევე, რადგან ჩვენს მხრივ ბევრნი ვისროდით. ამიტომ ჩაჩუმდა ის ერთ წამს, ხოლო მერე კვლავ აკაკანდა, ოღონდ სულ სხვა ალაგას. სულ ოცდახუთ თუ ოცდაათ მეტრზე ვიყავით მისული რომ სროლა გართულდა, ვესროდით ფეხზე მდგომელა. მთელი ეს სროლა ნახევარ საათს გაგრძელდა. ამაზე მეტხანს ჩვენ აღარ შეგვეძლო იქ დგომა, ვინაიდან რუსებს დიდი ძალა ჰყავდათ მანგლისში. ამ ბრძოლაში ჩვენ მხოლოდ ერთი კაცი დაგვეჭრა...“**

მცირერიცხოვნობის გამო ქაქუცას „შეფიცულები“ საბოლოდ იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. ქაქუცა ჯერ სოფელ ძეგვის მახლობლად ტყეში დაბანაკდა. შედეგ შეფიცულებმა დუშეთს შეუტიეს. აიღეს ქალაქში მდებარე სატუსაღო და გაათავისუფლეს პატიმრები, მათ შორის – სიკვდილმისჯილებიც. დუშეთიდან ქაქუცა თავის რაზმთან ერთად თიანეთში გადავიდა. საბოლოოდ კი იძულებული გახდა თავის „შეფიცულებთან“ ერთად სამშობლო დაეტოვებინა და ემიგრაციაში წასულიყო.

აჯანყების დროს სოლომონ ზალდასტანიშვილი თბილისში იმყოფებოდა – „გავიდა 29-30 აგვისტო და არსაიდან არავითარი ცნობა არ იყო. მანგლისიცა და ვაზიანიც სდუმდა. ახალგაზრდობა მოქმედებას მოითხოვდა, ხელისუფლებამ კი ტერორს მიჰყო ხელი და ასობით გაჰყავდათ ხალხი დასახვრეტად. მდგომარეობა მოითხოვდა, რომ ჩვენც ტერორით გვეპასუხა, მაგრამ თბილისის პარტიათა წარმომადგენლები ამ აზრს არ იზიარებდნენ. 31 აგვისტოს პოლკოვნიკი ცაგურია თბილისში შემოიპარა, გვინახულა მე და ექიმი იშხნელი და გვიამბო თავისი თავგადასავალი“.

ქართველთა აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლებამ საშინელი რეპრესიებით უპასუხა. ჯერ კიდევ აჯანყების დასაწყისშივე თბილისში დახვრიტეს აჯანყებამდე დაპატიმრებული პოლიტიკური პატიმრები. ზესტაფონის რაიონში დაპატიმრებულთა ნაწილი სატვირთო ვაგონებში შეყარეს, ვითომდა თბილისში გადასაყვანად. სოფელ არგვეთთან, სარკინიგზო ხიდთან, სატვირთო ვაგონებში შეყრილ პატიმრებს გარედან ტყვიამფრქვევებით ცეცხლი გაუხსნეს. ასე დახვრიტეს ასამდე აჯანყებული. დაჭერები და დახვრეტები მიმდინარეობდა საქართველოს თითქმის ყველა ქალაქსა თუ სოფელში. იჭერდნენ არა მხოლოდ აჯანყების უშუალო მონაწილეებს, არამედ სრულიად უდანაშაულო ხალხსაც, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ხელისუფლებას ისინი არაკეთილსაიმედოებად მიაჩნდა. როდესაც სოფელ კავთისხევში აჯანყების რამდენიმე მონაწილე დააკავეს, კავთისხევის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა, უკვე ღრმად მოხუცებულმა და ავადმყოფმა დეკანოზმა პანტელეიმონ გედევანიშვილმა ჯალათების მეთაურს სთხოვა: „ეს ხალხი ჩემი მრევლია, გაუშვი, რადგან მართლები არიან ღმერთთანაც და კაცთანაც, თუ ცოდვა რამ აქვთ ჩადენილი, მე მაზღვევინეთ, ჩემი ბრალი ყოფილა და მევე უნდა დავისაჯო, როგორც ამათი მოძღვარი და ჩამაგონებელიო“. ჯალათებმა მოძღვარსაც ხელები შეუკრეს და ისიც გორის გზას გაუყენეს. გორის მახლობლად, ერთ-ერთ ხევთან გაჩერდნენ, მამა პანტელეიმონს ჯერ მისი მრევლის დახვრეტა აყურებინეს და ბოლოს ისიც გამოასალმეს სიცოცხლეს.

დახვრეტილთა ზუსტი რაოდენობა უცნობია. სავარაუდოდ 5-7 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიებს.

საშინელმა ტერორმა ვერ გატეხა ქართველი ხალხის თავისუფლებისმოყვარე სული. სოლომონ ზალდასტანიშვილი იგონებდა, რომ უკვე აჯანყების დამარცხების შემდეგ „გურიიდან მასწავლებელი ქალი ჩამოვიდა. დაწვრილებით აღწერა იქაური მოძრაობის ამბები. ბოლოს ჩემი მეგობარი შეეკითხა: – მე მეორე ოთახში ვიმალებოდი, ალბათ ხალხს გული გაუტყდა აჯანყების დამარცხების გამო? – რას ბრძანებთ!? მთელი გურია იმას იძახის, ერთი კვირა ხომ მაინც თავისუფლად ამოვისუნთქეთო, რა ვუყოთ რომ პირველი აჯანყება სუსტი გამოდგაო“.

მიუხედავად მარცხისა, 1924 წლის აჯანყებამ ყველას დაანახა, რომ ქართველი ერი არ შეეგუებოდა თავისუფლების დაკარგვას და კვლავაც განაგრძობდა ბრძოლას დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.



**სატვირთო ვაგონი, სადაც შეყრილ პატიმრებს ტყვიამფრქვევებით ცეცხლი გაუხსნეს**





# დიპლომატიის გენია

თორნიკე შარაშენიძე

ისტორიაში არის პერიოდები, როცა ერთდროულად ჩნდებიან დიდი ადამიანები. ესენი შეიძლება იყვნენ მუსიკოსები, შეიძლება – მხატვრები, შეიძლება – დიპლომატები, მხედართმთავრები ან პოლიტიკოსები. მე-19 საუკუნის დასაწყისი სწორედ ასეთი პერიოდია. საფრანგეთის იმპერიას ნაპოლეონი მართავდა, რომელსაც ებრძოდნენ ინგლისელთაგან ნელსონი – ალბათ ყველა დროის უდიდესი ადმირალი და, ასევე, უელინგტონი – ბრწყინვალე მხედართმთავარი; ავსტრიელთაგან – მეტერნიხი – უდიდესი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე; პრუსიელთაგან – ბლიუხერი – მხედართმთავარი, რომელსაც ნაპოლეონის არმიამაც კი ვერაფერი მოუხერხა; რუსებიდან – იმპერატორი ალექსანდრე – გამოუცნობი ადამიანი და მოხერხებული დიპ-




მე-19 საუკუნის დასაწყისის ევროპის წამყვანი სახელმწიფო იყო საფრანგეთი, რომელსაც მეტოქეობას მხოლოდ ინგლისი თუ უწევდა, ძლიერი ფლოტისა და განვითარებული ეკონომიკის წყალობით, მაგრამ კონტინენტზე ფრანგებს ბადალი არ ჰყავდათ. რუსეთის მოსახლეობა, მართალია, უფრო დიდი იყო, მაგრამ იგი ეკონომიკურად ძალიან ჩამორჩებოდა. საკმაოდ ძლიერი იყო ავსტრიის იმპერია, თუმცა არც საფრანგეთივით მდიდარი და ნაყოფიერი მიწები ჰქონდა და ეთნიკური სიჭრელეც საკმაო პრობლემებს უქმნიდა. პრუსიას ამ დროს ძლიერი არმია ჰყავდა, მაგრამ მცირერიცხოვანი სახელმწიფო იყო. საფრანგეთის რევოლუციამ მთელი ევროპა თავდაყირა დააყენა, გაჩნდა რა საფრთხე, რომ რევოლუციის იდეები კონტინენტის წამყვანი სახელმწიფოდან სხვა ქვეყნებს გადაედებოდა და მონარქიებს დაამხობდა. მონარქიებმა ამ საფრთხის აღსაკვეთად რევოლუციის ჩახშობა მოინდომეს და საფრანგეთი პრაქტიკულად მთელევროპასთან ომში აღმოჩნდა ჩართული, თუმცა მან მტრის ყველა შეტევა მოიგერია და 1790-იანი წლების ბოლოს კვლავაც ევროპის წამყვან სახელმწიფოდ რჩებოდა.

ლომატი. უნდა ითქვას, რომ ყველა ზემოჩამოთვლილს ეშინოდა ერთი ადამიანისა, რომელსაც არ ემორჩილებოდა არანაირი არმია, მაგრამ სამაგიეროდ შეეძლო ადამიანებზე ზემოქმედების მოხდენა, უშეცდომოდ აკეთებდა პოლიტიკურ პროგნოზებს და კარგად თამაშობდა კანონებითა და ნორმებით. შარლ-მორის ტალეირანი – ეს სახელი იქცა დიპლომატიური გენიის და ასევე ცინიზმისა და ინტრიგების სიმბოლოდ. ისტორიაში ალბათ არ იყო მეორე შემთხვევა, როცა რომელიმე დიპლომატი ასე გამდიდრებულა თავისი საქმიანობის წყალობით. ტალეირანი აურაცხელი ქონების პატრონი იყო, რადგან იღებდა დიდძალ ქრთამს. ფულს იოლადვე ხარჯავდა ათასნა-



**ჰორაციო ნელსონი**
(1756-1805)

ინგლისელი ფლოტის მეთაური, ნილოსის ბარონი (1798), ვიკონტი (1801), ვიცე-ადმირალი (1801). 12 წლის ასაკიდან მსახურობდა ფლოტში, გამოირჩეოდა სიმამაცით. სხვადასხვა ბრძოლაში დაკარგა მარჯვენა თვალი და მარჯვენა ხელი.



**ართურ უელსლი უელინგტონი**
(1769-1852)

ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე, სარდალი, დიპლომატი, ჰერცოგი, ფელდმარშალი. ხელმძღვანელობდა მოკავშირეთა ჯარებს პირენეს ნახევარკუნძულზე ნაპოლეონის საფრანგეთის წინააღმდეგ (1808-1813), სარდლობდა ინგლის-ჰოლანდიის არმიას ვატერლოოს ბრძოლაში (1815), მონაწილეობდა ვენის კონგრესის მუშაობაში, იყო საოკუპაციო ჯარების ხელმძღვანელი საფრანგეთში (1815-1818), დიდი ბრიტანეთის არმიის მთავარსარდალი (1827-1852), პრემიერ-მინისტრი (1828-1830).



**გებჰარდ ლებერეხტ ბლიუხერი**
(1742-1819)

პრუსიელი გენერალ-ფელდმარშალი, ვალშტატის თავადი.

კარიერა დაიწყო შვეციის არმიაში, შვიდწლიანი ომის დროს ტყვედ ჩაიგდეს პრუსიელებმა და 1790 წ. მათ სამსახურში გადავიდა. პომერანიაში იყო პრუსიის არმიის სარდალი და მხარს უჭერდა არმიაში რეფორმების გატარებას. იყო რუსეთ-პრუსიის სილეზიის არმიის სარდალი (1813), ვატერლოოს ბრძოლაში წარმატებული პრუსია-საქსონიის არმიის მთავარსარდალი (1815).



**ალექსანდრე I**
(1777-1825)

რუსეთის იმპერატორი (1801-1825), ტახტზე ავიდა მამის – პავლე I-ის მკვლელობის შემდეგ. მეფობის პირველსავე წლებში გაატარა ზომიერი, ლიბერალური რეფორმები. მან დადო სამშვიდობო ხელშეკრულება ინგლისთან და საფრანგეთთან (1801). შემდეგ მონაწილეობდა ანტიფრანგულ კოალიციებში (1805-1807), იყო ვენის კონგრესისა და საღვთო კავშირის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. მეფობის ბოლო წლებში მისი საშინაო პოლიტიკა რეაქციული გახდა.

ირ გართობაზე, განსაკუთრებით კი – კარტის თამაშსა და ქალებზე. იყო საგარეო საქმეთა მინისტრი რევოლუციის შემდგომი საფრანგეთის, ნაპოლეონის საფრანგეთისა და ასევე ნაპოლეონის შემდგომი საფრანგეთის. უღალატა თითქმის ყველას, ვისაც ემსახურებოდა, თუმცა ამავე დროს ამტკიცებდა, რომ საფრანგეთისათვის არასდროს უღალატია. ეპისკოპოსიც იყო... მოკლედ, ერთი ადამიანის კვალობაზე მან წარმოუდგენლად ბევრს მიაღწია.

### კაცი, რომელმაც ყველა გაყიდა

ტალეირანი 1854 წელს დაიბადა არისტოკრატიულ, თუმცა არც ისე მდიდარ ოჯახში, რომელიც ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის სასულიერო კარიერის გაკეთებას ესწრაფოდა. ტალეირანიც ამ გზას დაადგა – სორბონაში თეოლოგია შეისწავლა და 25 წლისა მღვდლად აკურთხეს. სულ მალე კი მეფის კარზე კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლად იქცა, რაც უკვე იმ ასაკში გამოვლენილი დიპლომატიური ნიჭის დამსახურება იყო. 1789 წელს ტალეირანი ეპისკოპოსი გახდა, მაგრამ მისი სასულიერო კარიერა პრაქტიკულად იქვე დასრულდა, რადგან საფრანგეთში რევოლუცია მოხდა. არისტოკრატიული წარმოშობის ეპისკოპოსს თითქოსდა საფრანგეთი უნდა დაეტოვებინა (როგორც მოიქცა იმ პერიოდში ბევრი არისტოკრატი), მაგრამ ამის ნაცვლად ტალეირანი რევოლუციას მიემხრო და ეკლესიისათვის ქონების ჩამორთმევასაც კი დაუჭირა მხარი. ამ ქმედებების გამო რომის პაპმა იგი ეკლესიიდან განკვეთა. ტალეირანზე ამას არანაირად უმოქმედია. დაკვირვებული თვალი უკვე მაშინვე უნდა მიმხვდარიყო, რომ ამ ადამიანისათვის არანაირი ავტორიტეტი არ არსებობდა.

1792 წელს ტალეირანი საიდუმლო მისიით ინგლისს გაეშურა, რათა საფრანგეთისათვის თავიდან აეცილებინა ამ ქვეყანასთან ომი. საფრანგეთში სწორედ მაშინ ახალმა რევოლუციურმა ტერორმა იფეთქა და ტალეირანმა არჩია ამერიკისათვის შეეფარებინა თავი. იქაურობა კარგად შეისწავლა და დაასკვნა, რომ ინგლისი და ამერიკა, ცოტა ხნის წინ გადატანილი ომის მიუხედავად, საკმაოდ მალე იქცეოდნენ უახლოეს მოკავშირეებად – ამ ორ ქვეყანას იმდენი რამ ჰქონდა საერთო, რომ მათი დამეგობრება გარდაუვალი იყო. მსგავს პროგნოზს ტალეირანის გარდა ალბათ ვერავინ გააკეთებდა.

1796 წელს საფრანგეთში ვითარება დალაგდა და ტალეირანი სამშობლოში დაბრუნდა. ერთ წელიწადში იგი საგარეო საქმეთა მინისტრადაც იქცა, მაგრამ კარგად ხვდებოდა, რომ საფრანგეთის მაშინდელი მთავრობა (ე.წ. დირექტორია) უუნარო და უპერსპექტივო იყო, ამიტომაც მალე



ნაპოლეონი წმ. ბერნარის უღელტეხილზე გადასვლისას, მხატვარი: ჟაკ-ლუი დავიდი, 1802-1803

**დირექტორია იყო ხუთკაციანი ჯგუფი, რომელიც რევოლუციურ საფრანგეთს 1795-1799 წლებში მართავდა. დირექტორიამ ბოლო მოუღო იმ საყოველთაო ტერორს, რომელმაც საფრანგეთი რევოლუციის შემდგომ წლებში მოიცვა და სამშობლოში დაბრუნების საშუალება მისცა ბევრ ემიგრირებულ არისტოკრატსა და სასულიერო პირს. თუმცა, ამავე დროს დირექტორიამ ფრანგებს თავი დაამახსოვრა კორუფციითა და უნიათობით, რის შედეგადაც ქვეყანაში საშინელი მასშტაბები მიიღო სიღარიბემ და კრიმინალმა.**

მიემხრო გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტს, რომელმაც იმ დროს იტალიაში ბრწყინვალე გამარჯვებებით ფრანგების გულები დაიპყრო. ტალეირანის მნიშვნელოვანი დახმარების წყალობით ნაპოლეონმა 1799 წელს სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა და ქვეყანას სათავეში მოექცა. ტალეირანი უკვე მის საგარეო საქმეთა მინისტრად იქცა.

ნაპოლეონის დროს მინისტრობა ტალეირანისათვის პირდაპირი გაგებით ოქროს ხანად იქცა. ნაპოლეონი მტრებს ამარცხებდა, ახალ ტერიტორიებს იერთებდა, დამარცხებულებს კონტრიბუციას აკისრებდა და ყველაფერი ეს ტალეირანის ხელში გადიოდა. საგარეო საქმეთა მინისტრი დამარცხებულებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა და „მცირე შეღავათების“ სანაცვლოდ მათგან დიდძალ ქრთამს იღებდა. ნაპოლეონი ამაზე თვალს ხუჭავდა, რადგან ტალეირანისნაირი დიპლომატი არა მხოლოდ საფრანგეთში, არამედ მთელ ევროპაში არ ეგულებოდა. მაგრამ თანდათანობით ორ დიდ ადამიანს შორის წინააღმდეგობები გაიზარდა. ტალეირანი ითხოვდა დამარცხებულებს უფრო ლმობიერად მოპყრობოდნენ, რასაც ნაპოლეონი არ აკეთებდა. 1807 წელს ტალეირანი თანამდებობიდან გადადგა და მოყოლებული იქიდან უკვე იმპერატორის წინააღმდეგ დაიწყო მუშაობა. როგორც ვთქვით, მისთვის ავტორიტეტები არ არსებობდა. გარდა ამისა, კარგად ხვდებოდა, რომ ნაპოლეონს, მისი ავანტიურისტული პოლიტიკიდან გამომდინარე, დიდი დრო აღარ ეწერა.

ტალეირანის პროგნოზი ამჯერადაც ზუსტი აღმოჩნდა. 1808 წელს ნაპოლეონმა ესპანეთის დამორჩილება გადაწყვიტა და ფრანგული არმია



ნაპოლეონის ბრძოლების რუკა

ადგილობრივ პარტიზანებთან უმძიმეს ომში ჩაფლული აღმოჩნდა. ამით შეგულიანებულმა, იქამდე ნაპოლეონის მიერ არაერთხელ დამარცხებულმა და დამცირებულმა ავსტრიამ საფრანგეთის წინააღმდეგ ომისთვის მზადება დაიწყო. ნაპოლეონმა გადაწყვიტა ავსტრიის დასაშინებლად მისი ერთადერთი მოკავშირე – რუსეთი გამოეყენებინა და ამ მიზნით იმპერატორ ალექსანდრეს შეხვდა. შეხვედრაზე მან ტალეირანიც იახლა. ამ უკანასკნელმა კი ნაცვლად იმისა, რომ თავის იმპერატორს დახმარებოდა, ალექსანდრესთან გააბა ფარული მოლაპარაკებები და დაარწმუნა, რომ რუსეთი ნაპოლეონის თამაშში არ უნდა ჩაბმულიყო. ამის გამოისობით ნაპოლეონმა რუსეთისგან ვერაფერი მიიღო.

მოყოლებული იქიდან ტალეირანი ფარულად ამარაგებდა ინფორმაციით რუსებსაც და ავსტრიელებსაც და სანაცვლოდ ორივესაგან დიდძალ ფულს იღებდა. მართალია, ფინანსურად ნამდვილად არ უჭირდა, მაგრამ ფული მისთვის ზედმეტი არასოდეს იყო, რადგან მისი ხარჯვის ძალიან ბევრი და ძალიან სასიამოვნო გზა იცოდა. იმ პერიოდში პარიზში ავსტრიელთა ელჩი მეტერნიხი იყო, რომელიც შემდეგ ავსტრიის კანცლერად იქცა. რუსეთის საელჩოში კი ალექსანდრემ ნესელროდე მიავლინა, რომელიც ასევე მომავალში რუსეთის კანცლერი გახდა. სწორედ ამ ორ ადამიანთან ჰქონდა კონტაქტი ტალეირანს და მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მათგან ფულს იღებდა, მას ორივე დიდ პატივს სცემდა და მისი ეშინოდათ კიდეც.

## კაცი რომელმაც საფრანგეთი იხსნა

ტალეირანის გადადგომიდან შვიდ წელიწადში ნაპოლეონი ევროპასთან ომში დამარცხდა. პარიზი მტერს ჩაბარდა. აქედან მოყოლებული იწყება ტალეირანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველაზე საამაყო ეტაპი. ამ დროიდან მოყოლებული ადამიანი, რომელმაც ჯერ ეკლესიასა და სამეფო დინასტიას უღალატა, შემდეგ – დირექტორიას, შემდეგ კი – ნაპოლეონს, ცალსახად საფრანგეთს ემსახურება (თუმცა, როგორც ვნახავთ, გამდიდრებას ისევ ახერხებს). საფრანგეთს კი დიდი დიპლომატის დახმარება ნამდვილად სჭირდება, რადგან ქვეყანა დამარცხდა, შურისძიების მსურველები კი მრავლად არიან – ავსტრია ნაპოლეონმა ოთხჯერ დაამარცხა და დიდძალი ტერიტორიები წაართვა, პრუსიამ მხოლოდ ერთი ომი წააგო, მაგრამ ნაპოლეონმა ლამის რუკიდან გააქრო, ინგლისს საფრანგეთთან ომები აურაცხელ თანხად დაუჯდა... მოკლედ, დამარცხებულ იმპერიას ყველაფერი ჯერ კიდევ წინ ჰქონდა.

და აქ ასპარეზზე გამოვიდა ტალეირანი. იგი პარიზში შესულ მოკავშირეთა ჯარს გამოეგება და იმპერატორი ალექსანდრე საცხოვრებლად თავის სასახლეში მიიწვია. მან კარგად იცოდა რუსთა ხელმწიფის ხასიათი და სისუსტეები. კონკრეტულად კი იცოდა, რომ ალექსანდრე სამართლიანობის, წესრიგისა და კანონიერების მომხრე იყო. ტალეირანი ასევე კარგად ხვდებოდა, რომ გადამწყვეტი სიტყვა ევროპაში სწორედ ალექსანდრეს ეთქმოდა, რომლის ჯარმაც ნაპოლეონის დამარცხებაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა. ზეგამოცდილმა დიპლომატმაც მთელი თავისი უნარი იქითკენ მიმართა, რომ ალექსანდრესათვის ჩაეგონებინა: ევროპის ბედი ახლა შენს ხელშია და თუკი გინდა ომებით გაწამებულ კონტინენტზე მშვიდობამ და ბედნიერებამ დაისადგუროს, საფრანგეთს ლმობიერად მოეპყარი და აპატიე. სამაგიეროდ ფრანგებს შურისძიების სურვილი აღარ გაუჩნდებათ და ამის წყალობით ევროპაში ომებს ბოლო მოეღებაო. ტალეირანმა ალექსანდრეს ისიც შეაპარა, ევროპაში მშვიდობა საფრანგეთში მშვიდობის გარეშე არ არსებობს, საფრანგეთში მშვიდობისათვის კი საჭიროა აქ კანონიერი სამეფო დინასტია (რევოლუციის შედეგად განდევნილი ბურბონები) დავაბრუნოთო. რუსთა იმპერატორი ტალეირანს პრაქტიკულად ყველაფერში დაეთანხმა: საფრანგეთს, ყველაფრის მიუხედავად, კონტრიბუცია არ დაეკისრა, მის ტერიტორიაზე საოკუპაციო ჯარი არ ჩადგა, თუმცა, ცხადია, დაპყრობილი ტერიტორიების უდიდესი ნაწილი ჩამოერთვა. ასევე დაბრუნდნენ ბურბონები, რომლებმაც საგარეო მინისტრობა, ცხადია, ტალეირანს ანდეს...

მაგრამ ეს დიპლომატიური ომის მხოლოდ პირველი ეტაპი იყო. საფრანგეთი გადარჩა, მაგრამ ახლა საჭირო იყო მისი მეტოქეები არ გაძლიერებულიყვნენ. 1814 წლის სექტემბერში ავ-



**ფრანგული კარიკატურა, სადაც გამოსახულია ვენის კონგრესის მთავარი „მოქმედი გმირები“, რომლებიც სხვადასხვა ცეკვას ასრულებენ, მარცხნიდან პირველი არის ტალეირანი, 1815**



შარლ მორის დე ტალეირანი

სტრიის იმპერიის დედაქალაქ ვენაში სამშვიდობო კონგრესი გაიხსნა, სადაც გამარჯვებული სახელმწიფოები აპირებდნენ საფრანგეთის დაუკითხავად გარიგებულიყვნენ და ახალი ტერიტორიები მიეერთებინათ. რუსეთს მთელი პოლონეთი სურდა, პრუსიას – საქსონია, ავსტრიას იტალიის ტერიტორიებზე ეჭირა თვალი. ტალეირანმა გადაწყვიტა ეს არაფრით დაეშვა. მართალია, ერთი შეხედვით, იგი სრულიად უძლური იყო – მის ქვეყანას ომი ჰქონდა წაგებული და, შესაბამისად, მის უკან თითქმის არანაირი ძალა არ იდგა, მაგრამ დიპლომატიის გენია სხვებზე გაცილებით შორს იყურებოდა და შეეძლო ყველაზე უიმედო სიტუაციიდანაც კი წარმოუდგენლად ბევრი მიეღო.

ტალეირანი ვენაში ჩავიდა არა როგორც დამარცხებული ქვეყნის წარმომადგენელი, არამედ როგორც დიპლომატი, რომელიც ევროპას სთავაზობდა გრძელვადიანი მშვიდობისა და სტაბილურობის გეგმას. იგი ამბობდა, რომ ნაპოლეონის ომებმა ევროპული წესრიგი ისე აურია, რომ საზღვრების მექანიკური გადანაწილება ხანგრძლივ და მდგრად მშვიდობას ველარ მოიტანდა. საამისოდ საჭირო იყო ევროპაში ყველა დავისა და ყველა პრობლემის სამართლიანად და ლეგიტიმურად გადაწყვეტა. პრაქტიკაში ეს გეგმა იმას ნიშნავდა, რომ ყველა დიდ სახელმწიფოს უარი უნდა ეთქვა უკანონო გაფართოებაზე და თავის ლეგიტიმურ საზღვრებში უნდა დარჩენილიყო.

რუსეთს, ავსტრიას, პრუსიასა და ინგლისს ტალეირანის ეს შეგონებები თავიდან სასაცილოდ არ ეყოთ. მათ უმძიმესი ომი მოიგეს და ნამდვილად არ აპირებდნენ ტერიტორიულ გაფართოებაზე ფრანგების მექრთამე მინისტრის ახალი კონცეფციების გამო ეთქვათ უარი. მაგრამ ტალეირანი არ ფიქრობდა მხოლოდ კონცეფციებით შემოფარგლულიყო. მან ისარგებლა იმ ფაქტით, რომ გამარჯვებული დიდი სახელმწიფოები (რუსეთი, ავსტრია, პრუსია და ინგლისი) კონგრესის ოფიციალურად გახსნას არ ჩქარობდნენ და ერთმანეთში აწარმოებდნენ მოლაპარაკებას არა მხოლოდ საფრანგეთის, არამედ სხვა, ნაკლებად გავლენიანი ევროპული სახელმწიფოების გვერდის ავლით. ტალეირანმა განაცხადა, რომ ევროპაში ამგვარი ქმედებები მიუღებელი იყო და რომ დიდი სახელმწიფოების მიერ მიღებული არც ერთი გადაწყვეტილება არ ჩაითვლებოდა ლეგიტიმურად. მან საფრანგეთის გარშემო გააერთიანა ევროპის ყველა სახელმწიფო, რომელთაც მოლაპარაკებებზე არ უშვებდნენ, და გამარჯვებულ ოთხეულს აგრძნობინა, რომ მათ ლეგიტიმაციის მხრივ რაღაც პრობლემები აუცილებლად შეექმნებოდათ.

გამარჯვებულებმა გადაწყვიტეს ტალეირანი თავიანთ ერთ-ერთ შეხვედრაზე მიეწვიათ და იქ მისთვის საბოლოოდ მიეჩინათ ადგილი. მაგრამ მოხდა პირიქით: ტალეირანმა აქეთ მიუჩინა გამარჯვებულებს ადგილი, განუცხადა რა, რომ ყველა მათი გადაწყვეტილება არალეგიტიმურად ჩაითვლებოდა, სანამ კონგრესი ოფიციალურად არ გაიხსნებოდა (ტალეირანი კარგად ხვდებოდა, რომ კონგრესზე, მრავალი სახელმწიფოს თანდასწრებით, გამარჯვებულები ასე ღიად ვერ ისაუბრებდნენ თავიანთ ნამდვილ გეგმებზე). მიაყენა რა ეს დარტყმა გამარჯვებულებს, ტალეირანი მათ გათიშვა-დანაწევრებაზე გადავიდა და მეტერნიხი გადაიბირა, რომელსაც გულის სიღრმეში ასევე არ მოსწონდა რუსეთისა და პრუსიის ამბიციები. მალე ტალეირანი გამარჯვებულ ოთხეულს საბოლოოდ შეუერთდა და პატარა ევროპული ქვეყნების უფლებებიც მაშინვე გადაავიწყდა. სამაგიეროდ, მალე იმასაც კი მიაღწია, რომ ავსტრიასა და ინგლისთან საიდუმლო ალიანსი შეკრა რუსეთისა და პრუსიის წინააღმდეგ. მალე ამ ქვეყნებმა უარი თქვეს თავიანთ ამბიციურ გეგმებზე და შედარებით მცირე ტერიტორიული კომპენსაციებით დაკმაყოფილდნენ.

ტალეირანმა ყველაფერი ბრწყინვალედ გააკეთა, რაც კი მასზე იყო დამოკიდებული, მაგ-

# ცნობილი ადამიანები

რამ ყველაფერი არ იყო მასზე დამოკიდებული. სანამ იგი ვენაში დიპლომატიის მასტერკლასს აჩვენებდა, დამარცხებული და გადასახლებული ნაპოლეონი კუნძულ ელბიდან გაიქცა და საფრანგეთს მიაშურა, სადაც მთელი მოსახლეობა და ჯარი მის მხარეს გადავიდა. ნაპოლეონი მალევე დამარცხდა, ტალეირანი კი შეეცადა საფრანგეთისათვის გამარჯვებულთა რისხვა აეცილებინა და ყველაფერი ნაპოლეონისათვის გადაებრალებინა, რაც მხოლოდ ნაწილობრივ გამოუვიდა. საფრანგეთს დარჩენილი დაპყრობილი ტერიტორიის ნაწილი წაართვეს და საოკუპაციო ჯარიც ჩაუყენეს. ტალეირანი ამის საპასუხოდ თანამდებობიდან გადადგა და ვენის კონგრესის საბოლოო დოკუმენტს ხელი არ მოაწერა. მოკლედ, ნაპოლეონმა თავისი გაქცევით საფრანგეთს ავნო, თუმცა ტალეირანმა ერთი ხეირი ამ გაქცევიდანაც ნახა. იქამდე მან ვერა და ვერ დაიყოლია მეტერნიხი, რომ ნეაპოლი „ლეგიტიმური“ მმართველებისათვის დაებრუნებინათ. იქაურობას ნაპოლეონის ცოლისძმა, ცნობილი მარშალი მიურატი მართავდა და ალბათ მმართველადაც დარჩებოდა. მაგრამ მიურატი ელბიდან გაქცეულ ნაპოლეონს მიემხრო და ამის გამო სიკვდილით დასაჯეს. ნეაპოლში ბურბონები დაბრუნდნენ, რომლებმაც ტალეირანი დიდძალი ფულითაც დააჯილდოვეს.



**იოაჰიმ მიურატი** (1767-1815) – მიურატთა არისტოკრატიული საგვარეულოს ფუძემდებელი, საფრანგეთის მარშალი, პრინცი, ბერგის და კლევეს ჰერცოგი, ნეაპოლის მეფე (1808-1815), ნაპოლეონ I-ის უმცროსი დის – კაროლინას (ქორწინებამდე – მარია ანუნციატი) მეუღლე. მიურატების საგვარეულო განსაკუთრებით საინტერესოა ქართველებისათვის, რადგან იოაჰიმ მიურატის უმცროსი ვაჟის, ლუსიენ-შარლ-ჟოზეფ-ნაპოლეონ მიურატის უმცროსი შვილი – აშილი იყო სამეგრელოს მთავრის დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ასულის – სალომე დადიანის მეუღლე. წყვილმა ერთმანეთი პარიზში გაიცნო. ეკატერინე შვილებთან ერთად XIX ს.-ის 60-იან წლებში პარიზში ცხოვრობდა და საფრანგეთის არისტოკრატიულ წრეში ტრიალებდა. სალომემ და აშილმა პარიზში იქორწინეს 1868 წ. მოგვიანებით, როცა პრინცი მიურატი პოლიტიკას ჩამოშორდა, წყვილი საქართველოში, სამეგრელოში, გადმოსახლდა. სალომეს ძმებს შვილები არ დარჩენიათ და დადიანების მემკვიდრეები სალომეს შთამომავლები გახდნენ. მიურატების საგვარეულოდან საქართველოში ცხოვრობენ სალომესა და აშილის პირველი შვილის – ლუსიენის – შთამომავლები.



ორლეანის ჰერცოგი შატლეს მოედანზე, პარიზში, მხატვარი პროსპერ ლაფე

## ᲑᲝᲚᲝ ᲒᲐᲑᲠᲬᲧᲘᲜᲔᲑᲐ

ტალეირანის წასვლის შემდეგ ევროპულ დიპლომატიაში ვაკუუმი გაჩნდა, რომლის ამოვსებასაც მეტერნიხი ცდილობდა. თუმცა, დიპლომატიის გენია კიდევ ერთხელ უნდა დაბრუნებულიყო. 1830 წელს საფრანგეთში ბურბონები კიდევ ერთხელ დაამხეს და ტახტზე ორლეანელთა დინასტია ავიდა, რომელსაც ევროპაში ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა. ეჭვების გასაფანტად და კარგი ურთიერთობების დასამყარებლად საფრანგეთის ახალმა მმართველებმა ინგლისში უკვე ხანდაზმული ტალეირანი მიავლინეს, სადაც მას ბელგიის რევოლუციამ მოუსწრო. ბელგია იმ პერიოდში ჰოლანდიის შემადგენლობაში შედიოდა და რევოლუციამ ამას ბოლო მოუღო. ფრანგების ახალი მეფე ხან ბელგიის გაყოფის, ხანაც იქ თავისი ვაჟის მეფედ დასმის იდეებს ეთამაშებოდა, მაგრამ ტალეირანმა ეს ავანტიურები გადააფიქრებინა. ბელგია დამოუკიდებელ და ასევე ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ტალეირანის მოთხოვნით საფრანგეთის საზღვართან ბელგიის ტერიტორიაზე მდებარე ციხესიმაგრეები დაანგრიეს, რაც დიპლომატიის გენიამ სამშობლოსათვის გაწეულ კიდევ ერთ დიდ სამსახურად მიითვალა. სამშობლოს სამსახურმა მას კვლავაც არ შეუშალა ხელი გამდიდრებაში – ბელგიის საზღვრების დადგენის დროს ტალეირანი, ყველასდა გასაკვირად, ჰოლანდიის ინტერესებს გაგებით მოეკიდა, რაშიც (როგორც მოგვიანებით გაირკვა) ჰოლანდიის მეფისგან სერიოზული გასამრჯელო მიიღო. ეს იყო მაესტროს მიერ აღებული უკანასკნელი დიდი ქრთამი და, შესაბამისად, უკანასკნელი გაბრწყინებაც.

ამით დასრულდა უდიდესი დიპლომატის კარიერა, რომელიც ყოველთვის ახერხებდა სახელმწიფო ინტერესები თავის პირად ინტერესებთან შეეთავსებინა. თუმცა ეს არ იყო ტალეირანისაგან ერთი შეხედვით შეუთავსებელი რამეების წარმატებით შეთავსების ერთადერთი მაგალითი: იგი იყო სასულიერო პირი და იყო ცნობილი მექალთანე; იყო სახელმწიფო მოხელე და იყო ცნობილი აზარტული მოთამაშე. მოკლედ, თუკი ტალეირანი მართებულადაა მიჩნეული დიპლომატიური ხელოვნების ეტალონად, მაშინ დიპლომატია ნამდვილად კომპრომისის ხელოვნებაა და – პირიქით.

როგორც ნაპოლეონის, ისე ტალეირანის ერთგვაროვნად შეფასება შეუძლებელია. იგი იყო მექრთამე და ცრუპენტელა, რომელიც ყველას ღალატობდა, მაგრამ ამავე დროს იყო ყველას მიერ აღიარებული დიპლომატიის დიდოსტატი, რომელმაც მეტად მძიმე მომენტში თავის სამშობლოს უზარმაზარი სამსახური გაუწია. ტალეირანის ჭკუასა და გამჭრიახობაზე საუბარი ალბათ ზედმეტია. მას კარგად ესმოდა, რომ ევროპა არასოდეს დათანხმდებოდა ტირანიას და შეუძლებელი იყო თუნდაც ნაპოლეონის საფრანგეთს ევროპა დაემორჩილებინა. ისიც კარგად ესმოდა, რომ ნაპოლეონიც კი, საბოლოო ჯამში, მაინც ჩვეულებრივი ადამიანი იყო და არ შეიძლებოდა მას ბრმად გაჰყოლოდა (რასაც მაშინ ბევრი ჭკვიანი და ღირსეული ადამიანი აკეთებდა). გაბედულიც იყო, რადგან გაბედა ნაპოლეონისათვის ეღალატა, როცა იგი ჯერ კიდევ დიდების ზენიტში იყო და თითქმის მთელ ევროპას მართავდა.



ბელგიის რევოლუცია 1830 წ.
მხატვარი გუსტავ ვაპერსი








# ლი კვან იუ
## ადამიანი, რომელმაც შექმნა ერი

რევაზ თოფურია

მეოცე საუკუნეს არაერთი გამორჩეული და დიდი ლიდერი ახსოვს, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ მათგანს არ გაუკეთებია ის, რაც შეძლო ლი კვან იუმ – მან შექმნა ერი! ანტაგონისტი მეზობლებით გარშემორტყმული პატარა კუნძული, არანაირი ბუნებრივი რესურსით, არანაირი საერთო ისტორიითა და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე იმიგრანტებით, ლი კვან იუმ გარდაქმნა ძლიერი თავდაცვის მქონე დამოუკიდებელ, ეკონომიკურად აყვავებულ, მოწინავე სახელმწიფოდ, განათლებული მოსახლეობითა და შესანიშნავი ინფრასტრუქტურით. ამ ადამიანმა სინგაპური მესამე სამყაროდან პირველი სამყაროს ქვეყნად აქცია და შექმნა სინგაპური, როგორც ერი.

### ადრეული წლები

ჰარი ლი კვან იუ დაიბადა 1923 წელს არაფრით გამორჩეულ ჩინურ ოჯახში. 1940 წელს სკოლის დამამთავრებელ გამოცდებში მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მაღალი ქულები მიიღო და სწავლის გაგრძელებას ბრიტანეთში აპირებდა, მაგრამ იმ დროს ევროპაში მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა და ამის გამო ლის გეგმების გადადება მოუწია, თუმცა მას ხელი არ ჩაუქნევია და 1946 წელს ლონდონის ეკონომიკის სკოლაში ჩაირიცხა, 1947 წელს კი კემბრიჯის უნივერსიტეტში გააგრძელა სამართლის სწავლა. ბრიტანეთში სწავლის დროსვე დარწმუნდა, რომ სინგაპურელებს და მალაიზიელებს საკუთარი ქვეყანა თავად უნდა ემართათ და კოლონიური რეჟიმისგან თავი უნდა დაეღწიათ.



**სინგაპურელები** – სინგაპურის მოქალაქეები ან ადამიანები, რომლებიც საკუთარი თავის იდენტიფიკაციას სინგაპურთან ახდენენ, მათი უდიდესი ნაწილი ეთნიკური ჩინელი, ინდოელი ან მალაიზიელია და სინგაპურში სწორედ ამ ქვეყნებიდან ემიგრაციის შედეგად აღმოჩნდა.

1950 წელს სინგაპურში დაბრუნებულ ლის იურიდიულ კომპანიაში შესთავაზეს მუშაობის




დაწყება, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელი ჯონ ლეიკოკი პრობრიტანული სინგაპურის პროგრესული პარტიის წევრი გახლდათ, რის გამოც ლიმ მას უარი განუცხადა და მალევე საკუთარი იურიდიული კომპანია დააფუძნა. 2 წლის განმავლობაში ის იურიდიულ დახმარებას უწევდა 100-ზე მეტ გაერთიანებასა და თანამეგობრობას.

1954 წლის 21 ნოემბერს ლი კვან იუ ხალხის მოქმედების პარტიას (People's Action Party) აარსებს და თავად ხდება პარტიის გენერალური მდივანი. 1955 წლის არჩევნებში პარტიამ 3 ადგილი მოიპოვა და ლი დავიდ მარშალის მთავრობის ოპოზიციის ლიდერი გახდა.

1959 წელს ბრიტანეთი დათანხმდა სინგაპურისთვის მიენიჭებინა ავტონომია შიდა საკითხებში, გადაწყდა, რომ ბრიტანეთის დანიშნულ მმართველს არჩევნების შედეგად გამოვლენილი პრემიერ-მინისტრი ჩაანაცვლებდა. იმავე წელს გამართულ არჩევნებში 51-დან 43 ადგილი ხალხის მოქმედების პარტიამ მიიღო, რის შედეგად ლი კვან იუ გახდა სინგაპურის პირველი პრემიერ-მინისტრი და ამ თანამდებობას ის 31 წლის განმავლობაში, 1990 წლამდე იკავებდა.



დიდი ბრიტანეთის კოლონიები, დომინიონები

საფრანგეთის მიერ ოკუპირებული ქვეყნები

ჰოლანდიის კოლონიები

დანიის კოლონიები

პორტუგალიის კოლონიები

# მოდერნიზაცია







მართალია, ლის ძალიან უნდოდა კოლონიური რეჟიმისგან თავის დაღწევა, მაგრამ ფიქრობდა, რომ ეკონომიკურად მთლიანად მალაიაზე დამოკიდებულებისა და კომუნისტებისგან მოსალოდნელი საფრთხის ფონზე სინგაპური თავს ვერ გაიტანდა. ამიტომ მიაჩნდა მას აუცილებლად მალაიასთან გაერთიანება.

1961 წელს მალაიის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ის განიხილავდა სინგაპურთან, ჩრდილოეთ ბორნეოსთან, სარავაკთან და ბრუნეისთან გაერთიანებას, ამ ქვეყნების ბედი კი ხალხს უნდა გადაეწყვიტა რეფერენდუმის გზით. ლის იმდენად სურდა გაერთიანება, რომ ძალღონეს არ იშურებდა ხალხის დასარწმუნებლად: მარტო 1961 წლის სექტემბერში ხალხის გადასაბირებლად 36 რადიოგამოსვლა ჰქონდა ინგლისურად, ჩინურად და მალაურად. მის შრომას ამაოდ არ ჩაუვლია – 1963 წლის 16 სექტემბერს სინგაპური შეუერთდა მალაიას, სარავაკსა და ჩრდილოეთ ბორნეოს და ჩამოყალიბდა მალაიზიის ფედერაცია, ხუთი დღის შემდეგ კი ხალხის მოქ-

პირველი წყაროები მალაიზიის შესახებ XV საუკუნიდან გვხვდება. ამ ტერიტორიას საუკუნეების განმავლობაში აკონტროლებდნენ პორტუგალიელები, ჰოლანდიელები, ბრიტანელები და იაპონელებიც კი. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ტერიტორიაზე კონტროლის აღდგენა შეძლეს ინგლისელებმა, მაგრამ მალევე, 1957 წელს, იძულებული გახდნენ მალაის ფედერაცია ელიარებინათ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ბრიტანეთის თანამეგობრობის ფარგლებში. 11 შტატისგან შემდგარი (ცხრა მალაური შტატი და ორიც – ბრიტანული დასახლება – პენანგი და მალაკა) მალაის ფედერაცია ოფიციალურად 1948 წელს ჩამოყალიბდა, თუმცა ოფიციალურ აღიარებას ის ლამის ათი წელი ელოდებოდა. 1963 წლის 31 ივლისს დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა მიიღო აქტი „მალაიზია 1963“, რომელიც გულისხმობდა შეთანხმებას დიდ ბრიტანეთს, მალაის ფედერაციას, ჩრდილოეთ ბორნეოს, სარავაკსა და სინგაპურს შორის. შეთანხმების შედეგად ჩრდილოეთ ბორნეო, სარავაკი და სინგაპური შეუერთდა მალაის ფედერაციის შტატებს და ჩამოყალიბდა ერთიანი სახელმწიფო, რომელსაც ეწოდა მალაიზია.





სინგაპური, 1950-იანი წლები

მედების პარტიამ მორიგი არჩევნები მოიგო. ლის ავტორიტეტი მალაიზიაში თანდათან იზრდებოდა, მაგრამ ფედერაციაში შიდა ეთნიკური დაპირისპირებების გამო სიტუაცია დაიძაბა, კუალა ლუმპურს ლის მზარდი პოპულარობაც აშინებდა და შედეგად 1965 წლის 9 აგვისტოს სინგაპური მალაიზიის ფედერაციიდან გარიცხეს.

„ჩემთვის ეს არის დიდი ტკივილის მომენტი. მთელი ჩემი ცხოვრება, მთელი ჩემი ზრდასრული ცხოვრება, მე მწამდა ამ ორი ტერიტორიის გაერთიანების და ერთიანობის“, – განაცხადა აცრემლებულმა ლიმ. თუმცა, ეს იყო ბოლო შემთხვევა, როცა სინგაპურელებმა აცრემლებული პრემიერ-მინისტრი იხილეს. იმ დღის შემდეგ ლი კვან იუ რთულ გამოწვევას შეეჭიდა – მას უნდა გადაერჩინა მარტოდ დარჩენილი სინგაპური, რომლის მომავალი არც ისე ნათელი ჩანდა. მას იმიგრანტებით დასახლებული პატარა კუნძული, 14-პროცენტიანი უმუშევრობის დონითა და უკიდურესი სიღარიბით, ძლიერ, დამოუკიდებელ ერად უნდა ჩამოეყალიბებინა.

## დამოუკიდებელი სინგაპურის აღორძინება

ლი კვან იუს მთავრობამ გამოყო პრიორიტეტები და სინგაპურის გარდაქმნას შეუდგა. პირველ რიგში სინგაპურს დამოუკიდებლობა უნდა შეენარჩუნებინა და ამისთვის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება იყო საჭირო, ასევე აუცილებელი იყო ქვეყანას მოეპოვებინა გაეროს აღიარება. ლიმ პირველ რიგში სწორედ შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტრო შექმნა, რომელმაც ქვეყანაში უსაფრთხოების დაცვაზე აიღო პასუხისმგებლობა, შექმნა რა პოლიცია და ჯარი.

პრემიერ-მინისტრი აცნობიერებდა, რომ გადასარჩენად სინგაპურს ძალიან კარგი საგარეო პოლიტიკა სჭირდებოდა – „პატარა ქვეყანა უნდა ეძებდეს მეგობრების მაქსიმალურ რაოდენობას, მაგრამ ამავდროულად რჩებოდეს თავისუფალი და დამოუკიდებელი“.

„მეგობრობა საერთაშორისო ურთიერთობებში არ არის კეთილი ნების გამოხატულება. ჩვენ უნდა გავხადოთ ჩვენი თავი რელევანტურები, რათა სხვა ქვეყნებს ჰქონდეთ ჩვენი გადარჩენის და განვითარების ინტერესი“, – ამბობდა ლი კვან იუ.



პრემიერმინისტრობის პერიოდში ლის 204 ოფიციალური ვიზიტი ჰქონდა 83 ქვეყანაში. სწორედ მან გამოკვეთა სინგაპური მსოფლიო რუკაზე. 1965 წლის 21 სექტემბერს სინგაპური გაერომ აღიარა დამოუკიდებელ ქვეყნად. 1967 წელს კი სინგაპური გახდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ASEAN) ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანა.

ლის მთავრობის მეორე უმნიშვნელოვანესი









*„ეს არის ჩემი ქვეყანა.
ეს არის ჩემი ცხოვრება.
ეს არის ჩემი ხალხი!
ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი,
ჩვენ შევქმენით ერი“.*

ლი კვან იუ

საკითხი იყო ეკონომიკა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლი კვან იუს მმართველობის დასაწყისში სინგაპურში უმუშევრობის დონე 14% იყო. ქვეყნის ეკონომიკაში ყველაზე დიდი წილი ბრიტანულ ბაზას ჰქონდა, რომელიც სინგაპურიდან გავიდა და უმუშევრობა კიდევ უფრო გაიზარდა.

სინგაპურში ფიზიკურად არ არსებობდა სამუშაო ადგილები, ხალხი კი იმდენად ღარიბი იყო, რომ სახლებიც კი არ გააჩნდა. მთავრობამ ერთად ორი კურდღლის დაჭერა მოინდომა. 1960-იან წლებში ჩამოყალიბდა საცხოვრებლების განვითარების საბჭო (HDB). საბჭოს მთავარი მიზანი იყო სინგაპურელებისთვის სწრაფად აეშენებინა სახლები, შეექმნა რა ამით სამუშაო ადგილები და მოსახლეობისთვის ეს სახლები დაბალ ფასად მიეცა. პირველ 18 თვეში საბჭომ 30 000 ადამიანს აუშენა სახლი, პროგრამამ გაამართლა და დღეისათვის მოსახლეობის 90%-ზე მეტი მათ აშენებულ სახლებში ცხოვრობს. ლი მიიჩნევდა, რომ ეს პროგრამა არა მხოლოდ სამუშაო ადგილებს შექმნიდა და ხალხს საცხოვრებელს მისცემდა, არამედ ჩამოყალიბდებოდა საზოგადოება და ხალხს გაუჩნდებოდა მეტი სიმდიდრის დაგროვებისა და მეტი შრომის სურვილი.

თუმცა, ლი კვან იუ მშვენივრად აცნობიერებდა, რომ მხოლოდ სახლების აშენებით სინგაპურის ეკონომიკას არ ეშველებოდა, საჭირო იყო მეტი რეფორმა და მეტი თამამი გადაწყვეტილება. 1959 წლიდან 1965 წლამდე სინგაპური ეკონომიკის განვითარებას იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკით გეგმავდა, ეს მიდგომა იმ დროისთვის საკმაოდ პოპულარული იყო, მაგრამ არაეფექტური. დამოუკიდებლობის შემდეგ კი ლი კვან იუმ გააცნობიერა, რომ შეცდომების დაშვების უფლება აღარ ჰქონდა.

„ჩვენ გვქონდა გადარჩენის ერთადერთი გზა – სინგაპური უნდა ყოფილიყო უფრო ძლიერი, უკეთ ორგანიზებული და უფრო ეფექტური, ვიდრე სხვა ქვეყნები რეგიონში“, – იხსენებს ლი.

## სინგაპურის ეკონომიკური სასწაული

ლი კვან იუმ გადაწყვიტა ექცია სინგაპური „პირველი სამყაროს ოაზისად მესამე სამყაროს რეგიონში“. მისმა ეკონომიკურმა გუნდმა ექვსპუნქტიანი ეკონომიკური სტრატეგია შეიმუშავა: ინვესტირება სახელმწიფოში, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ბიზნესისათვის მეგობრული გარემოს შექმნა, თავისუფალი ვაჭრობა, მკაცრი მონეტარული პოლიტიკა და მაღალი დანაზოგები. სწორედ ამ გეგმის ამუშავების შედეგად მივიღეთ ის, რასაც დღეს სინგაპურის ეკონომიკურ სასწაულს ვეძახით.

1960-იან წლებში ვაჭრობისა და ინდუსტრიის სამინისტრომ შექმნა ეკონომიკის განვითარების საბჭო, რომლის მიზანი იყო ემოქმედა უცხოელ ინვესტორებთან „ერთი გაჩერების მაღაზიის“ პრინციპით. საბჭოს წარმომადგენლები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეძებდნენ ინვესტორებს და აცნობდნენ მათ სინგაპურის საინვესტიციო გარემოს, შემდეგ კი ცდილობდნენ არა მხოლოდ ინვესტორების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, არამედ მოთხოვნების გადაჭარბებით შესრულებას. მაგალითად, სამრეწველო ინდუსტრიის განსავითარებლად, მთავრობამ შექმნა სპეციალური ორგანო (Jurong Town Corporation), რომელიც ინვესტორებს უკვე მზა, აშენებულ ქარხნებს ახვედრებდა.

იმ დროისთვის ქვეყნები უცხოურ ინვესტიციებს დიდ საფრთხედ აღიქვამდნენ, სინგაპურს საკუთარი ფული არ გააჩნდა, შესაბამისად, უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის განვითარების ერთადერთი გზა იყო. მთავრობამ გადაწყვიტა მოეხსნა თითქმის ყველა შეზღუდვა ბიზნესისთვის და მაქსიმალურად წაეხალისებინა უც-

ხოლები ბიზნესის სინგაპურში დასაწყებად. უცხოური მულტინაციონალური კომპანიების სინგაპურში შემოსვლით ქვეყანაში იზრდებოდა დასაქმებულთა რაოდენობა, ეკონომიკაში იდებოდა მეტი ფული მაშინ, როცა თავად ეს კომპანიები ხეირობდნენ დაბალი გადასახადებითა და ბიზნესისადმი მეგობრული დამოკიდებულებით. ამ მიდგომამ გაამართლა და 2000 წლისთვის სინგაპურში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 114 მილიარდ დოლარს გაუტოლდა.

ბუნებრივია, ეკონომიკის განვითარების საწყის ეტაპებზე სინგაპური მხოლოდ უცხოურ ინვესტიციებზე ვერ იქნებოდა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ ლის მთავრობამ პირველ წლებშივე შექმნა ცენტრალური სადანაზოგო ფონდი, რომელიც სინგაპურის მოქალაქეებს ავალდებულებდა ხელფასის ნაწილის ფონდისთვის გადახდას, სანაცვლოდ პენსიაზე გასვლისას ეს მოქალაქეები თავისუფლდებოდნენ გადასახადებისგან იმავე ოდენობით, რაც მანამდე ფონდს გადაურიცხეს (ყოველწლიურად თანხას დამატებით 2.5 პროცენტი ერიცხებოდა). ის, თუ რამდენი უნდა გადაეხადა თითოეულ მოქალაქეს და რა შეღავათებს მიიღებდა იგი, დამოკიდებული იყო ქვეყნის მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე. სწორედ ამ დანაზოგებით ახერხებდა სინგაპურის მთავრობა საკუთარი პროგრამების დაფი-










ნანსებას (მაგ., სახლების მშენებლობას) საგარეო ვალის აღების გარეშე. ქვეყნის განვითარებასთან ერთად დაიხვეწა ფონდიც და პენსიაზე გასული სინგაპურელები დღეს უკვე ჯანმრთელობის დაზღვევას და სხვა სოციალურ სერვისებსაც იღებენ.

1968 წელს სინგაპურის ეკონომიკა რეკორდული მაჩვენებლით – 13.6%-ით გაიზარდა. თუმცა, მთავრობა ამით არ დაკმაყოფილდა და არსებულზე არ შეჩერდა. ლი აცნობიერებდა, რომ საჭირო იყო უფრო მეტი უცხოური კაპიტალის მოზიდვა, ამიტომ კომპანიებს, რომლებიც სინგაპურში ახორციელებდნენ სოლიდურ ინვესტიციებს, ეძლეოდათ „პიონერის“ სტატუსი, რაც გულისხმობდა მათთვის გადასახადების მოხსნას 5-დან 10-წლამდე. აღნიშნული ინიციატივა 1960-1970-იან წლებში ვრცელდებოდა მრეწველობაზე, 1970-1980-იან წლებში – ფინანსურ სერვისებზე, 1980-90-იან წლებში კი – ტექნოლოგიური საქმიანობით დაკავებულ კომპანიებზე. ამრიგად, სინგაპურმა ამ ხერხით მრავალი დარგის განვითარება შეძლო და არ გახდა დამოკიდებული ერთ კონკრეტულ სფეროზე, რომლის ჩავარდნის შემთხვევაშიც ქვეყნის ეკონომიკა მთლიანად ჩამოიშლებოდა.

1970-იანი წლებისთვის სინგაპურში სამუშაო ადგილების პრობლემა ნამდვილად აღარ იყო, პირიქით, ქვეყანაში უფრო მეტი სამუშაო ადგილი იქმნებოდა, ვიდრე დასაქმების მსურველი იყო, ეკონომიკა კი ყოველწლიურად საშუალოდ 10 %-ით იზრდებოდა.

სინგაპურის მთავრობა თავს მიიჩნევდა ბიზნესის მთავარ პარტნიორად და მეგობრად. მთავრობა არა მხოლოდ ცდილობდა მაქსიმალურად დაეკმაყოფილებინა ბიზნესის მოთხოვნები, არამედ წინასწარ განეჭვრიტა, თუ რა დასჭირდებოდა ბიზნესს სამომავლოდ, რათა მიეცა მისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა და განათლებული მუშახელი რამდენიმე წლით ადრე. იმისთვის, რომ ინვესტორების იმედები არ გაეცრუებინათ და მუშაობის ხარისხი კიდევ უფრო აემაღლებინათ, 1981 წელს ლი კვან იუმ წამოიწყო პროდუქტიულობის ამაღლების მოძრაობა. შეიქმნა პროდუქტიულობის სტანდარტის საბჭო, რომელმაც მიზნად დაისახა ყველა სფეროში დასაქმებული ადამიანების პროდუქტიულობის გაზრდა, მთელ ქვეყანაში შეხვდებოდით პოსტერებს წარწერით: “Good, Better, Best” და “Come On Singapore - Let's All Do a Little Bit More”.

ლი ასევე აცნობიერებდა, რომ ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი იყო განათლებული მოსახლეობა. მან ბრიტანული განათლების სისტემა უფრო პროგრესულით ჩაანაცვლა, რათა სინგაპურელები მსოფლიო ბაზარზე კონკუ-





**1965 წელს, მალაიზიის ფედერაციიდან სინგაპურის გარიცხვის შედეგად, ქვეყანას ურთიერთობები დაეძაბა მალაიზიასთან. მალაიზია, რომელიც რეგიონში სინგაპურის პირდაპირი კონკურენტია ინვესტიციების მოზიდვასა და ვაჭრობაში, სინგაპურის ერთადერთი წყალმომმარაგებელი იყო. ურთიერთობები განსაკუთრებით ჩიხში 2002 წელს შევიდა, როცა მალაიზიის ხელისუფლებამ სინგაპურისთვის საექსპორტო წყალზე ფასის გაზრდა გადაწყვიტა. სინგაპურის მთავრობამ გააცნობიერა, რომ მალაიზიაზე დამოკიდებულება კარგის მომტანი არ იქნებოდა და გადაწყვიტა თავად „შეექმნა“ წყალი. 2002 წლის აგვისტოში სინგაპურელებმა პირველად დააგემოვნეს “NEWater“ – ჩამდინარე წყლებისგან მიღებული წყალი, რომელიც 2003 წლის თებერვლიდან სრულიად შემოვიდა მოხმარებაში.**

**მართალია, სინგაპური კვლავ ეწევა წყლის იმპორტს მალაიზიიდან, თუმცა რაოდენობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული, ვინაიდან ქვეყანა წყალს უკვე თავადაც მოიპოვებს. დღეისათვის ქვეყნის ტერიტორიის ორ მესამედზე აგროვებენ წვიმის წყალს, სულ კუნძულზე 17 რეზერვუარია, გარდა ამისა, სინგაპური ამუშავებს ჩამდინარე წყლებსაც, შედეგად კი იღებს საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ სასმელ წყალს. 2016 წლისთვის ქვეყნის მოთხოვნის 30 პროცენტს NEWater-ი აკმაყოფილებს, 2060 წლისთვის კი დაგეგმილია, რომ მან 55 პროცენტს გადააჭარბოს.**

რენტუნარიანები ყოფილიყვნენ. ყველას შეეძლო მიეღო საბაზისო განათლება და მკაცრად იყო დაცული მერიტოკრატიის პრინციპი. ინგლისური გახდა პირველი სალაპარაკო ენა (ესეც კონკურენტუნარიანობისთვის), მაგრამ ლი ასევე ახალისებდა ბილინგვიზმს. პრემიერ-მინისტრმა ასევე შექმნა უნარების განვითარების ფონდი, სინგაპურელი მუშების უნარების დასახვეწად. მთავრობა სთავაზობდა ფინანსურ სტიმულს იმ კომპანიებს, რომლებიც საკუთარ მუშებს გადაამზადებდნენ.

სინგაპურის ხელისუფლებამ დიდი ინვესტიციები გაიღო პორტის ინფრასტრუქტურის და ეფექტურობის გასაუმჯობესებლად, ამავდროულად გააუქმა ყველანაირი ტარიფი ამ სფეროში, შედეგად კი 1975 წლისთვის ერთი უმნიშვნელო პორტი გადაიქცა მსოფლიოს მესამე ყველაზე დატვირთულ პორტად და რეგიონულ ჰაბად.

1983 წელს მთავრობამ შექმნა ვაჭრობის განვითარების საბჭო, რათა კიდევ უფრო წაეხალისებინა ექსპორტი სინგაპურიდან და ექცია ქვეყანა საერთაშორისო სავაჭრო ცენტრად. 1989 წელს კი, იმ დროისთვის ინოვაციური, პირველი ელექტრონული სავაჭრო სისტემა TradeNet-ი დააარსეს, რომელიც ბიზნესმენებს საქმიანობას მნიშვნელოვნად უმარტივებდა.

აღსანიშნავია, რომ ლი მხოლოდ ეკონომიკის განვითარებაზე არ ზრუნავდა. სამოციან წლებშიც კი, როცა მთავრობას არაერთი პრობლემა ჰქონდა, მოსახლეობა უსახლკარო იყო, არ არსებობდა ნორმალური განათლებისა და ჯანდაცვის სისტემები, სინგაპურის მთავარი არქიტექტორი, ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, გარემოს დაცვასაც ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა. 1960-იან წლებში სინგაპურში გადაფურთხების საწინააღმდეგო კანონი შემოიღეს, ასევე იკრძალებოდა საღეჭი რეზინის გაყიდვა. იმისთვის, რომ გაზრდილიყო ცხოვრების დონე, დაარსდა „სუფთა და მწვანე“ მოძრაობა. ყოველი წლის ნოემბერში, სინგაპურელები ქვეყნის ლიდერებთან ერთად ხის დარგვის ეროვნულ დღეს რგავდნენ ხეებს და უფრთხილდებოდნენ ბუნებას. ბუნების დამბინძურებლებზე დაწესებული იყო ძალიან მაღალი ფულადი ჯარიმები და სახალხოდ გაროზგავაც კი.



**სინგაპურის ბილინგვური პოლიტიკის თანახმად, ყველა მოსწავლე განათლებას იღებს ინგლისურ ენაზე. ინგლისური მიიჩნევა პირველ ენად, ხოლო მშობლიური ენა – მეორე ენად. მეორე ენა სინგაპურში არის ჩინური, მალაური ან ტამილური ენა.**





„კორუფციასთან ბრძოლა თქვენი ყველა მეგობრის ციხეში ჩასმით დაიწყეთ – თქვენც ნამდვილად იცით, რისთვის, და იმათაც იციან“.

ლი კვან იუ

## კორუფციასთან ბრძოლა

საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის აღქმის ინდექსში დღეს სინგაპური 168 ქვეყანას შორის მერვე ადგილზეა და ამაშიც უდიდესი დამსახურება სწორედ ლი კვან იუს მიუძღვის. პრემიერ-მინისტრმა ქვეყნის მეთაურობის დასაწყისშივე შექმნა კორუფციული პრაქტიკის გამოძიების საბჭო, დამოუკიდებელი ორგანო, რომელსაც პირადად აკონტროლებდა. საბჭოს მთავარი მიზანი კორუფციული გარიგებების აღმოჩენა და აღკვეთა გახლდათ. ადამიანი, რომელიც კორუფციაში იქნებოდა შემჩნეული, ჯარიმდებოდა 100 000 სინგაპურული დოლარით (54 000 ამერიკული დოლარი) და თავისუფლების აღკვეთით 5 წლით. კორუფციის ცდუნებისაგან დასაცავად ლიმ მთავრობის წევრებს სხვა ქვეყნებთან შედარებით ძალიან მაღალი ხელფასი დაუნიშნა – თავად პრემიერ-მინისტრი ყოველწლიურად 1 მილიონ ამერიკულ დოლარზე მეტს იღებდა, საშუალო რანგის მინისტრი კი – ნახევარ მილიონ დოლარზე მეტს. ამასთანავე, მოტივაციის გასაზრდელად, ხელფასები და ბონუსები პირდაპირ იყო მიბმული ქვეყნის მშპ-ის ზრდას-



მიუხედავად ზემოაღწერილი შთამბეჭდავი ფაქტებისა, სურვილის შემთხვევაში სინგაპურს მარტივად მოუძებნით ერთ ნაკლს, თანაც საკმაოდ დიდს – „დემოკრატიულობას“. შორეული აზიის ქვეყნების უმეტესობის მსგავსად, თავისუფლებისა და დემოკრატიის დასავლური იდეები და ღირებულებები არც სინგაპურშია მიღებული და საზოგადოებაში ფესვგადგმული. ლიმ შექმნა სახელმწიფო, სადაც მოქალაქეებს დღემდე არ შეუძლიათ იყიდონ საღეჭი რეზინი ან გამართონ აქციები სპეციალურად გამოყოფილი ადგილების გარდა სხვაგან, მაგრამ ამავდროულად სინგაპურელები თავს იწონებენ ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდით და აქვთ ცხოვრების ყველაზე მაღალი სტანდარტი.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სინგაპურში ერთგვარი სოციალური კონტრაქტი მოქმედებს, რომლის თანახმადაც, მოსახლეობა თმობს თავისუფლების დიდ ნაწილს, მაგრამ სანაცვლოდ იღებს კეთილდღეობას. მთლიანობაში, ამ სიტუაციას ძალიან კარგად აჯამებს New York Times-ის რესპონდენტი, ერთ-ერთი რიგითი სინგაპურელი: „სანამ ეკონომიკურად ძალიან კარგად ვცხოვრობთ, სახლის მომარაგების სისტემით და საჭმლით, ვის ადარდებს პოლიტიკა? მე მირჩევნია ვიცხოვრო სწორედ ასეთ ქვეყანაში, ვიდრე ქვეყანაში, სადაც გაქვს ყველანაირი თავისუფლება, მაგრამ ხარ მშიერი“.



თან: თუ მთავრობა კარგად მუშაობდა, იზრდებოდა ეკონომიკა, შესაბამისად, იზრდებოდა მთავრობის წევრების ხელფასებიც.

კორუფციისადმი ამგვარი დამოკიდებულება ლი კვან იუს ბუნებიდან გამომდინარეობდა, ის მიიჩნევდა, რომ კორუმპირებული სახელმწიფო წინ ვერ წავიდოდა. მისი მოსყიდვა ამერიკის ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომაც კი ვერ შეძლო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 1965 წელს CIA პრემიერს 3.3 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობის ქრთამს სთავაზობდა დაკავებული აგენტის განთავისუფლების სანაცვლოდ. პასუხი ლიმ საჯაროდ განაცხადა და თქვა, რომ ამერიკელებმა არ იციან, თუ როგორი ხასიათის ადამიანთან აქვთ საქმე, „თქვენ ვერ იყიდით და ვერ გაყიდით ჩვენს მთავრობას“, – თქვა მან.



„თუ სახელმწიფოს არასწორად მართავ, ყველა ჭკვიანი ადამიანი მას უბრალოდ დატოვებს“.

ლი კვან იუ

## თანამდებობის დატოვება

1990 წლის 28 ნოემბერს, პრემიერ-მინისტრობის 31 წლის შემდეგ, ლი კვან იუმ ადგილი გო ჩოკს დაუთმო, მაგრამ მთავრობის რიგები არ დაუტოვებია და კიდევ 21 წელი ემსახურა სინგაპურს, ჯერ – როგორც უფროსი მინისტრი გოს მთავრობის კაბინეტში, შემდეგ კი – როგორც მინისტრ-მენტორი თავისი შვილის, ლი სიან ლუნის მთავრობაში.

2011 წლის 14 მაისს, არჩევნების შემდეგ ლიმ განაცხადა, რომ ის საბოლოოდ მიდიოდა მთავრობიდან და აძლევდა პრემიერ-მინისტრ ლი სიან ლუნს „ახალ, სუფთა ქვეყანას“ სამართავად.

„ჩვენ შევიტანეთ ჩვენი წვლილი სინგაპურის განვითარებაში. მოვიდა იმის დრო, რომ ახალმა თაობამ წაიყვანოს სინგაპური წინ უფრო რთულ გზაზე“ – განაცხადა მან გადადგომისას.

„მე გავატარე მთელი ცხოვრება, ცხოვრების უდიდესი ნაწილი, ამ ქვეყნის აშენებაში. უკვე აღარ არსებობს მეტი რამ, რაც უნდა გავაკეთო. რა მივიღე საბოლოოდ? – წარმატებული სინგაპური. რისი დათმობა მომიწია? – ჩემი ცხოვრების“, – განუცხადა სინგაპურის არქიტექტორმა ჟურნალისტებს 2011 წელს.





„თუ თქვენ გსურთ მიაღწიოთ თქვენს მიზნებს და აისრულოთ ოცნებები, თქვენ ამას ვერ შეძლებთ დისციპლინის გარეშე“.

ლი კვან იუ

## როგორი ქვეყანა ააშენა ლიმ?

ლი კვან იუ 52 წლის განმავლობაში იყო სინგაპურის მთავრობაში. რა შეცვალა და როგორი სინგაპური დატოვა მან?

ლი კვან იუმ შეძლო და შექმნა ერი, შექმნა ქვეყანა კარგი განათლებით, დისციპლინით, ეთნიკური ტოლერანტობით და ძლიერი ეკონომიკით.

სინგაპურის მთავარი არქიტექტორის შედეგების სანახავად ციფრებზე თვალის გადავლებაც კი საკმარისია. ლის ხელმძღვანელობით საგარეო ვაჭრობა 7 მილიარდი ამერიკული დოლარიდან 982 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა 2014 წლისთვის. სინგაპური გახდა რეკორდსმენი ეკონომიკურ ზრდაში. ქვეყნის ეკონომიკა ოთხი დეკადის განმავლობაში საშუალოდ 7 %-ით იზრდებოდა. 1959 წელს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე სულ რაღაც 1240 დოლარი იყო, დღეს კი 85 000 ამერიკულ დოლარს აღემატება (PPP პარიტეტი) და ყველაზე მდიდარი ქვეყნების ჩამონათვალში მხოლოდ კატარს და ლუქსემბურგს ჩამორჩება, უსწრებს რა ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იაპონია. მოსახლეობა 1.6 მილიონიდან 5.5 მილიონამდე გაიზარდა, სინგაპურელთა სიცოცხლის საშუალო მაჩვენებელი კი თუ ადრე 65 წელი იყო, დღეს 83 წელია (სინგაპური ამ მაჩვენებლითაც მესამე ადგილზეა






მსოფლიოში), გაიზარდა განათლების დონეც, წიგნიერების მაჩვენებელი ქვეყანაში 96,7 %-ია. უმუშევრობა კი 13.5 %-დან 1.7 %-მდე შემცირდა. სინგაპური გახდა ტურისტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ადგილი, მას ყოველწლიურად 15 მილიონი ადამიანი სტუმრობს, რითაც ქვეყნის ბიუჯეტს 24 მილიარდი ამერიკული დოლარით ამდიდრებს.

ლი კვან იუმ მართლაც შეძლო ერთ თაობაში გარდაექმნა მესამე სამყაროს ქვეყანა, რომელშიც ხალხს სახლ-კარიც კი არ ჰქონდა, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად. მიუხედავად ამისა, ლი არასდროს ხარჯავდა ხალხის ფულს არარაციონალურად, ცხოვრობდა მოკრძალებულ სახლში, დაფრინავდა ჩვეულებრივი რეისებით და არა ჩარტერით და ყოველთვის რჩებოდა ჩვეულებრივ სასტუმროებში, ერთკაციან ნომრებში.

სინგაპურის არქიტექტორი 2015 წელს 91 წლის ასაკში გარდაიცვალა. ერთი კვირის განმავლობაში მთელი სინგაპური აცრემლებული ემშვიდობებოდა ერის მამას. ლის საქმიანობას დღეს მისი შვილი ლი სიან ლუნი აგრძელებს. ლი კვან იუს სახელი კი არა მხოლოდ ყველა სინგაპურელს, არამედ მთელ მსოფლიოს დარჩა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ლიდერისა და რეფორმატორის. არავინ იცის, თუ რა იქნებოდა დღეს მსოფლიოში, ლი კვან იუ პატარა კუნძულის ნაცვლად რომელიმე ძლიერ ქვეყანაში რომ დაბადებულიყო.





# მარტონი ვართ თუ არა სამყაროში?

ზაზა ოსმანოვი

ადამიანის ინტერესს ოდითგანვე წარმოადგენდა იმის გარკვევა, მარტო იყო თუ არა ამ უკიდეგანო კოსმოსში. ჩვენი სამყარო იმდენად დიდი ზომისაა, რომ მასში უამრავი გალაქტიკაა. ამ ვარსკვლავების უმეტესობას თანამგზავრი პლანეტები ახლავს და, შესაბამისად, მათ სითბურ ენერგიასაც გადასცემენ. რაც უფრო ახლოსაა პლანეტა ვარსკვლავთან, მით მეტ ენერგიას იღებს მისგან და, შესაბამისი პირობების შემთხვევაში, შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ იქ სიცოცხლე გაჩნდეს. ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთის მოაზროვნენი ფიქრობდნენ, რომ სიცოცხლე ნივთიერების შინაგანი თვისებაა და სადაც სიცოცხლისთვის ვარგისი პირობები შეიქმნებოდა, წარმოიქმნებოდა სიცოცხლე. ამ იდეების გამტარებლები იყვნენ ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსები: თალესი, დემოკრიტე, ლუკრეციუსი და პლატონი. მეტროდოროს ქიოსელი უცნაურად მიიჩნევდა იმის დაშვებას, რომ კოსმოსში სიცოცხლე მხოლოდ დედამიწაზე შეიძლება არსებულიყო, ხოლო ეპიკურე ფიქრობდა, რომ ვინაიდან სამყაროთა რაოდენობა უსასრულოა, შეუძლებელია სადღაც სიცოცხლე არ არსებობდეს. პერიოდს, სანამ ტელესკოპს გამოიგონებდნენ, შეიძლება ვუწოდოთ ოპტიმიზმის ერა, როდესაც დომინირებდა მრავალი დასახლებული სამყაროს (პლანეტის) წარმოდგენა. ვინაიდან მთვარე იყო ერთადერთი ციური სხეული, რომლის ზედაპირი შეუიარაღებელი თვალითაც საკმარისად კარგად ჩანდა და ცხადი იყო, რომ ის არ იყო ერთგვაროვანი, მრავალი რომაელი და

**გალაქტიკა** – გრავიტაციულად დაკავშირებული მატერიის მასიური სისტემა, რომელიც შეიცავს ვარსკვლავებს, ვარსკვლავურ ნარჩენებს, გაზისა და მტვრის ვარსკვლავთშორის სივრცესა და ბნელ მატერიას – მნიშვნელოვან, მაგრამ თითქმის უცნობ კომპონენტს. სიტყვა გალაქტიკა ბერძნული „γαλαξίας“-იდან მოდის და ნიშნავს „რძიანს“. ამიტომაც ინგლისურად ჩვენს გალაქტიკას „რძიან გზას“ (Milky Way) უწოდებენ, ხოლო ქართულად მას ძირითადად „ირმის ნახტომად“ მოიხსენიებენ. გალაქტიკის მსგავსი სისტემები სამყაროში აურაცხელია. მათი მრავალფეროვნება იწყება ჯუჯებით, რომლებიც 10 მილიარდამდე ვარსკვლავს შეიცავს, და მთავრდება გიგანტებით, რომელთა შემადგენლობაში 100 ტრილიონი ვარსკვლავია. თითოეული ვარსკვლავი საკუთარი გალაქტიკის მასის ცენტრის ირგვლივ მოძრაობს.

ბერძენი მოაზროვნე ფიქრობდა, რომ მთვარე უთუოდ დასახლებული უნდა ყოფილიყო.

XVII საუკუნის დასაწყისში ასტრონომიაში სრულიად ახალმა ერამ შემოაბიჯა. გამოჩენილმა იტალიელმა მეცნიერმა გალილეო გალილეიმ პირველად გამოიყენა ტელესკოპი და იმ დროისთვის უდიდესი აღმოჩენაც გააკეთა – ტელესკოპის საშუალებით მან შეძლო თვალისთვის უხილავი იუპიტერის რამდენიმე თანამგზავრზე დაკვირვება. მომდევნო ორ საუკუნეში ტელესკოპების გაუმჯობესებამ ასტრონომებს უფრო მეტი ციური სხეული დაანახა და, შესაბამისად, რწმენა მრავალი სამყაროსი, სადაც პოტენციურად სიცოცხლე შეიძლება არსებულიყო, კიდევ უფრო გაზარდა. ეს ოპტიმიზმი იმდენად დიდი იყო, რომ მრავალი მეცნიერი ცდილობდა ამ პრობლემას შეხებოდა. მაგალითად, ბრიტანელი ასტრონომი უილიამ ჰერშელი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ მთვარის ზედაპირის მცირე წრეები (იხ. სურ. 1) მთვარის მაცხოვრებლების ნახელავი უნდა ყოფილიყო და ის მათ ქალაქებად მოიხსენიებდა. XIX საუკუნის კიდევ ერთი გამორჩეული ასტრონომი პერსივალ ლოუელი მარსის დასერილ ზედაპირს იქ მაცხოვრებელთა აქტივობით ხსნიდა. ეს მდგომარეობა გაგრძელდა დაახლოებით წინა საუკუნის 60-იან წლებამდე: დაიწყო კოსმოსური ერა და ამ პერიოდიდან მოყოლებული განხორციელდა რამდენიმე შთამბეჭდავი პროექტი. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ 1975 წლის 20 აგვისტოს და 9 სექტემბერს ნასას მიერ ორი კოსმოსური ხომალდის (Viking-1; Viking-2) გაშვება მარსის მიმართულებით. ამ ხომალდებმა მიაღწიეს მარსს, ორივე წარმატებით დაჯდა წითელი პლანეტის ზედაპირზე და კაცობრიობამ პირველად იხილა ამ შესანიშნავი ციური სხეულის ზედაპირის ფოტო უშუალო სიახლოვიდან (იხ. სურ. 2). აღმოჩნდა, რომ არათუ მაღალი ცივილიზაცია არ გვხვდება იქ, არამედ, როგორც პირველადმა დაკვირვებებმა აჩვენა,



გალილეო გალილეი (1564-1642) – იტალიელი ფიზიკოსი, მექანიკოსი, ასტრონომი, ფილოსოფოსი, სამეცნიერო რევოლუციის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, პოეტი, ფილოლოგი და კრიტიკოსი.

თითქოს მიკროორგანიზმების ნაკვალევიც არ არის. ერთი წლის შემდეგ საბჭოთა ხომალდმა Venera-9-მ პლანეტა ვენერა მოინახულა (იხ. სურ. 3) და აღმოჩნდა, რომ ისიც ძალიან უსიცოცხლოდ გამოიყურებოდა. მომდევნო პერიოდის კოსმოსურმა რობოტიზებულმა მისიებმა ამ მხრივ პრინციპულად არაფერი ახალი არ მოგვცა და შედეგად დიდმა ოპტიმიზმმაც იკლო.

უნდა ითქვას, რომ 1990-ანი წლებიდან ძალიან საინტერესო ეტაპი იწყება კოსმოსში სიცოცხლის ძიების სფეროში. კოსმოსური ტექნოლოგიების განვითარებამ საშუალება მოგვცა ძალიან



სურათი 1. მთვარის ზედაპირი



სურათი 2. პლანეტა მარსი



სურათი 3. პლანეტა ვენერა



სურათი 4. ყინული მარსზე



სურათი 5. წყლის ნაკადები მარსზე




სურათი 6.

მაღალი გარჩევადობის ფოტოები გადაგველო, რამაც ციურ სხეულებზე დაკვირვების ხარისხი იმდენად გაზარდა, რომ თუ ადრე მარსი გვეგონა სრულიად „უნაყოფო“ უდაბნო, სადაც წყლის არსებობა მხოლოდ შორეულ წარსულში მოიაზრებოდა, ახალი ტექნოლოგიების წყალობით მეცნიერებმა მარსზე აღმოაჩინეს არათუ ყინულის მასიური უბნები (იხ. სურ. 4) და ხეობები, რომლებიც სავარაუდოდ თხევადი წყლის მიერაა შექმნილი, არამედ უშუალოდ თხევადი წყლის ნაკადები დააფიქსირეს (იხ. სურ. 5). ამას გარდა, მიკროორგანიზმებზე კვლევებმა აჩვენა, რომ ზოგიერთი ადგილი დედამიწაზე, რომელიც აქამდე უსიცოცხლოდ ითვლებოდა, უამრავი მიკროორგანიზმითაა დასახლებული. ამ ადგილებიდან ზოგიერთში პირობები ძალიან მიახლოებულია იგივე მარსის პირობებთან, რაც გარკვეულწილად ოპტიმიზმის ახლად დაბადებას ნიშნავს. სურ. 6 -ზე ნაჩვენებია ხარისხობრივი გრაფიკი ოპტიმიზმის ცვლილებისა დროის მიხედვით. ახალი დარგის, ასტრობიოლოგიის (დარგი, რომელიც იკვლევს კოსმოსში სიცოცხლის არსებობას), გამოწვევა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დავადგინოთ თუ რა მიმართულებით წავა გრაფიკი.

## NASA

**ნასა – აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო (NASA – National Aeronautics and Space Administration) – დაარსდა კოსმოსური ერის დაწყებიდან (როდესაც 1957 წელს საბჭოეთმა გაუშვა ხელოვნური თანამგზავრი „სპუტნიკი“) ერთი წლის შემდეგ, კერძოდ, 1958 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში. ნასა ერთ-ერთია, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ამბიციურ პროექტებს ახორციელებს, რომელთა არეალი ძალიან ფართო სპექტრს მოიცავს. ესენია კვლევები აერონავტიკაში, ფუნდამენტურ მეცნიერებაში, მაღალ ტექნოლოგიებში და სხვა. ცალკე უნდა აღინიშნოს ნასას სატელიტური ტელესკოპი ჰაბლი, რომლის წყალობით მეცნიერებს საშუალება აქვთ ძალიან ღრმად ჩაიხედონ ჩვენი სამყაროს ყველაზე უფრო იდუმალებით მოცულ, მიკარგულ უბნებში. ამჟერად ნასა აპროექტებს შემდეგი თაობის უნიკალურ კოსმოსურ ტელესკოპს (James Webb Space Telescope), რომლის ორბიტაზე გატანა 2018 წელს იგეგმება.**





საინტერესო აღმოჩნდა მზის სისტემის ორი გიგანტური პლანეტის იუპიტერისა და სატურნის თანამგზავრთა კვლევები. 1997 წლის 20 თებერვალს რობოტიზებულმა თანამგზავრმა „Galileo“-მ ძალიან ახლო მანძილიდან ჩაუფრინა იუპიტერის თანამგზავრ „ევროპას“ და შთამბეჭდავი ფოტოები გადაიღო (იხ. სურ. 7, 8). ანალიზი ადასტურებს, რომ, სავარაუდოდ, ევროპის ზედაპირი დაფარულია ყინულის 50-100-კილომეტრიანი სისქის ფენით, რომლის შიგნით უნდა იყოს ოკეანე. წინასწარი კვლევების თანახმად ითვლება, რომ წყლის თხევად მდგომარეობაში შენარჩუნება გამოწვეულია ევროპის ტრიალით იუპიტერის გარშემო. ამ მოძრაობისას თანამგზავრის სხვადასხვა უბანი იუპიტერის მიერ განსხვავებული ძალით მიიზიდება, რაც იწვევს ფენების ერთმანეთთან ხახუნს და საგრძნობი სითბოს გამოყოფას. ეს სითბო საკმარისია, რომ ევროპის შიგნით არსებული წყალი თხევად მდგომარეობაში იყოს. ყოველივე ეს კი ნიშნავს, რომ იქ მოსალოდნელია სიცოცხლის არსებობაც (იხ. სურ. 9). უახლოეს მომავალში იგეგმება საკვლევი თანამგზავრის გაგზავნა, რომელიც უნდა დაჯდეს ამ ციური სხეულის ზედაპირზე, სპეციალური მოწყობილობის მეშვეობით ჩააღწიოს სიღრმეში ოკეანემდე და გამოიკვლიოს ეს იდუმალი გარემო.

სატურნის ექვს ათეულზე მეტ თანამგზავრს შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გახლავთ ენცელადი. 1997 წლის 15 ოქტომბერს ნასამ გაუშვა ხომალდი Cassini, რომლის მიზანი იყო სატურნამდე მიღწევა და მისი სიახლოვის გამოკვლევა. 7 წლის ფრენის შემდეგ მან მიაღწია დანიშნულების ადგილს და ენცელადას მეტად საინტერესო ფოტო გამოაგზავნა (იხ. სურ. 10). ფოტოზე ნათლად ჩანს, რომ ამ ციური სხეულის ზედაპირიდან ძალიან ინტენსიურად ამოიფრქვევა ნივთიერება. მეცნიერებმა ჩაატარეს კვლევა და დაასკვნეს, რომ ამოფრქვეული ნივთიერება ძირითადად შედგება წყლის ორთქლისა და მტვრისგან, ანუ შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ენცელადის სიღრმეშიც არის თხევადი წყალი და სავარაუდოდ – სიცოცხლეც.

იმისათვის, რომ შევისწავლოთ სიცოცხლის არსებობა ახლო და შორეულ კოსმოსში, მეცნიერებს შემოაქვთ ჰაბიტაბილობის (Habitability) ცნება, რაც გულისხმობს სიცოცხლისთვის ვარგისი პირობების არსებობას, ხოლო იმ არეალს, სადაც ეს პირობები კმაყოფილდება – ჰაბიტაბილობის, იგივე სასიცოცხლო, ზონას ეძახიან. მაგალითად, ვინაიდან დედამიწაზე სიცოცხლე არსებობს, ცალსახად ვიცით, რომ დედამიწა მზიდან იმყოფება სასიცოცხლო ზონაში. მაინც როგორ განსაზღვრავენ მეცნიერები ამ ზონას, კერძოდ კი, მანძილს ვარსკვლავიდან, სადაც სიცოცხლისთვის ხელსაყელი პირობებია? მოდი, განვიხილოთ დედამიწაზე სიცოცხლის მრავალფეროვნება და ვიპოვოთ ის ფიზიკური პირობები, რომლებშიც ეს ცოცხალი ორგანიზმები არსებობენ. დავიწყოთ ადამიანით. ცნობილია, რომ ადამიანისთვის ბუნებრივი არსებობის პირობებია, როდესაც გარემოს ტემპერატურა საგრძნობლად არ აღემატება +35 გრადუსს ცელსიუსით. მინიმალური დასაშვები ტემპერატურა კი შეიძლება ჩავთვალოთ 0 გრადუსის ტოლად. თუ ჩვენი მიზანია კოსმოსში სიცოცხლის ყველა შესაძლო ფორმის პოვნა, უნდა განვიხილოთ აგრეთვე სიცოცხლის ის ფორმები, რომლებიც უფრო ექსტრემალურ პირობებში არსებობენ. ესენია მიკროორგანიზმები, რომელთა მრავალფეროვნების გათვალისწინება მოგვცემს ტემპერატურის უფრო დიდ შუალედს: –200C +1200C. სიცოცხლის იმ ფორმის არსებობისთვის, რასაც ვხვდებით დედამიწაზე, საჭიროა ორი (თუმცა არასაკმარისი) მნიშვნელოვანი ფაქტორი. ესენია:

სურათი 7-8 . იუპიტერის თანამგზავრი – ევროპა





სურათი 9.

ენერგიის შესაბამისი წყარო და თხევადი წყალი. ეს ფაქტორები ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ჩვენც, პირველ რიგში, მზიდან მოსულ ენერგიას შევეხებით. ჩვენი უახლოესი ვარსკვლავი იმდენად დიდ ენერგიას ასხივებს ყოველ წამში, რომ ის დაახლოებით $10^{30}$ ცალი (რიცხვი, რომელიც ერთიანის შემდეგ ოცდაათი ნულის მიწერით გამოისახება) საშუალო სიმძლავრის ატომური სადგურის მიერ გამომუშავებული სიმძლავრის ტოლფასია. მეორე მხრივ, დედამიწა საკმაოდ შორსაა მზიდან და ამის გამო მხოლოდ მთელი გამოსხივებული ენერგიის ძალიან უმნიშვნელო ნაწილს იღებს, რომელიც, თუმცა ძალიან პატარაა, მაინც საკმარისია, რომ უზრუნველყოს თხევადი წყლის არსებობა და შედეგად – სიცოცხლეც. იმისათვის, რომ გავარკვიოთ მზის სისტემის სხვა ციურ სხეულებზე რამდენადაა შესაძლებელი სიცოცხლის არსებობა, შევეხოთ მზიდან მოსული ენერგიის ნაკადს, ანუ ენერგიას მოსულს ყოველ წამში ზედაპირის თითოეულ კვადრატულ მეტრზე. ცნობილია, რომ ნაკადი მანათობელი სხეულიდან მცირდება მანძილის კვადრატის უკუპროპორციულად, რაც ნიშნავს იმას, რომ მანძილის ორჯერ გაზრდით ნაკადი მცირდება (2*2=)4-ჯერ, მანძილის სამჯერ გაზრდით (3*3=)9-ჯერ და ა.შ. შემოვიტანოთ მანძილის უფრო მოხერხებელი ერთეული – ე.წ. ასტრონომიული ერთეული (ა.ე.), რაც დედამიწიდან მზემდე საშუალო მანძილის ტოლია და უდრის დაახლოებით 146 მილიონ კილომეტრს. ძალიან ბუნებრივია, რომ სასიცოცხლო ზონაში ენერგიის ნაკადის ეტალონად მივიჩნიოთ დედამიწაზე მოსული ნაკადი და ყველა სხვა ციურ სხეულთა ზედაპირზე მოსული ნაკადები დედამიწისას შევადაროთ, რომელსაც ერთის ტოლად ჩავთვლით. განვიხილოთ დედამიწასთან უახლოესი ორი პლანეტა – ვენერა და მარსი. ვენერა მზიდან 0,7 ა.ე. მანძილზე იმყოფება, ანუ უფრო ახლოს, ვიდრე დედამიწაა და მის ზედაპირზე მოსული ენერგიის ნაკადი დედამიწის ნაკადს აჭარბებს 1/(0,7*0,7)=2-ჯერ. მარსის შემთხვევაში, რომელიც დედამიწასთან შედარებით უფრო შორსაა მზიდან (1,4 ა.ე.), მოსული ენერგიის ნაკადი ეტალონური ნაკადის 1/(1,4*1,4)=0,5 ნაწილს შეადგენს, ანუ მასზე დაახლოებით ორჯერ ნაკლები ენერგია მოდის, ვიდრე დედამიწაზე. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მიკროორგანიზმებს უფრო დიდი გამძლეობის უნარი აქვთ (რაზეც ზემოთაც მოგახსენეთ), შეიძლება ჩვენება, რომ სასიცოცხლო ზონა გრძელდება მზიდან 0,6 ა.ე.-დან 1,2 ა.ე.-მდე ვიწრო ზოლში, რის გამოც ვენერაც და მარსიც, როგორც გრაფიკზეა ნაჩვენები (იხ. სურ. 11, სადაც ვარსკვლავის მასა მოცემულია მზის მასის ერთეულში), ამ ზონის (ლურჯი ფერით ნაჩვენები არე) მიღმა რჩება. გრაფიკიდან ასევე




სურათი 11.



სურათი 10.

ცხადია, რომ რაც უფრო მასიურია ვარსკვლავი, მით უფრო შორსაა სასიცოცხლო ზონა მისგან, ვინაიდან მასიური ვარსკვლავები უფრო მეტ ენერგიას ასხივებენ, ვიდრე ნაკლებად მასიურები და, შესაბამისად, მათგან შედარებით შორს იქნება ხსენებული არე.

წინა საუკუნის დასასრულიდან და ამ საუკუნის პირველ დეკადაში ძალიან საინტერესო აღმოჩენების ერა დაიწყო – ერა ეგზოპლანეტების ძიებისა. ეგზოპლანეტები ეწოდება მზის სისტემის გარეთ არსებულ პლანეტებს და სავსებით ბუნებრივია მათ მიმართ ჩვენი ინტერესი, ვინაიდან არაა გამორიცხული იქ, შორეულ კოსმოსში, წავაწყდეთ სიცოცხლეს. 2009 წელს ნასამ დედამიწის ორბიტაზე გაუშვა ტელესკოპი კეპლერი (Kepler), რომლის მიზანია შორეული პლანეტარული სისტემების აღმოჩენა და მათი შესწავლა. დღეისთვის ამ ტელესკოპმა უკვე 2000-ზე მეტი ეგზოპლანეტა აღმოაჩინა, რომელთაგან რამდენიმე განსაკუთრებით საინტერესოა. ერთ-ერთი მათგანია პლანეტა Kepler 22b, რომელიც თავისი ვარსკვლავიდან 0,85 ა.ე. მანძილზე იმყოფება. იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრალური ვარსკვლავის სიკაშკაშე მზის სიკაშკაშის 79 პროცენტს შეადგენს, იდეალური სასიცოცხლო მანძილია 0,88 ა.ე., რაც ნიშნავს, რომ პლანეტა იმყოფება სასიცოცხლო ზონაში. ამასთან, თუ პლანეტას ატმოსფერო აკრავს, გამოვა, რომ მისი ზედაპირის საშუალო ტემპერატურა შეიძლება 22 გრადუსის ტოლი იყოს და ისიცაა მოსალოდნელი, რომ იქ სიცოცხლის ჩვენთვის უცნობი ფორმა არსებობდეს. თუ ეს პლანეტა ჩვენგან 600 სინათლის წლის მანძილზეა (მანძილი, რომელსაც სინათლე 600 წლის განმავლობაში გადის), პლანეტა Proxima Centauri b მზიდან დაახლოებით 4,2 სინათლის წლის მანძილზეა და ჩვენგან უახლოესი ვარსკვლავის Proxima Centauri-ს გარშემო ბრუნავს. ეს ციური სხეული წარმოადგენს წითელ ჯუჯა ვარსკვლავს, რომლის სიკაშკაშე მზის სულ რაღაც 0,15 პროცენტს შეადგენს. მეცნიერთა ვარაუდით, მსგავსად წინა ეგზოპლანეტისა, ეს პლანეტაც სასიცოცხლო ზონაში უნდა იმყოფებოდეს. კიდევ ერთი თავისებურება ამ პლანეტისა ის გახლავთ, რომ მისი მასა, სავარაუდოდ, დედამიწის მასაზე სულ ოდნავ დიდია, რაც ამ ეგზოპლანეტას მეტად საინტერესო პლანეტათა რიგში აყენებს. კერძოდ, თუ ის ისეთივე კლდოვანი ტიპის ციური სხეულია, როგორიც



Proxima Centauri b



დედამიწა, მაშინ მასზე სიცოცხლის არსებობის ალბათობა კიდევ უფრო მაღალია. რასაკვირველია, ნაადრევი დასკვნების გაკეთება არასწორი იქნებოდა, თუმცა ასტრონომთა და ასტრობიოლოგთა ინტერესი სულ უფრო მატულობს ამ უახლესი აღმოჩენის მიმართ.

სიცოცხლის პრიმიტიული ფორმების ძიების გარდა, მეცნიერთა განსაკუთრებულ ინტერესს მაღალგანვითარებული ცივილიზაციის ძიება წარმოადგენს. წინა საუკუნის სამოციანი წლებიდან დაიწყო არამიწიერი ცივილიზაციის ძიების, ე.წ. SETI (Search for Extraterrestrial Intelligence) ერა. კერძოდ, 1960 წელს ეროვნული რადიოასტრონომიული ობსერვატორიის (NRAO) რადიოასტრონომმა ფრენკ დრეიკმა განახორციელა პირველი SETI ექსპერიმენტი: მან რადიოტელესკოპის რადარები მიმართა ტაუ-სეტისკენ (ვეშაპის თანავარსკვლავედი) და ეფსილონ ერიდანუსისკენ (ერიდანუსის თანავარსკვლავედი). ტელესკოპის რადიომიმღები ახდენდა რადიოსიგნალების სკანირებას და ეძებდა გარკვეული თავისებურებების შემცველ სიგნალებს, რომლებიც შესაძლოა მაღალი ცივილიზაციის ნიშანი ყოფილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პირველი მცდელობა უარყოფითი შედეგით დასრულდა.

1974 წელს SETI-ს ფარგლებში არესიბოს რადიოობსერვატორიის რადარი მიმართეს ძალიან მჭიდროდ განლაგებულ ვარსკვლავთა გროვისკენ M13-კენ (იხ. სურ. 12). ეს ე.წ. გლობულარული კლასტერი იმყოფება ჩვენგან დაახლოებით 25100 სინათლის წლის მანძილზე და მოიცავს მჭიდროდ განლაგებულ რამდენიმე ასეულ ათას ვარსკვლავს. ამ ე.წ. არესიბოს მესიჯის მიზანი




ფრენკ დრეიკი

გახლდათ ის, რომ, ვინაიდან M13 ძალიან ბევრ ვარსკვლავს მოიცავს, რადიოსიგნალის გაგზავნით ერთდროულად ვაგზავნით მესიჯს ყველა ვარსკვლავისკენ და თუ რომელიმეში მინიმუმ ჩვენი ცივილიზაციის დონეა, ისინი ჩვენგან შეტყობინებას მიიღებენ. ფრენკ დრეიკის და ასტრობიოლოგიის ერთ-ერთი დამაარსებლის კარლ სეიგანის თაოსნობით შემუშავდა ტექსტური შეტყობინების შინაარსი. თავად მესიჯი გაიგზავნა ბინარული კოდის (ორობითი სისტემის) სახით და გადაიცა 1679 „ციფრი“. ასეთი რიცხვი არ შერჩეულა შემთხვევით, ის წარმოადგენს ორი მარტივი რიცხვის 23-ისა და 73-ის ნამრავლს და თუ მესიჯს განვალაგებთ ისე, რომ 23 ერთეული დაეტიოს „სიგანეში“ და 73 - „სიმაღლეში“, მაშინ მივიღებთ სურათზე ნაჩვენებ გამოსახულებას (ფერები თვალსაჩინოებისთვისაა არჩეული). მეცნიერთა ვარაუდით, იმ ცივილიზაციას არ უნდა გაუჭირდეს სიგნალის გაშიფვრა. მესიჯი



სურათი 12
ვარსკვლავთა გროვა M13



**არესიბოს რადიოობსერვატორია**



შეიცავდა რამდენიმე მნიშვნელოვან ინფორმაციას: 1) რიცხვებს 1-დან 10-მდე (სურათზე თეთრად); 2) დნმ-ის (მოლეკულა, სადაც ადამია-ნის გენეტიკური ინფორმაცია ინახება) შემცველი ძირითადი ელემენ-ტების ატომურ რიცხვებს (იასამნისფერი); 3) ფუძეებისა და შაქრების ფორმულებს დნმ-ში (მწვანე); 4) დნმ-ში უმნიშვნელოვანესი ორგანუ-ლი მოლეკულების ნუკლეოტიდების რაოდენობას (თეთრი & ლურჯი); 5) ადამიანის გრაფიკულ ფიგურას, ინფორმაციას მისი ზომების და მე-სიჯის გაგზავნის მომენტისთვის დედამიწაზე კაცობრიობის პოპულა-ციის შესახებ (წითელი, ლურჯი & თეთრი და თეთრი); 6) გრაფიკს მზის სისტემის და ამ სისტემაში ჩვენი მდებარეობის შესახებ (ყვითელი); 7) არესიბოს ობსერვატორიის გრაფიკულ გამოსახულებას და ინფორმა-ციას მისი ზომების შესახებ (იასამნისფერი, თეთრი და ლურჯი). მარ-თალია, ამ რადიოსიგნალს ჯერ არ მიუღწევია M13-მდე, თუმცა როდე-საც მიაღწევს, დაახლ. 25 ათასი წლის შემდეგ, და იქ ამ სიგნალს დახვ-დება მინიმუმ ჩვენი ტექნოლოგიის მქონე ცივილიზაცია, ის, სავარა-უდოდ, გაშიფრავს ამ ინფორმაციას და გაიგებს ჩვენი არსებობის შესახებ, თუმცა იარსებებს თუ არა ჩვენი ცივილიზაცია იმ მომენტის-თვის, არავინ იცის. უფრო მეტიც, თუნდაც რომ იარსებოს, ცხადია, რომ მინიმალური დრო ასეთი კომუნიკაციისთვის არის დაახლ. 50 ათასი წელი, რადგან მათ მიერ უკან გამოგზავნილ საპასუხო „წერილს“ ისევ იმდენივე დრო დასჭირდება ჩვენამდე მოსაღწევად.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა, რამდენად არის შე-საძლებელი შეფასდეს, თუ რამდენი ასეთი ცივილიზაცია შეიძლება იყოს ჩვენს გალაქტიკაში. 1961 წელს ფრენკ დრეიკმა გამოაქვეყნა მა-თემატიკური ფორმულა, რომელიც საშუალებას იძლევა ძალიან უხე-შად შეფასდეს ცივილიზაციათა რაოდენობა ირმის ნახტომის გალაქ-ტიკაში. ეს ფორმულა ასე გამოიყურება:

$$N = R \times f_{\text{ვ}} \times n \times f_{\text{ს}} \times f_{\text{გ}} \times f_{\text{რ}} \times L$$

სადაც $N$ საძიებელი რიცხვია, $R$ – წელიწდაში წარმოქმნილი ახალი ვარსკვლავების რაოდენობა, $f_{\text{ვ}}$ – საერთო რაოდენობიდან იმ ვარსკ-ვლავების წილი (ანუ ამ ვარსკვლავების რაოდენობა გაყოფილი სრულ

რაოდენობაზე), რომელთაც პლანეტები აქვთ, $n$ – თითო ვარსკვლავისთვის პლანეტების საშუალო რაოდენობა, სადაც სასიცოცხლო პირობებია, $f_ს$ – საერთო რაოდენობიდან იმ პლანეტათა წილი, სადაც რეალურად ჩაისახა სიცოცხლე, $f_გ$– აღნიშნული რაოდენობიდან წილი, სადაც გონიერი სიცოცხლე განვითადა $f_რ$– ჯამური რაოდენობიდან ცივილიზაციათა წილი, რომელთაც რადიოკომუნიკაცია შეუძლიათ და $L$ – ასეთი მაღალტექნოლოგიური ცივილიზაციის ხანგრძლივობა დროში. დღევანდელი გათვლებით ცნობილია, რომ წელიწადში ერთი ვარსკვლავი წარმოიქმნება, ანუ $R=1$ვ/წ სავარაუდოდ, 20-დან 50 პროცენტამდე ვარსკვლავებს აქვთ პლანეტები, ანუ $f_ჯ=0,2-0,5$. დანარჩენი სიდიდეების მნიშვნელობის შესახებ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ. თუ ჩავთვლით $n=f_ს=f_გ=1$, $f_რ=0,1$ და დავუშვებთ, რომ ტექნოლოგიური ცივილიზაციის ხანგრძლივობა საშუალოდ 3000 წელს შეადგენს, მივიღებთ, რომ ჩვენს გალაქტიკაში მათი რაოდენობა შეიძლება ვარირებდეს 60 დან 150-მდე შუალედში. ცხადია, ეს შეფასებები ძალიან სპეკულაციურია და რომელიმე სიდიდის მცირე ცვლილებით, მაგალითად, შემცირებით, შედეგი საგრძნობლად შეიცვლება. ყველა შემთხვევაში, ზემოხსენებული ფორმულა აჩვენებს, რომ რეალური კომუნიკაცია სერიოზულ პრობლემას აწყდება. მაგალითად, ფორმულიდან ცხადია, რომ $f \times n \times f \times f \times f$ ნამრავლის მაქსიმუმი ერთის ტოლი შეიძლება იყოს, რაც თეორიული მაქსიმუმია. მაშინ გამოდის, რომ ტექნოლოგიურ ცივილიზაციათა რაოდენობის შესაძლო მაქსიმუმი ჩვენს გალაქტიკაში 3000-ის ტოლია. თუ ამ ცივილიზაციებს ირმის ნახტომში თანაბრად გავანაწილებთ, გამოვა, რომ საშუალო მანძილი თითოეულ ცივილიზაციას შორის იქნება 2000 სინათლის წელი. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენგან ყველაზე ახლოს მდებარე არამიწიერ ცივილიზაციასთან კომუნიკაციას ათასობით წელი დასჭირდება. ამიტომ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა – ხომ არ შეიძლება მათი აღმოჩენა კომუნიკაციის მეთოდის გარეშე?

1960 წელს თანამედროვეობის გამოჩენილმა მკვლევარმა, ფიზიკოსმა ფრიმენ დაისონმა ძალიან საინტერესო მოსაზრება წამოაყენა. მან ივარაუდა, რომ თუ კოსმოსში სადმე არსებობს ზეგანვითარებული ცივილიზაცია, ისინი აუცილებლად ეცდებიან მათი უახლოესი ვარსკვლავის სრული ენერგიის გამოყენებას. მეორე მხრივ, ვინაიდან ვარსკვლავი ყველა მიმართულებით ასხივებს, პლანეტამდე აღწევს სრული ენერგიის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი. ამიტომ მეცნიერის აზრით სუპერცივილიზაცია ეცდება ვარსკვლავი მოათავსოს სფერულ გარსში (დაისონის სფერო), რომლის რადიუსი დაახლოებით რამდენიმე ასტრონომიული ერთეულის ტოლია (იხ. სურ. 13). დაისონის სფერო, ვარსკვლავის გამოსხივებული ენერგიის სრულად შთანთქმის შემთხვევაში, ცივილიზაციას მათი სისტემის მაქსიმალური ენერგიის გამოყენების საშუალებას მისცემს. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ეს მეგაკონსტრუქცია აუცილებლად გათბება და შორეულ კოსმოსში თვითონაც დაიწყებს გამოსხივებას თვალისთვის უხილავ ინფრაწითელ დიაპაზონში (ინფრაწითელ ტალღებს ასხივებს მაგალითად ადამიანის სხეული და ღამის ხედვის აპარატები სწორედ ამ ტალღების პრინციპითაა აწყობილი). დაისონის გიგანტური სფეროს და-



ფრიმენ დაისონი




სურათი 13.




ტაბეთა ბოიაჯიანი



სურათი 14.

ნახვა შესაძლებელია სპეციალური ტიპის ტელესკოპების მეშვეობით, რომლებსაც მეცნიერები აქტიურად იყენებენ შორეული კოსმოსის კვლევებისთვის.

ცოტა ხნის წინ სამეცნიერო საზოგადოება დიდ საგონებელში ჩააგდო ახალგაზრდა ამერიკელი ასტრონომის ტაბეთა ბოიაჯიანის აღმოჩენამ. მან იპოვა ვარსკვლავი KIC 8462852, რომელიც ძალიან უცნაურად გამოიყურება. მისგან მოსული სინათლის სიკაშკაშე პერიოდულად იკლებს, მერე ისევ აღდგება და ა.შ. ამაში თავისთავად არაფერია გასაკვირი, რადგან, ზოგადად უნდა ითქვას, რომ ეს მოვლენა საკმაოდ ცნობილია ეგზოპლანეტების მაძიებლებისთვის. პლანეტები, რომლებიც პერიოდულად მოძრაობენ ვარსკვლავის გარშემო და რომლებიც, თუ ისე არიან ჩვენს მიმართ განლაგებული, რომ ხანდახან ექცევიან ჩვენსა და ვარსკვლავს შორის, ცხადია, რომ ვარსკვლავის ხილული ზედაპირის ძალიან მცირე ნაწილს ჩრდილავენ და ამის გამო ჩვენამდე აღწევს ჩვეულზე ოდნავ მცირე ენერგია. როგორც წესი, ვარდნა შეადგენს მხოლოდ ერთ პროცენტს იუპიტერის ზომების მქონე გიგანტური პლანეტების შემთხვევაში. KIC 8462852 ვარსკვლავზე დაკვირვებამ კი სრულიად წარმოუდგენელი შედეგი მოგვცა. აღმოჩნდა, რომ პერიოდულად ვარდნა უტოლდება 20%-ს. უფრო მეტიც – დადგინდა, რომ ეს ვარდნა არარეგულარული ხასიათისაა, რაც ნიშნავს, რომ ის, რაც ეფარება ვარსკვლავს, იუპიტერის ზომებზე დაახლოებით 20-ჯერ დიდია და არარეგულარულად ჩრდილავს მას. ამით ავტომატურად გამოირიცხა, რომ ეს დაჩრდილვა შეიძლება პლანეტამ გამოიწვიოს. მეცნიერთა აზრით, ეს შესაძლებელია ბუნებრივი მოვლენებითაც იყოს გამოწვეული (მაგალითად, ვარსკვლავის სიახლოვეში ასტეროიდების გროვით), თუმცა ყველა შესაძლო ბუნებრივ სცენარს სერიოზული ხარვეზი აღმოაჩნდა. ამიტომ მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობს, რომ შესაძლოა მივაგენით არამიწიერ სუპერცივილიზაციას, რომელმაც თავისი ვარსკვლავი დიდ გარსში მოაქცია, რომელიც თუმცა ბოლომდე არ ფარავს ვარსკვლავის ხილულ ზედაპირს (იხ. სურ. 14 ) და, შესაბამისად, არ მოიხმარს





სრულ ენერგიას, მაგრამ მაინც მის საგრძნობ ნაწილს იყენებს.

ცოტა ხნის წინ გამოითქვა ვარაუდი, რომ ასეთი მეგაკონსტრუქციები შესაძლოა ვეძებოთ აგრეთვე თეთრი ჯუჯების სიახლოვეში. თეთრი ჯუჯა წარმოადგენს ერთ-ერთ „შუალედურ“ მდგომარეობას ვარსკვლავის ევოლუციისა, როდესაც ის ამოწურავს თერმობირთვულ საწვავს და იწყებს გაცივებას. შესაბამისად, სასიცოცხლო ზონა მასთან გაცილებით ახლოსაა, ვიდრე ჩვეულებრივ ვარსკვლავთან და, სავარაუდოდ, დაისონის სფერული კონსტრუქციის აგება უფრო ადვილი უნდა იყოს.

ასეთი კონსტრუქციების აგება კიდევ უფრო მომგებიანი უნდა იყოს ე.წ. პულსარის გარშემო. ეს ობიექტი წარმოიქმნება თეთრ ჯუჯასთან შედარებით კიდევ უფრო გაცივების შედეგად, რაც იწვევს ვარსკვლავის სწრაფ შეკუმშვას საკუთარი გრავიტაციის ხარჯზე და ყალიბდება დაახლოებით მზის მასის ტოლი სფერული ობიექტი რადიუსით 10-15 კმ. პულსართა დიდი ნაწილი საკუთარი ღერძის გარშემო ძალიან სწრაფად ტრიალებს (ერთ სრულ ბრუნს საშუალოდ ერთ წამს ანდომებს), ასხივებს დიამეტრულად ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით ორ ძალიან ვიწრო კონაში (იხ. სურ. 15) და ასხივებს იმდენ ან უფრო მეტ ენერგიას, ვიდრე ჩვეულებრივი ვარსკვლავი. ამიტომ გაჩნდა ძალიან ბუნებრივი მოსაზრება, რომ თუ პულსარს შემოვავლებთ ვიწრო სარტყელს (იხ. სურ. 16) ისე, რომ ორივე კონამ დაანათოს სარტყლის შიდა ზედაპირს, ცივილიზაციას ექნება კოლოსალური ენერგიის წყარო მეგაკონსტრუქციის ასაგებად, ნივთიერების კიდევ უფრო ნაკლები ხარჯით. უახლესი ტელე-



თეთრი ჯუჯები



სურათი 15.

სკოპები საშუალებას იძლევა გამოვიკვლიოთ მზის სისტემის სიახლოვეში არსებული პულსარები და დავადგინოთ, არის თუ არა ასეთი მეგაკონსტრუქციები ახლო კოსმოსში.

დღესდღეობით თანამედროვე ასტრონომიაში დიდი წინსვლის მიუხედავად, ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს პასუხი კითხვაზე მარტონი ვართ თუ არა ამ უკიდეგანო კოსმოსში და, შესაძლოა, პასუხი სწორედ მომავალმა თაობამ და ამ სტატიის მკითხველმა გასცეს.



სურათი 16.







გიორგი აბაშიძე

# კიტა (ივანე) აბაშიძე

კიტა აბაშიძე უაღრესად მნიშვნელოვანი ფიგურაა XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის პირველი ათეული წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. იგი იყო გამოჩენილი ეროვნული მოღვაწე, პირველი ქართული ეროვნული პარტიის – ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის – ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი, პარტიისა, რომლის უმთავრეს მიზანს საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ილიასეული იდეის განხორციელებისათვის ბრძოლა წარმოადგენდა; კიტა აბაშიძე იყო ლიტერატურის ისტორიკოსი, კრიტიკოსი და პუბლიცისტი, რომლის ნაწერებმა ფრიად საგულისხმო წვლილი შეიტანა ქართული ეროვნული ცნობიერების აღორძინებაში და უდიდესი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული, ესთეტიკური და პუბლიცისტური აზროვნების განვითარებაში.

თანამედროვეთა შეფასებით, კიტა აბაშიძე იყო ეროვნული კულტურის თავდადებული მოჭირნახულე, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის მოამაგე და ტრფიალი, ესთეტიკური გემოვნების არბიტრი, რომელიც „ესთეტიურ სფეროში გამოდიოდა, როგორც შეუყარებული რაინდი, ქართველი რაინდი, რომელიც ქართულ ხელოვნებას ავთანდილად ევლინებოდა... იგი ეტრფოდა ყოველს სახელოვნო ძალას საქართველოში და ჭარბად შლიდა თავის ტრფიალს“ (გრ.რობაქიძე).

კიტა აბაშიძე იყო „ქართული ხელოვნების ერთადერთი მეგობრული დამფასებელი, ცოდნითა და არაჩვეულებრივი ნიჭით აღჭურვილი მასწავლებელი და გზის მაჩვენებელი“, იგი იყო „ქართული კულტურის უძლიერესი პიროვნული ფაქტორი, რომელიც ღამით მისი წარმატების ფიქრსა და ზრუნვაში იბრუნებდა სულს და დღე მისი წინსვლის ჭაპანს ყველაზე უფრო მედგრად ეწეოდა“, წერდა დიმიტრი უზნაძე.

კიტა (ივანე) აბაშიძე დაიბადა 1870 წლის 16 იანვარს (ძვ. სტილით) თავის დედულეთში, სოფელ ლესაში, პაპის, გურიის უკანასკნელი მთავრის, ვახტანგ მესამის მემკვიდრის – დავით გურიელის – საგვარეულო სასახლეში.

კიტა აბაშიძე იყო „საქართველოსადმი სიყვარულით გულანთებული ოქროპირი, გულმართალი, შეუდარებელი და დიდი ერუდიტი... ჩვენი კულტურის, ქართული მწერლობის დიდი ამაგდარი... იგი იყო არა მარტო დიდი მასშტაბის კრიტიკოსი და ლიტერატორი, არამედ დიდი მამულიშვილიცა... ჩვენი სათაყვანებელი ილია ჭავჭავაძის უერთგულესი მეაბჯრე და თანამებრძოლი...“ – წერდა კონსტანტინე გამსახურდია.

კიტა აბაშიძის დედა, სოფიო, დავით გურიელისა და მისი მეუღლის, ეკატერინე ნიკოლოზის ასულ დადიანის, უმცროსი ასული იყო, მამა – გიორგი ივანეს ძე აბაშიძე – იმერეთის დიდგვაროვან აბაშიძეთა ცნობილი წარმომადგენელი.

ბავშვობის წლები კიტა აბაშიძემ სოფელ კაცხში გაატარა, აბაშიძეების ადგილ-მამულში. 1879 წელს იგი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შეჰყავთ, რომლის დამთავრების შემდეგ,1889 წელს, ერთი წლით პარიზში მიემგზავრება, სადაც სორბონასა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ისმენს ლექციებს ფილოსოფიაში და ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიაში.

1890 წელს კიტა აბაშიძე „ნოვოროსიისკის საიმპერატორო უნივერსიტეტის“ (ასე ეწოდებოდა ოდესის უნივერსიტეტს იმჟამად) იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ხდება, რომელსაც 1895 წელს პირველი ხარისხის დიპლომით ამთავრებს.

სალიტერატურო სარბიელზე კიტა აბაშიძე სტუდენტობის წლებშივე გამოდის: 1893 წელს თავისი პირველი თარგმანის (გი დე მოპასანის „გარდაცვლილის“) დაბეჭდვის შემდეგ იგი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების გამოქვეყნებას იწყებს და თუმცა ოდესიდან საქართველოში დაბრუნების მერე პირველ ხანებში ხშირად უხდება სამსახურისა და ადგილსამყოფელის გამოცვლა (1896-1900 წლებში იგი ხან ამბროლაურშია მომრიგებელ მოსამართლედ, ხან – ჭიათურის მაზრაში, ხან – ყვირილაში, ხან კი თბილისის „საკონტროლო პალატაში“ მუშაობს), მაინც ახერხებს ნაყოფიერად იმუშაოს ლიტერატურულ სარბიელზე.

1896 წელს ჟურნალ „მოამბეში“ (9-10) იბეჭდება კიტა აბაშიძის ვრცელი წერილი ილიას „განდეგილის“ შესახებ („განდეგილი“, პოემა თდი ილია ჭავჭავაძისა“), რომელიც ამ შესანიშნავი ნაწარმოების პირველ ღრმა და მრავალმხრივ ანალიზს წარმოადგენს.

ეჭვგარეშეა, რომ ილია ჭავჭავაძე დაინტერესდებოდა მისი პოემის განხილვისადმი მიძღვნილი წერილით და უთუოდ ამ წერილის გაცნობით მიღებულმა შთაბეჭდილებამ გადააწყვეტინა ილიას კიტა აბაშიძის მიწვევა „ივერიის“ რედაქციის თანამშრომლად, რაც კიტა აბაშიძის დიდი ხნის ოცნება იყო.

1898 წლიდან იწყება კიტა აბაშიძის, როგორც XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიკოსისა და კრიტიკოსის შემოქმედებითი აღმავლობის პერიოდი. ამ წელს ჟურნალ „მოამბეში“ ( 4, 5, 6) ზედიზედ იბეჭდება მისი ცნობილი „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურიდან“ – კრიტიკული ეტიუდები ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის, უფრო მოგვიანებით კი (1900 წ., 7) – ვახტანგ ორბელიანის შესახებ, სადაც, პირველად ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, გაცნობიერებულია ქართული რომანტიზმის, როგორც გარკვეული ლიტერატურული მიმდინარეობის არსებობის ფაქტი და ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებითი მემკვიდრეობა მთლიანობასა და განვითარებაშია დანახული და გააზრებული – განხილულია „განუწყვეტელ ჯაჭვად აზრთა ზრდისა ზედმიყოლებით“, – როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა. ამავე წელს იბეჭდება კიტა აბაშიძის კრიტიკული ეტიუდი ილია



კიტა აბაშიძე დასთან (კატოსთან) ერთად



1830 წელს ქუთაისში დაარსდა სამაზრო სასწავლებელი, რომელიც 1850 წელს, ქუთაისის გუბერნიის შექმნასთან დაკავშირებით, საგუბერნიო ვაჟთა გიმნაზიად გადაკეთდა. 1878 წლიდან ამ სასწავლებელს, ლათინური და ძველი ბერძნული ენების სწავლების შემოღების გამო, კლასიკური გიმნაზია ეწოდა. აქ სხვადასხვა დროს სწავლობდნენ საქართველოს გამოჩენილი მოღვაწეები: კირილე ლორთქიფანიძე, მამია გურიელი, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, ტასო აბაშიძე, კოტე მესხი, სილოვან ხუნდაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი, იოსებ ოცხელი, დუტუ მეგრელი, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, კოლაუ ნადირაძე, სარგის კაკაბაძე, დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, დავით კაკაბაძე, ვლადიმერ მაიაკოვსკი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და სხვები.

ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ, მერე კი – ეტიუდები გიორგი ერისთავის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, დავით კლდიაშვილის და XIX საუკუნის სხვა ქართველ მწერალთა შემოქმედებაზე.




**„მოამბე“ – ქართული ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული ჟურნალი, გამოდიოდა თბილისში 1894 წლის იანვრიდან 1905 წლის ნოემბრამდე; ლიბერალურ-ეროვნული მიმართულების ორგანო. რედაქტორი – ა. ჭყონია; გამომცემლები – ნ. ღოღობერიძე (1894), ა. ჯაფარიძე (1895-1905). „მოამბესთან“ თანამშრომლობდნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა, ალ. ყაზბეგი, ე. ნინოშვილი, ა. ერისთავი, ივ. ჯავახიშვილი, ექვ. თაყაიშვილი, ნ. ხიზანაშვილი, ა. ყიფშიძე, ალ. ხახანაშვილი, ი. გოგებაშვილი, ლ. ბოცვაძე, ვლ. აღნიაშვილი და სხვები.**

1897 წელს კიტა აბაშიძე ცოლად ირთავს თეკლე ნიკოლოზის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანს, ერეკლე მეორის პირდაპირ შთამომავალს თეკლა ბატონიშვილის მხრიდან, პოეტ ვახტანგ ორბელიანის შვილიშვილს. რამდენიმე წლის შემდეგ თეკლეს და, ანასტასია, ივანე ჯავახიშვილზე თხოვდება და ამ დღიდან იწყება კიტა აბაშიძისა და ივანე ჯავახიშვილის გულითადი მეგობრობა, რომელიც არა მხოლოდ დამოყვრებამ, არამედ უპირატესად მათმა სულიერმა ნათესაობამ განაპირობა.

1901 წლიდან კიტა აბაშიძე ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭოში იწყებს მუშაობას, სადაც იგი ჯერ „საურთიერთო ნდობის ბანკის“ თავმჯდომარეა, შემდეგ კი საბჭოს თავმჯდომარის, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, გიორგი ზდანოვიჩის მოადგილე ხდება და 16 წლის მანძილზე, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, დაუცხრომლად მოღვაწეობს ამ სფეროშიც.

1900-იანი წლების დამდეგიდან კიტა აბაშიძე აქტიურ მონაწილეობას იღებს ეროვნული პოლიტიკური პარტიის – „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის“ – დაარსებაში.

საქართველოში იმჟამად ჯერ არც ერთი ეროვნული პოლიტიკური პარტია არ არსებობდა, მაგრამ არსებობდა „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის“ ქართველ წევრთა („დასელთა“, „ესდეკთა“) მთელი ლაშქარი, რომელიც აცხადებდა, რომ ეროვნული პრობლემა არ იყო აქტუალური საქართველოსათვის, რომ ეროვნული თავისუფლების იდეა არ შეესატყვისებოდა და არ ასახავდა ქართველი ერის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს და ამავე დროს ხელს უშლიდა რუსეთის იმპერიის ხალხთა კონსოლიდაციას, ებრძოდა პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, უპირისპირდებოდა და ასუსტებდა ცარიზმის დასამხობად დარაზმული პროლეტარიატის ერთიანი ბრძოლის ფრონტს.

ფედერალისტთა პარტიის დაარსების აუცილებლობა, პარტიისა, რომელიც ილია ჭავჭავაძის ეროვნული იდეალების დამკვიდრებისათვის იბრძოლებდა, ქართველობის ეროვნული გრძნობების აღზევებას შეეცდებოდა და ძირითად მიზნად საქართველოსათვის პოლიტიკური ავტონომიის მოპოვებას დაისახავდა – ბრძოლას „ჩვენის დაცემული ვინაობის აღდგენის, ფეხზე დაყენებისა და დაცვის“ ილიასეული მოწოდების ხორცშესასხმელად, სწორედ ამ ანტიეროვნული ტენდენციების მოძალებით იყო განპირობებული.

გარდა ლიტერატურულ-კრიტიკული, პუბლიცისტური და პოლიტიკური მოღვაწეობისა, კიტა აბაშიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობაში, რომლის გამგეობის წევრიც იყო წლების მანძილზე; კიტა აბაშიძემ დააარსა ქუთაისში კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „სინათლე“; კიტა აბაშიძის ინიციატივით დაარსდა გაზეთი „საქართველო“, რომელიც შემდგომში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანოს წარმოადგენდა და სხვ.


ეტიუდები
XIX

**1911-1912 წლებში ქუთაისში ორ ტომად გამოდის კიტა აბაშიძის ფუნდამენტური ნაშრომი: „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“, რომელიც 1898 წელს ჟურნალ „მოამბის“ ფურცლებზე დაწყებული დიდი შრომის დაგვირგვინებას წარმოადგენდა და რომელიც დღემდე ინარჩუნებს შემეცნებით ღირებულებას. ეს იყო ძვირფასი შენაძენი ქართული ლიტერატურისმცოდნეობისათვის, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების ისტორიაში, საფუძველი ჩაუყარა ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიას, როგორც მეცნიერებას, და განსაზღვრა მთელი მისი შემდგომი განვითარება.**

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ კიტა აბაშიძე საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მმართველი ორგანოს – „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის“ წევრად და ამიერკავკასიის განათლების კომისრად (ანუ მინისტრად) ინიშნება, მაგრამ ამ პოსტზე მას ძალზე მცირე ხანს მოუხდა მოღვაწეობა.

„კიტა დაუღალავი მუშა იყო, – წერდა დავით კლდიაშვილი, – იგი თავის თავზე იმდენს არ ფიქრობდა, რასაც საზოგადო საქმეზე. თავის დაზოგვა მისთვის გაუგებარი იყო, სრულიად არ ეგუებოდა მის ბუნებას და ამან კიდეც მოუსწრაფა სიცოცხლის დღენი... იგი განათლების კომისარი იყო, – ავადმყოფი იგი ჩარგული იყო გაუთავებელ მუშაობაში... ამ თავდაუზოგველობამ, შეუწყვეტელმა მუშაობამ თავისი ქნა – უდროოდ მოუსპო სიცოცხლის დღენი ჯერ კიდევ ახალგაზრდას, ენერგიით სავსეს, ცოდნით აღჭურვილ თვალსაჩინო მოღვაწეს“.

კიტა აბაშიძეს ლოგინად ჩავარდნილსაც არ შეუწყვეტია ზრუნვა ქართული კულტურის საკეთილდღეოდ. 1917 წლის აგვისტოში იგი უკვე გრძნობს სიკვდილის მოახლოებას და ადგენს ანდერძს: „ჩემი ლიტერატურული ნაწარმოებები გადაეცეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას; ჩემს ბიბლიოთეკას ვუტოვებ ქართულ უნივერსიტეტს, რომელიც უნდა დაარსდეს თბილისში...“

კიტა აბაშიძე გარდაიცვალა 1917 წლის 17 დეკემბერს. 24 დეკემბერს იგი დიდუბის ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს...

კიტა აბაშიძის ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური მემკვიდრეობა საბჭოთა ეპოქაში, ათეული წლების მანძილზე, საგულდაგულოდ იყო მიჩუმათებული და მისი სახელი მხოლოდ მაშინ ახსენდებოდათ, როცა კომუნისტური პარტიის ამა თუ იმ დადგენილების კვალდაკვალ, მორიგი კამპანია ჩაღდებოდა ფორმალიზმის, ნაციონალიზმისა თუ კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ. შესაბამისად ამ კამპანიების ხასიათისა, „იდეალისტი და რეაქციონერი კიტა აბაშიძე“ (ეს მისი განუყრელი ეპითეტები იყო) ხან შოვინისტად ცხადდებოდა, ხან კი – კოსმოპოლიტად.

კიტა აბაშიძისადმი ასეთი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზი მისი პარტიული მოღვაწეობა იყო – პოლიტიკური ორიენტაცია და შეურიგებელი პოზიცია ქართველ სოციალ-დემოკრატთა ანტიეროვნული იდეოლოგიის მიმართ: კომუნისტური პარტია არავის პატიობდა თავისი საამაყო წინაპრის – სოციალ-დემოკრატიული პარტიის კრიტიკას, კიტა აბაშიძე კი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე სოციალ-დემოკრატებს ებრძოდა და მაშინ, როცა ისინი ქართველი ხალხისათვის ისეთი „სასიცოცხლოდ აუცილებელი და საშური“ საქმიანობით იყვნენ დაკავებული, როგორსაც, მათი აზრით, საქართველოში მარქსიზმის გავრცელება და „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მაღალი იდეალების დანერგვა“ წარმოადგენდა, კიტა აბაშიძე, სხვა ქართველ პატრიოტებთან ერთად, საქართველოს თავისუფლების იდეის პროპაგანდას ეწეოდა, მინავლებული ეროვნული თვითშეგნების აღორძინებასა და აღზევებას ლამობდა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის – საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომიის ილიასეული მოთხოვნის ხორცშესხმისათვის – იღვწოდა.

საბჭოური რეჟიმისთვის, თავისთავად ცხადია, კიტა აბაშიძის უპატიებელ დანაშაულად აღიქმებოდა ისიც, რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ იგი დროებითი მთავრობის მიერ ამიერკავკასიის განათლების კომისრის პოსტზე დაინიშნა: იმ ხელისუფლებისათვის, რომელიც სახელმწიფოს სათავეში ოქტომბრის გადატრიალების (ე. წ. „ოქტომბრის რევოლუციის“) შედეგად მოექცა, დამხობილი მთავრობის ნებისმიერი წევრი (მით უფრო, მაღალი თანამდებობის პირი), ბუნებრივია, ოდიოზურ პერსონად უნდა მიჩნეული იყო.

„კიტას ბუნება ნამდვილ ავთანდილური იყო... თავს ევლებოდა იგი თავის მშობელ ერს, ემსახურებოდა ქართველობას, როგორც მისი შვილი, მოამაგე შვილი... და ქართველობა მუდამ სიყვარულით მისი სახელის ხსენებაში იქნება...“ – წერდა დავით კლდიაშვილი

მაგრამ კიტა აბაშიძის ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობის დასაგმობად პოლიტიკური მიზეზების აქცენტირება არ იქნებოდა მიზანშეწონილი – აუცილებელი იყო მისდამი მეცნიერული მიდგომის იმიტაცია, მეცნიერული (ან მეცნიერულს მიმსგავსებული) არგუმენტაციის მოშველიება. ასეთი არგუმენტაციის მონახვა კი დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა:

კიტა აბაშიძე თავადვე მიუთითებდა, რომ მეთოდი, რომელსაც იგი ემყარებოდა, „გახლავთ მეთოდი ევოლუციისაო“ და რომ ამ მეთოდით XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განხილვის „აზრი და სურვილი“ მას აღუძრა გამოჩენილი ფრანგი ლიტერატურისმცოდნის, ფერდინანდ ბრიუნეტიერის, ნაშრომმა – „გვართა ევოლუცია ლიტერატურის ისტორიაში“. ეს „აღიარება“ კი

მკვლევართათვის სავსებით საკმარისი იყო კიტა აბაშიძის მთელი ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობის უარყოფითი შეფასებისათვის.

მართალია, საბჭოურ მეცნიერებაში ფერდინანდ ბრიუნეტიერის შესახებ არავითარი ლიტერატურა არ მოიპოვებოდა (უცხოელ ავტორთა მრავალრიცხოვანი ნაშრომები კი ჩვენი მკვლევრებისთვის ხელმისაწვდომი რომც ყოფილიყო, მაინც გამოუსადეგარი იქნებოდა, რადგან მათში ბრიუნეტიერის შეხედულებათა ობიექტური ანალიზი იყო წარმოდგენილი, რაც სცილდებოდა მათი ინტერესის სფეროს), მაგრამ არსებობდა რეკომენდებული ოფიციოზური წყარო – „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“, რომელშიც სავსებით გასაგებად იყო ნათქვამი, რომ ბრიუნეტიერი იყო რეაქციული სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებებისა და იდეალისტური (ე. ი. რეაქციული) ფილოსოფიური მსოფლმხედველობის მქონე ლიტერატორი, რომლის „ევოლუციური მოძღვრება“ საფუძველშივე მცდარია და მიუღებელი, რადგან შემეცნების ერთადერთ ჭეშმარიტ მეთოდს მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი წარმოადგენს.

ბუნებრივია, რომ ასეთი „მასწავლებლის“ „ერთგულ მოწაფეს“ (კიტა აბაშიძე კი სწორედ ასეთად მონათლეს) კრიტიკის ქარცეცხლი უნდა დასტყდომოდა თავს.

მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან, საბჭოთა კავშირში ე. წ. „ოტტეპელის“ („პოლიტიკური ლღვობის“) პერიოდიდან, დამოკიდებულება კიტა აბაშიძის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი არსებითად შეიცვალა: გამოიცა კიტა აბაშიძის ძირითადი ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწერები, მათ შორის მისი ყველაზე მნიშვნელოვანი თხზულება – „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“; ამავე ხანებში გამოქვეყნდა სპეციალური გამოკვლევებიც კიტა აბაშიძის ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ და კიტა აბაშიძეს თანდათან დაუბრუნდა ის ადგილი, რომელიც მას ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული და ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში ეკუთვნის, როგორც XX საუკუნის ქართული პროფესიული კრიტიკის მამამთავარს და დიდ ქართველ კრიტიკოსს, რომელიც იმდროინდელი მსოფლიო კრიტიკული აზრის დონეზე იდგა.



კიტა აბაშიძის მეუღლე თეკლე ჯამბაკურ-ორბელიანი მამიდასთან ერთად

მაგრამ კიტა აბაშიძის, როგორც ლიტერატურის ისტორიკოსისა და კრიტიკოსის რეაბილიტაციის შემდგომაც მისი ეროვნულ-პოლიტიკური კონცეფცია ქართულ ისტორიოგრაფიაში კვლავ მძაფრი კრიტიკის საგნად რჩებოდა, რადგან ეს კონცეფცია ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პოზიციის გამომხატველი იყო, ფედერალისტთა პარტია კი, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი დაპირისპირებული ძალა, საბჭოური რეჟიმის არსებობის მთელ მანძილზე ისევ და ისევ მოსისხლე მტრად აღიქმებოდა.

ამდენად, გასაგებია, რომ კიტა აბაშიძის პუბლიცისტურ ნაწერებს, რომლებიც ქართველი სოციალ-დემოკრატების საქმიანობას ან ეროვნულ პრობლემას ეხებოდა, კვლავინდებურად ტაბუ ჰქონდა დადებული. ასეთებია, მაგალითად, კიტა აბაშიძის „პოლიტიკური რომანტიზმი“ – 1905 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი ქართველ პატრიოტთა 1832 წლის შეთქმულებაზე, რომელშიც რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისა და რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველობის განმათავისუფლებელი ბრძოლის რეალური სურათია წარმოსახული; უაღრესად მძაფრი პუბლიცისტური წერილი – „სამარცხვინო ომი. მიმართვა რუს ადამიანებს“, რომელიც 1906 წელს რუსული დამსჯელი რაზმების მიერ დასავლეთ საქართველოს ბარბაროსული აოხრებით აღძრული ემოციების გამომხატველია; 1913 წელს გამოქვეყნებული „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“, რომელიც ილიას წინააღმდეგ ქართველი სოციალ-დემოკრატების ბრძოლის ისტორიას გადმოგვცემს და ილიას მკვლელობაში სწორედ ქართველ „ესდეკებს“ ადანაშაულებს და სხვ.

საგულისხმოა, რომ დროთა მანძილზე კიტა აბაშიძის და საერთოდ ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ეროვნულ-პოლიტიკური შეხედულებების კრიტიკამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა: თუკი ადრე კიტა აბაშიძის ეროვნულ-პოლიტიკური შეხედულებები ოდენ მისი ნაციონალისტობის თუ შოვინისტობის დამადასტურებლად მიიჩნეოდა, ახლა იგივე შეხე-

დულებები იმავდროულად შორს გამიზნული და მზაკვრული ანტიეროვნული ზრახვების გამომხატველადაც გამოცხადდა. კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა მტკიცება, რომ, ქართველი ფედერალისტების და, მათ შორის, პირველ რიგში, ცხადია, მისი ლიდერების – კიტა აბაშიძისა და არჩილ ჯორჯაძის „ეროვნული ლოზუნგი მემამულურ-ბურჟუაზიულ რუსეთში საქართველოს ავტონომია იყო, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა მეფის რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მათ იდეალად მიაჩნდათ", და ეს მაშინ, როცა „ბურჟუაზიულ-მემამულური რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს პოლიტიკური ავტონომია სხვა არა იყო რა, თუ არა საქართველოს მშრომელი მასების ექსპლოატაციის დაკანონება" და ა. შ. მაგრამ ეს მტკიცება მხოლოდ და მხოლოდ უბირ მკითხველს თუ შეიყვანდა შეცდომაში, რადგან ვისაც დაახლოებითი წარმოდგენა მაინც ჰქონდა საქართველოს ან რუსეთის ახალ ისტორიაზე, მისთვის, რაღა თქმა უნდა, სრულიად აშკარა იყო, რომ საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა (რომლის ინიციატივა ილია ჭავჭავაძისგან მომდინარეობდა) არსებულ ვითარებაში იმ მაქსიმუმს წარმოადგენდა, რომლის განხორციელებისათვის ბრძოლას რეალური პერსპექტივა შეიძლებოდა ჰქონოდა.

კიტა აბაშიძის პოლიტიკური იდეალი იყო არა „ბურჟუაზიულ-მემამულური რუსეთის შემადგენლობაში" და „მეფის რუსეთის პროტექტორატის ქვეშ" მოქცეული საქართველო, არა ქართველი ერის და „საქართველოს მშრომელი მასების ექსპლოატაციის დაკანონება", არამედ თვითმპყრობელური რუსეთის კლანჭებისაგან თავდაღწეული საქართველო, რომელიც – მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ – „თავისი ბედისა და იღბლის გამჭედი თვითვე იქნება", თავისუფალი საქართველო, რომლის „ბატონ-პატრონი შეიქმნება მთელი ქართველი ერი, საქართველოს ტანჯული და გვემული მშრომელი მასა", დამოუკიდებელი საქართველო, რომლის დედაქალაქის შუაგულში აღიმართება ქართველი ერის სულიერი მამის, ილია ჭავჭავაძის ძეგლი, აღიმართება „იმ ადგილას და იმ შენობაში, რომლის ბჭეთა ზევით ოქროს ვარაყით იქნება წარწერილი დიდებული მოძღვრის აღსრულებული ანდერძი – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს".

კიტა აბაშიძის მთელი შეგნებული ცხოვრება, მთელი მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ სულიერი მოღვაწეობა საქართველოს ეროვნული თვითმყოფობის იდეით იყო შთაგონებული და სწორედ ამ წმიდათაწმიდა იდეის უერთგულესი მსახურების, მისი დაცვისა და განხორციელებისათვის დაუცხრომელი ბრძოლის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენდა...

„ჩვენს ცხოვრებას ამ საუკუნეში რომ გულამდე თვალი გავუგზნიოთ, – წერდა ილია ჭავჭავაძე, – ვნახავთ, რომ იგი წარმოგვიდგენს აზრთა და მიმართულებათა წინსვლას, წარმატებას, მერე ისე, რომ შემდეგი წინაზე უფრო სრულია, უფრო სავსე, უფრო ვრცელი და უკეთესი. აქ ზრდაა, მატებაა აზრისა, გონების თვალთახედვის გაგანიერება, განდიდება, გაძლიერება".

ილია ჭავჭავაძის ამ თეზის სამართლიანობას საკუთრივ კიტა აბაშიძის ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური ნააზრევიც ადასტურებს, რომელიც ქართველ „თერგდალეულთა" მოწინავე პლეადის პროგრესულ იდეებზეა ამოზრდილი, ამ იდეების კეთილისმყოფელი გავლენითაა გაპირობებული, „იმავე თესლისაა", როგორც ილია იტყოდა, მაგრამ „უფრო დასრულებულია, უფრო ტანადოვანია, თუ ასე ითქმის, უფრო განწმენდილი და გაფაქიზებული".

კიტა აბაშიძის ნაწერები ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური აზროვნების ახალი, აღმავალი ეტაპის გამომხატველია და დიდწილად თავადვეა ამ ეტაპის შემქმნელი. ეს ნაწერები საერთოდ ქართული აზროვნების მაღალი შესაძლებლობების თვალნათლივი გამოვლინებაა.



**სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ:**
**ნიკოლოზ თავდგირიძე, კიტა აბაშიძე, ივანე ზურაბიშვილი, იაკობ ფანცხავა, ვლადიმერ ლორთქიფანიძე**

# აშოკა – „ღმერთების ნებიერი, მეფე მაღლამხედი“

ზურაბ კიკნაძე

ერთი ინგლისელი ისტორიკოსი წერდა, რომ მონარქთა ათი ათასობით სახელთა შორის, რომლებიც ჯარად მოჰყვებიან ისტორიის კოლონებს, მეფე აშოკას სახელი ბრწყინავს, როგორც მარტოსული ვარსკვლავიო.

ჩვეულებრივ, ადამიანის სიდიადე ისტორიაში ფასდება იმისდა მიხედვით, შეიცვალა თუ არა მის შემდგომ ისტორიული პროცესი ან როგორი წვლილი შეიტანა მან ისტორიის დინებაში მსოფლიო მასშტაბით ან მხოლოდ თავის ქვეყანაში. ყველა ქვეყანას ჰყავს ასეთი პიროვნება, ისინი უმეტესწილად მეფენი, პოლიტიკური ან სამხედრო მოღვაწენი არიან, იშვიათად – მოაზროვნეები, ყოველ შემთხვევაში, ამ უკანასკნელთა ღვაწლის შედეგი ისეთი მყისიერი და ადვილად შესამჩნევი არ არის, როგორც პრაქტიკულ მოღვაწეთა.

ინდოეთი არ არის მოკლებული მცირე და დიდი მასშტაბის ადამიანებს – მარტო მაჰათმა განდის მსხვერპლად შეწირული ცხოვრება რად ღირს! განსაკუთრებით ჩანან რელიგიური ლიდერები. იშვიათია ხალხი, რომელსაც ისეთი მონუმენტური სასულიერო თხზულებანი შეექმნას, როგორიც არის ვედები და უპანიშადები, ბრაჰმანები და პურანები, ბუდისტური და ინდუისტური ლიტერატურა, საიდანაც მრავალსაუკუნოვანი ანონიმური სიბრძნე გველაპარაკება. რამდენადაც ინდურ სიტყვიერ შემოქმედებაში პრიორიტეტულია სასულიერო ჟანრი, მთელი ინდოეთი, როგორც ქვეყანა და ხალხი, წარმოგვიდგება სულიერების ცენტრად.



**აშოკა** – ძვ. ინდოეთის მეფე (ძვ. წ. 268-232) მაურიის დინასტიიდან. ინდოეთის ტახტს შინაბრძოლების შედეგად დაეპატრონა. ძვ.წ. 260 წ. კალინგის სახელმწიფოს შემოერთებით დააგვირგვინა თავისი პაპის ჩანდრაგუპტას მიერ წამოწყებული საქმე – ინდოეთის გაერთიანება. მისი სახელმწიფო მოიცავდა თითქმის მთელ ინდოეთს (უკიდურესი სამხრეთის გარდა), თანამედროვე ავღანეთისა და პაკისტანის ნაწილს. აშოკა ხელს უწყობდა ბუდიზმის გავრცელებას ინდოეთსა და მის ფარგლებს გარეთ. ძვ.წ. 253 წ. მისი ხელმძღვანელობით ქ. პატალიპუტრაში მოწვეულმა დიდმა კრებამ ბუდიზმი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. აშოკას დროს განვითარდა ინდური კულტურა, არქიტექტურა, გავრცელდა დამწერლობა.

**თუ აშოკას პიროვნებას რელიგიის ისტორიის კუთხით შევხედავთ, მან ბუდიზმის შემოღებით თავის იმპერიაში ნამდვილად შეცვალა ქვეყნის სულიერი ჰაბიტუსი.** თუმცა ამ გარდატეხის შედეგი ინდოეთის ისტორიაში ხანგრძლივსიცოცხლისუნარიანი არ ყოფილა. ცნობილია, რომ ბუდიზმმა თავის დაფარულ შესაძლებლობათა განშლაგამოვლენა არა თავის სამშობლოში, არამედ მის გარეთ (ტიბეტი, ბირმა, ჩინეთი, იაპონია...) ჰპოვა და ბუდიზმის კლასიკურ ქვეყანად არა ინდოეთი, არამედ ერთი პროვინციული, მანამდე უჩინო ქვეყანა – ტიბეტი გახდა. ინდოეთი კი კვლავ თავის ტრადიციულ რელიგიებს დაუბრუნდა და სულ მალე აშოკას გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრემ უარყო ბუდიზმი, ხოლო მაურიების დინასტიის დასრულების შემდეგ, შუნგას დინასტიის ხანაში, აშოკას სამშობლო მაგადჰი და, შესაძლოა, მთელი ინდოეთი ინდუიზმს დაუბრუნდა და ბუდიზმის დევნა დაიწყო. რა დარჩა აშოკას მიერ რწმუნებული და თითქმის სახელმწიფო რელიგიად აღიარებული ბუდიზმისგან? დარჩა ტაძრები და უამრავი მონუმენტური სამლოცველო არა მხოლოდ მის მშობლიურ მაგადჰის – მაურიების იმპერიის – ძირეულ მხარეში და მთელი იმპერიის ტერიტორიაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც (ცნობილია, რომ მის მიერ დაუპყრობელ ქვეყნებშიც აშოკა ავრცელებდა დჰარმის რელიგიას, როგორც მოიხსენიებს იგი ბუდიზმს თავის მრავალრიცხოვან წარწერებში).





**ვედები** – ძვ. წ. II ათასწლეულში შექმნილი ინდური წიგნები, რომლებიც შეიცავენ ჰიმნებს ღმერთებისადმი, მორალისა და სამართლის ტექსტებს.

**ბრაჰმანები** – ვედების ვრცელი განმარტებები (შეიქმნა ძვ. წ. X-VI სს-ში), რომელთაგან მოგვიანებით ინდური ფილოსოფია განვითარდა.

**მაურიების დინასტია** – ძველი ინდოეთის სამეფო გვარი, რომელიც ინდოეთს განაგებდა ძვ. წ. 320-185 წლებში. მიიჩნევა, რომ ამ დროს ინდოეთმა საზოგადოებრივი და კულტურული განვითარების მწვერვალს მიაღწია. მისი დამფუძნებელი იყო ჩანდრაგუპტა - აშოკას პაპა.

**შუნგას დინასტია** – შუნგას სამეფო სახლმა შეცვალა მაურიების დინასტია. მეფობდნენ ძვ. წ. 185-70 წლებში.

**მაგადჰი** – ქვეყანა ინდოეთის კონტინენტის დასავლეთ მხარეს, საიდანაც მაურიების დინასტიამ დაიწყო ინდოეთის სხვადასხვა დამოუკიდებელ მხარეთა ერთ იმპერიად გაერთიანება.

**უპანიშადები** – ძველინდური რელიგიურ-ფილოსოფიური ხასიათის წიგნები, დაწერილი პროზად და ლექსად. იქმნებოდა ძვ.წ. VIII-III სს-ში. უპანიშადების სახელით ოცდაათამდე წიგნია ცნობილი.



**პურანები** (სანსკრ. პურანა – წარსული, ძველი) – ინდუისტური კანონიკური ტექსტები, ეპიკური პოემები და ჰიმნები. ინდუიზმის ამ საღვთო წიგნებში მოთხრობილია კოსმოგონიური ლეგენდები სამყაროს წარმოშობის შესახებ, მითები ღმერთებსა და ზეადამიანებზე. შეიქმნა სანსკრიტზე. თარიღდება ძ ვ. წ. I ათასწლ. შუა წლებით.

# ცივილიზაცია

აშოკას, როგორც იმპერატორის (ზეობის წლები ძვ. წ. 268-232), პიროვნება პოლიტიკური ისტორიის თვალთახედვით არ არის გამორჩეული. იგი დამპყრობლური ჟინით, თუმცა ნაკლები მასშტაბით, შეგვიძლია შევუდაროთ ალექსანდრე მაკედონელს, ასევე – მესოპოტამიის დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოთა დამპყრობელსა და მათ ერთიან იმპერიად შემქმნელს – სარგონ დიდსაც, რომელმაც მასზე ორი ათასი წლით ადრე აღასრულა ეს საქმე. აშოკა ამ ლაშქარში მარტო არ არის, მეტიც, მან ყველა „მსოფლიო“ მბრძანებლის ბედი გაიზიარა – მისი იმპერია ისევე დაიშალა მის შემდგომ, როგორც ალექსანდრესი და სარგონისა და მათ შემდგომ სხვათა მრავალთა. აშოკას ეული ვარსკვლავი სხვაგან არის საძიებელი...




რა უძლოდა წინ ფერისცვალებას, რელიგიურ-ზნეობრივ მოქცევას, რომელიც განიცადა აშოკას პიროვნებამ და რითაც ის მსოფლიო ისტორიის უნიკალურ პერსონაჟად შეირაცხა და დღემდე ჩვენს აღფრთოვანებას იწვევს?

ბუდისტურ ლეგენდებში აშოკა ნაქებ-ნადიდებია, როგორც ქვეყანაში ბუდიზმის გამავრცელებელი, მაგრამ საგანგებოდ ისიც არის აღნიშნული, რომ მან, სასტიკმა და შეუწყალებელმა უფლისწულმა, ტახტისკენ მიმავალ გზაზე საკუთარი ღვიძლი ძმები დახოცა. მაურიების დინასტიის მესამე წარმომადგენელმა, აშოკამ, განაგრძო თავისი პაპის, დინასტიის დამაარსებლის ჩანდრაგუპტას (ზეობის წლები ძვ. წ. 322-297) წამოწყებული იმპერიის შენების საქმე. ლეგენდარული ჩანაკიას რჩევით ჩანდრაგუპტამ მოიპოვა მაგადჰას, ინდოეთის სუბკონტინენტის მეთექვსმეტე მხარის მეფობა და აქედან შეუდგა ინდოეთის დანარჩენი სამეფოების დაპყრობას. აზიის ეს მეგარეგიონი, რომელიც შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე ინდოეთად იწოდება, მრავალი დამოუკიდებელი სამეფოსა თუ სამთავროსგან შედგებოდა და იშვიათად თუ ყოფილა ერთიანი (ბოლოს იგი ბრიტანეთის ძალამ გააერთიანა და მანვე აღმოაჩინა ინდოეთის სიდიადე). მაურიების დინასტიის დროს ინდოეთის ტერიტორიის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი პირველად მოექცა ერთი მმართველობის ქვეშ. ჩანდრაგუპტას იმპერიას აკლდა ინდოეთის ტერიტორიაზე არსებული ერთადერთი მხარე, ყველასგან მიტოვებული, ტყიანი ქვეყანა კალინგა. იგი მდებარეობდა უკიდურეს დასავლეთში, ზენ-

**ბუდიზმი ანუ დჰარმა** (კანონი, რჯული) – ინდური წარმოშობის (ძვ. წ. VI ს.) მსოფლიო რელიგია, რომელიც გავრცელებულია შორეული აღმოსავლეთის ხალხებში (ჩინეთში, იაპონიაში, ტაილანდში, ლაოსში, შრილანკაში და სხვ.).

**ინდუიზმი** – მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რელიგია. სათავეს იღებს ძვ. არიელების და ავტოქტონური ინდური ტომების რელიგიების გულუბრყვილო მითოლოგიური ნატურალიზმიდან. მათი სინთეზის საფუძველზე, სადაც ძირითადი სტრუქტურული ელემენტები ვედური რელიგიიდან მოდიოდა, აღმოცენდა ბრაჰმანიზმი. ინდუიზმს კი ჩვეულებრივ უწოდებენ ბრაჰმანიზმის იმ ფორმას, რომელიც მან მიიღო ახ.წ. I ათასწლეულში. ამგვარად, ვედური რელიგია, ბრაჰმანიზმი და ინდუიზმი წარმოადგენს ერთი რელიგიური სისტემის განვითარების ისტორიულ ეტაპებს.



**სარგონ დიდი** – შუამდინარელი მეფე ძვ.წ. 2369-2314 წწ., რომელმაც ერთ იმპერიად გააერთიანა ძველი შუმერის დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოები.

გალიის ყურის სანაპიროზე. შესაძლოა, თავისთავად კალინგა, როგორც ქვეყანა, მაურიების სახელმწიფოსთვის არცთუ საინტერესო იყო, თორემ არც ჩანდრაგუპტა და არც მისი მემკვიდრე ბინდუსარა, რომლის დროსაც ბრძენი ჩანაკია ჯერ კიდევ სამეფო სახლის მრჩეველი და მისი პოლიტიკის სულისჩამდგმელი იყო, დაუპყრობელს და მიუერთებელს არ დატოვებდნენ. თუმცა ისიც საფიქრებელია, რომ ეს მიყრუებული ქვეყანა არცთუ ადვილი დასამორჩილებელი უნდა ყოფილიყო. აშოკა ერთ-ერთ ედიქტში წერს, რომ მან თავისი კორონაციის მერვე წელს გაილაშქრა კალინგისკენ. და თუ რად დაუჯდა მას კალინგის დაპყრობა, ამას მისი დამპყრობლის თვითაღიარება მოწმობს (ამაზე ქვემოთ). კალინგის დაპყრობამ დაასრულა ინდოეთის სუბკონტინენტის გამთლიანება ერთი მბრძანებლის ხელში.

ჩანს, აშოკას იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნდა კალინგის დამორჩილება, რომ თავისი სახელგანთქმული ედიქტების გამოქვეყნებას კლდეებსა თუ სვეტებზე სწორედ ამ ხდომილებით იწყებს. ეს არის მისი მოღვაწეობის ათვლის წერტილი. ედიქტების ტექსტებში, რომლებიც, უგამონაკლისოდ, მესამე პირით არის გადმოცემული, ავტორი თავს მოიხსენიებს, როგორც დევანამპია, რაჯა პიადასი, რაც ითარგმნება, როგორც „ღმერთების ნებიერი", „მეფე კეთილმხედი", ხოლო მისი საკუთარი დინასტიური სახელი აშოკა „უზრუნველს", „მშვიდს" ნიშნავს. როგორც ვხედავთ, სამივე სახელი – საკუთარი და ეპითეტური – ჰარმონიაშია ერთმანეთთან და აშკარად გამოხატავს მათი მატარებლის წარმოდგენას იდეალურ მბრძანებელზე.

**ჩანაკია** (ძვ. წ. 370-283 წწ.) – ძველი ინდოეთის ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე და მოაზროვნე. გამოირჩეოდა მოხერხებულობითა და დახვეწილი პოლიტიკური ხედვით. იყო ჩანდრაგუპტას მრჩეველი. ითვლება პოლიტიკური ტრაქტატის „არტჰაშასტრას" ავტორად, სადაც მოცემულია სახელმწიფო მართვის საკითხებში არსებული რჩევა-დარიგებები.



**აშოკას ედიქტი სვეტზე, ფეროზ შაჰ კოტლადან**

**ედიქტი** – უმაღლესი ხელისუფლების (მეფის, იმპერატორის...) განსაკუთრებული მნიშვნელობის ბრძანებულება.



აშოკას ედიქტი

ერთ კლდეზე წარწერილ თოთხმეტნაწილიან ედიქტში ვკითხულობთ:

ღმერთების ნებიერმა, მეფემ კეთილმხედმა, თავისი კორონაციის მერვე წელს დაიპყრო კალინგა. ას ორმოცდაათი ათასი გადასახლებულ იქნა, ასი ათასი მოკლულ იქნა და ბევრი დაიხოცა სხვადასხვა მიზეზით. მას შემდეგ, რაც კალინგა დაპყრობილ იქნა, ღმერთების ნებიერმა, მეფემ კეთილმხედმა, იგრძნო ძლიერი ლტოლვა დჰარმის მიმართ, დჰარმის სიყვარული და დჰარმაში განსწავლულობის სურვილი. ახლა ღმერთების ნებიერი, მეფე კეთილმხედი, გრძნობს ღრმა სინანულს კალინგის დაპყრობის გამო.

ნამდვილად, ღმერთების ნებიერი, მეფე კეთილმხედი, დიდად წუხს ხოცვა-ჟლეტის, სიკვდილისა და გადასახლებათა გამო, როცა დაუპყრობელი ქვეყანა იქნა დაპყრობილი. მაგრამ ღმერთების ნებიერი, მეფე კეთილმხედი, წუხს უფრო მეტად იმის გამო, რომ ბრაჰმანები, განდეგილები და საერონი, სხვადასხვა რელიგიის აღმსარებელნი, რომლებიც ამ ქვეყნებში ცხოვრობდნენ და პატივისმცემელი იყვნენ ხელისუფალთა, მშობელთა და მოხუცებულთა, და ღირსეულად იქცეოდნენ და ჰქონდათ დიდი ერთგულება თავიანთ მეგობართა, ნაცნობთა, ნათესავთა, მსახურთა და დაქირავებულთა მიმართ, ახლა კი ზოგნი შეურაცხყოფილნი, ზოგნი დახოცილნი და ზოგნი საყვარელ ადამიანებს მოწყვეტილნი იქნენ. ეს უბედურებანი თავს დაატყდა ყველას და ეს აწუხებს ღმერთების ნებიერს, მეფეს კეთილმხედს.

არ არის ქვეყანა, გარდა ბერძნებისა, სადაც ეს ორი ფენა, ბრაჰმანები და განდეგილები, არ იპოვებოდეს, და არ არის ქვეყანა, სადაც ხალხი არ იყოს ერთგული ერთი ან რომელიმე რელიგიისადმი. ამიტომ ხოცვა-ჟლეტა, სიკვდილი ან გადასახლება იმათი თუნდაც მეასედი და მეათასედი ნაწილისა, ვინც შეეწირა კალინგას დაპყრობას, ახლა მეტისმეტად აწუხებს ღმერთების ნებიერს, მეფეს კეთილმხედს.

უდავოა ამ თვითალიარების უნიკალობა დამპყრობელ მეფეთა და ომების ისტორიაში, როგორადაც ისინი სხვადასხვა ხალხის ანალებსა თუ მატიანეებში აისახა. შუამდინარელ მეფეთა ანალები სავსეა დაპყრობითი ომების (თავდაცვითი ომების საჭიროება მათ არ ჰქონიათ) აღწერილობებით. „დავიპყარი, დავანგრიე, დავწვი“ – ეს სიტყვები რეფრენად გასდევს ბატალურ ტექსტებს, როგორც დიდი და სასიქადულო გამარჯვების შედეგი. დაპყრობით ომებს, როგორც წესი, დეპორტაცია მოსდევდა, ადგილობრივი მოსახლეობის მოწყვეტა თავისი მიწიდან და იმპერიის საჭიროებათა მიხედვით სხვადასხვა, მათთვის უცხო მხარეებში გადასახლება. ეს იყო ომების მიზანი და ბუნებრივი შედეგი. ვერ მოვითხოვთ სინანულს მებრძოლი მეფისგან, რომლის ლაშქარს წინ უძღოდა იმპერიის ღმერთი აშური და სხვა მეომარი ღმერთები და თავადაც ამ ხოცვა-ჟლეტისა და მოსახლეობის მასობრივი აყრის თვითმხილველი იყო. არათუ სინანული ამ შემზარაობის ხილვისას, არამედ სწორედ ასეთი სურათი, როგორც მისი ძლევამოსილების ნიშანი, ავსებდა სიამაყით შუამდინარელ მბრძანებელს. მისი გამარჯვება მისი თანამდგომი მოლაშქრე ღმერთების გამარჯვება იყო. ღმერთი აშური ებრძოდა აშურის ქვეყნის მტრებს, როგორც კოსმოსის მტრებს. მეფე ამ კოსმიური და ამდენადვე რელიგიური ბრძოლის მონაწილეა, უფრო მეტიც – ღმერთის ნაცვალი მიწაზე. ეს მისი, როგორც მეფის, ფუნქცია და ვალდებულებაა. ამიტომ არის ანალების თხრობა პირველი პირით გადმოცემული, რაც რელიეფურად გვიხატავს მეფე-მეომრის არა მხოლოდ სახეს, არამედ მის განცდებსაც. ემოციურია: მე დავიპყარი, მე დავანგრიე, მე დავწვი, მე ნადავლად წავასხი...

აშურის მეფე, თუკი ოდესმე სინანულში ჩავარდებოდა ქვეყნების სისხლიან დაპყრობათა, ნგრევათა, გადაბუგვათა და ხალხების გადასახლებათა გამო, თუკი წარმოვიდგენთ ასეთ რასმე მისი მხრიდან, იგი ამ ქმედებათა გამართლებას ღვთიურ ნებასა და განგებაში მოძებნიდა, აშოკა კი ასე ვერ მოიქცეოდა: სწორედ ღვთიური კანონი – დჰარმა, რაშიც ის ბუდას რელიგიას და მოძღვრებას გულისხმობს, ჩააფიქრებს აშოკას და სხვა თვალით შეახედებს თავისი ნამოქმედარისთვის. აღმოჩნდება, რომ ბუდა, რომლის რჯულზე მოიქცა აშოკა კალინგაზე გალაშქრების წინ, არათუ დასტურს არ სცემს ამ სახელმწიფოებრივ აქტს, არამედ დჰარმის ზნეობრივი კანონის დარღვევად უთვლის. დჰარმამ, შეიძლება ითქვას, წყალში ჩაყარა მაურიების დინასტიის საქმენი საგმირონი. დჰარმის აბსოლუტური სიკეთის თვალით იხილა აშოკამ თავისი ნამოქმედარი და სულის სიღრმემდე შეძრა ნანახმა. ადრე ფორმალურად მიღებული ბუდას რჯული ამის შემდეგ მისთვის ზნეობრივი ცნობიერების ფაქტი შეიქნა. აშოკა ერთმანეთთან უშუალოდ



უძველესი სტუპა (რელიკვიების შესანახი ბუდისტური მონუმენტური ნაგებობა) სოფელ სანჩიდან, აგებული იმპერატორ აშოკას ბრძანებით

აკავშირებს ლტოლვას დჰარმის მიმართ, დჰარმის სიყვარულს და დჰარმაში განსწავლულობის სურვილს ღრმა სინანულთან. „და ეს აწუხებს ღმერთების ნებიერს...“, „ახლა მეტისმეტად აწუხებს ღმერთების ნებიერს...“ და როგორც ედიქტის ტექსტები მოწმობს, ამ სინანულმა, როგორც სულიერმა გარდატეხამ, მთლიანად შეცვალა მისი დამოკიდებულება სინამდვილისადმი და, რაც მთავარია, მას, როგორც მეფეს, ახალი ამოცანები დაუსახა. მეფე დჰარმის ძალით უარს ამბობს სამხედრო ძალაზე: „დოლის ხმა (იგულისხმება სამეფო ბრძანებები, რომლებიც დოლის ხმაზე ცხადდებოდა) დჰარმის (ბუდას მოძღვრების) ხმამ შეცვალა...“ – წერს აშოკა ერთ-ერთ ედიქტში და სხვაგან – უფრო მეტსაც ამ ფორმულისებრი ნათქვამის განშლით და დაკონკრეტებით:

ჩვენს საზღვრებს მიღმა დაუპყრობელი ტერიტორიების ხალხი იფიქრებს: „რა არის მეფის განზრახვა ჩვენ მიმართ?“ ჩემი სანუკვარი განზრახვაა, რომ ისინი ცხოვრობდნენ უშიშრად, არ ჰქონდეთ ჩემი შიში, რომ მენდობოდნენ და მე შემეძლოს მივცე მათ ბედნიერება, არა მწუხარება. მას სურს წააქეზოს ისინი დჰარმის შესასრულებლად, რათა მათ მიაღწიონ ბედნიერებას ამქვეყნად და იმქვეყნად... იცოდეთ, რომ ჩემი ფიცი და აღთქმა არ გატყდება. ამიტომ ამგვარი მოქცევით თქვენ აღასრულებთ თქვენს მოვალეობებს და დაარწმუნებთ ჩვენს საზღვრებს გარეთ მყოფ ხალხებს, რომ მე, მეფე, მათთვის მამის დარი ვარ და რომ ისინი ჩემთვის ღვიძლი შვილების დარნი არიან.

კალინგას კატასტროფის შემდეგ ინდოეთს ან მის გარეთ არსებულ რომელ ქვეყანას არ ექნებოდა დაუნდობელი და უწყალო მეფის შიში? ამიტომ არის, რომ დჰარმაზე მოქცეული იმპერატორი კვლავ და კვლავ იმეორებს სინანულისა და ღრმა გულისტკივილის სიტყვებს ქვეყნის სხვადასხვა ადგილას კლდეზე ამოკვეთილი ედიქტის ტექსტებში. დჰარმის გავრცელება დაპყრობილ და დაუპყრობელ ხალხებში ესაჭიროება მეფეს თავისი შეცვლილი გუნებისა და, აქედან გამომდინარე, შეცვლილი პოლიტიკის საჩვენებლად. მოსახლეობამ უნდა გაითავისოს დჰარმის პრინციპები და ღირებულებები, რომელთაც ქვეყნის გასაგონად აცხადებს აშოკა, რომ ირწმუნონ მისი გულწრფელობა.

ამას მოსდევს განცხადება ლაშქრის შესახებ, რომელსაც უტოპიის სფეროში გადავყავართ. დჰარმაზე დაფუძნებული მისი მმართველობის დროს მაგადჰის ძვირადღირებული ძლევამოსილი არმია, რომელიც ეგზომ აუცილებელი იყო დაპყრობითი ომებისთვის, ზემოთ გამოთქმულმა გარანტიებმა უბრალოდ უსარგებლო საგნად აქცია და მისი, როგორც ძალადობრივი ინსტრუმენტის ფუნქცია გაუქმდა. სამხედრო ძალამ ახალი, სიმბოლური ფუნქცია შეიძინა: ქვეყანაში გამოიყენებოდა მხოლოდ ზეიმებისთვის და სახალხო სანახაობებისთვის. კალინგას ომმა წერტილი დაუსვა არა მხოლოდ დაპყრობით ომებს (თუმცა კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ ინდოეთის ნახევარკუნძულზე დასაპყრობი მაინც აღარაფერი იყო დარჩენილი და ქვეყანაში მისი მმართველობის განმავლობაში მშვიდობა იყო დამკვიდრებული), არამედ ბრძოლის სურვილიც კი დაუკარგა აშოკას, რომლის პიროვნება გულის სიღრმემდე მოიცვა დჰარმის ძალამ. მიჩნეულია, რომ აშოკა – „უზრუნველი“ – პირველი იყო, ვინც სახელმწიფოს მართვაში ახიმსას (ცნობილ ინდურ კონცეფტს, ანუ ქმედებას ძალადობისა და ზიანის მიყენების გარეშე) დაადგა. ახიმსა აშოკას ედიქტების ყველა ტექსტშია გატარებული.

განსაკუთრებული არაფერია იმაში, რომ აშოკა თავს თავისი ქვეშევრდომების მამად და ქვეშევრდომებს თავის შვილებად რაცხავს – ეს მეფობის ფუნქციაში შედის, მამა-მეფის ერთ-ერთი არსებითი ეპითეტია და, შესაძლოა, არც იმაში, რომ ამ მამაშვილურ დამოკიდებულებას



აშოკას იმპერია და ედიქტების გავრცელების რუკა

იმპერიის ტერიტორიის გარეთ მცხოვრებ მოსახლეობაზეც ავრცელებს. არ არის აუცილებელი მათი დაპყრობა – აშოკა პოტენციური მსოფლიო მბრძანებელია. დჰარმის ძალით მოიპოვა ამის არა მხოლოდ უფლება, არამედ, რაც არსებითია, მოვალეობა.

„რომ არ ჰქონდეთ ჩემი შიში, რომ მენდობოდნენ და მე შემეძლოს მივცე მათ ბედნიერება“. **ეს განცხადება მთელ, მის თვალსაწიერში არსებულ მსოფლიოს ეხება. მისი მამობრივი მზრუნველობის ქვეშ არის მოქცეული არა მხოლოდ ადამიანი, არამედ მისი სიცოცხლის თანაზიარი და ერთარსი ცხოველთა სამყარო.**

კლდის ყველაზე ვრცელი წარწერის ერთ მონაკვეთში ვკითხულობთ:

ყველგან ღმერთების ნებიერის, მეფე კეთილმხედის საბრძანებელში და მის საზღვრებს გარეთ ხალხებს შორის ხოლაში, პანდიაში, სატიაპუტრაში, თამრაპარნიმდე, სადაც ბერძენი მეფე ანტიოქოსი განაგებს, და ანტიოქოსის მეზობელ მეფეთა შორის, ყველგან ღმერთების ნებიერმა, მეფემ კეთილმხედმა, მოაწყო ორი სახის სამკურნალო მომსახურება – ადამიანებისთვის და ცხოველებისთვის. სადაც კაცთათვის ან ცხოველთათვის გამოსაყენებელი სამკურნალო ბალახები არ იპოვება, მე ისინი შემოვიტანე და დავთესე. სადაც სამკურნალო ფესვები ან ნაყოფები მიუწვდომელია, შემოვიტანე და დავთესე. გზებზე ჭები ამოვთხარე და ხეები დავრგე ადამიანთა და ცხოველთა საჭიროებისთვის.

**აქ ნათქვამი სრულად პასუხობს ჩვენი საუკუნის ეკოლოგიურ გამოწვევებს, რომლებიც არა მხოლოდ ადამიანის სასიცოცხლო საჭიროებისკენ არის მიმართული, არამედ ცოცხალ ბუნებაზე გლობალურ მასშტაბში ზრუნვისა და მისი გადარჩენისკენ. ცოცხალ ბუნებაზე ზრუნვა აშოკამ თავისი მეფობის ამოცანად აქცია.**

ცოცხალი ბუნება მისთვის ღირებულია არა როგორც მოხმარების საგანი, არამედ, თავისთავად, როგორც სიცოცხლის მატარებელი, ცოცხალი ქმნილება ქმნილებათა შორის. იმავე შუამდინარელ მეფეთა მატიანეები მეფეთა პირით მოგვითხრობენ მათ მიერ გაშენებულ ბოტანიკურ ბაღებსა და ზოოლოგიურ პარკებზე, მაგრამ ეგზოტიკურ მცენარეთა და ცხოველთა ნაკრძალებს მათ თვალთა გასახარი და ესთეტიკური დანიშნულება აქვთ. აშოკას მოღვაწეობაში ესთეტიკას ცვლის ეთიკა.

**აშოკას შემოაქვს ჩვენს დროში გაცნობიერებული და გლობალურად დამკვიდრებული ეკოლოგიური სისტემის გადამრჩენი „წითელი წიგნის“ იდეა.**





ღმერთების ნებიერი, მეფე კეთილმხედი, ასე ამბობს:

ჩემი კორონაციის ოცდამეექვსე წელს სხვადასხვა ცხოველის დაცვა გამოცხადდა, ესენია: თუთიყუშები, წითელი ბატები, გარეული იხვები, ღამურები, დედოფალი ჭიანჭველები, კუები, უძვლო თევზები, ზღარბები, კურდღლები, ირმები, ხარები, კანჯრები, გარეული მტრედები და შინაური მტრედები და ყველა ოთხფეხი ცხოველი, რომლებიც არც სასარგებლოა და არც იჭმევა. ის დედალი თხები, ცხვრები და ნეზვები, რომელთაც პატარები ჰყავთ და ძუძუს აწოვებენ თავიანთ პატარებს, დაცულნი არიან, ასევე პატარებიც, რომლებიც ცხრა თვეზე ნაკლებნი არიან. ფრინველთა ბუდეები არ დაიწვას, ტყე არ უნდა გადაიწვას უმიზეზოდ ან ცხოველთა კვლის მიზნით...

როგორც ვხედავთ, აქ ჩამოთვლილი ცხოველები ახიმსას პრინციპით არიან  დაცული არა იმის გამო, რომ ადამიანებისთვის სარგებლობა მოაქვთ (ან საჭმელად ვარგისნი არიან),  ე.ი. არა პრაგმატული მიზნით, არამედ, თავისთავად, როგორც ცოცხალი არსებანი, როგორც ბუნების შვილნი. საბოლოოდ, ედიქტი შორიდან ეხმაურება ბუნების ბალანსის შენარჩუნების თანამედროვე კონცეფციას, რომელიც მაინცდამაინც ადამიანის გადაუდებელ საჭიროებაზე არ არის დაფუძნებული.  მას თავისთავადი ეთიკური ღირებულება აქვს.

**ედიქტის ტექსტებში ვპოულობთ ისტორიაში საყოველთაო ამნისტიის პირველ დადასტურებას:**

ჩემი მეფობის ოცდაექვსი წლის განმავლობაში ოცდახუთგზის ბევრი პატიმრის განთავისუფლება გამოვაცხადე. ჩემი სურვილია, რომ ყველგან ყველასთვის ერთნაირი კანონი იყოს. სამ დღეს ვიძლევი, რათა სიკვდილმისჯილისთვის შეწყალების თხოვნა მოასწრონ მისმა ჭირისუფლებმა.

გარდა ამისა, „დჰარმის მანდატურებს“ საგანგებო ბრძანებით, რაც ასახულია საჯარო ედიქტებში, ევალებოდათ პატიმართა პირობებზე და უმწეოდ დარჩენილ მათ ოჯახებზე ზრუნვა. როგორც ჩანს, ეს ზრუნვა, რომელიც პატიმრის, როგორც ადამიანის, უფლებას გულისხმობს, რელიგიურ ხასიათს ატარებდა, რამდენადაც დჰარმის (ბუდას რელიგიის) მოხელენი იყვნენ მასში ჩართული.

# ცივილიზაცია

**დაბოლოს, აშოკა პირველია ყველა დროის და ეპოქის ხელისუფალთა შორის, რომელმაც სახელმწიფოებრივ დონეზე გამოაცხადა რელიგიური შემწყნარებლობის პრინციპი:**

ღმერთების ნებიერი, მეფე მაღლამხედი, პატივს სცემს ყველა რელიგიის ასკეტებს და საერო ხალხს. ღმერთების ნებიერი, მეფე მაღლამხედი, მოწადინებულია, რომ იყოს ზრდა და განვითარება ყველა რელიგიისა მათს არსებითში. ყველა რელიგიის მიმდევარს მართებს თავშეკავება სიტყვაში, ანუ უმიზეზოდ არ აქოს და ადიდოს თავისი რელიგია და დაგმოს სხვათა რელიგია. და თუ არსებობს კიცხვის მიზეზი, ეს უნდა მოხდეს თავშეკავებულად. სხვა რელიგიების დაფასებით მორწმუნე ეხმარება თავის რელიგიასაც, ხოლო საწინააღმდეგო ქცევით აზიანებს თავის რელიგიას და სხვათა რელიგიებს. ვინც აქებს და ადიდებს თავის რელიგიას გადამეტებული ერთგულების გამო და აძაგებს და გმობს სხვებს თავისი რელიგიის განსადიდებლად, მხოლოდ ზიანი მოაქვს თავისი რელიგიისთვის. ამიტომ უნდა არსებობდეს რელიგიებს შორის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. უნდა უსმენდე და პატივს სცემდე სხვათა მიერ აღიარებულ მოძღვრებებს. ღმერთების ნებიერს, მეფეს კეთილმხედს, სურს, რომ ყველანი კარგად იყვნენ განსწავლულნი სხვათა რელიგიების კეთილ მოძღვრებებში.

ღმერთების ნებიერი, მეფე მაღლამხედი, იმდენად არ აფასებს შესაწირავსა და პატივს, რამდენადაც აფასებს იმას, რომ იყოს ზრდა არსებითში, რომელიც საკუთრივაა თითოეული რელიგიისთვის და ამ მიზნით ბევრს შრომობენ დჰარმას (ბუდას მოძღვრების) ზედამხედველები და მაჰამატრები. და ამის ნაყოფი არის ის, რომ ყველა რელიგია იზრდება და დჰარმაც ასევე გაბრწყინებულია".

რა შეგვიძლია ვთქვათ დღევანდელი გადასახედიდან რელიგიების ისტორიაში ამ უპრეცედენტო პოლიტიკაზე? ჯერ შევადაროთ იგი აქემენური ირანის სახელმწიფო რელიგიურ პოლიტიკას, რომელიც ირანის მეფეთმეფის ქსერქსეს (ზეობის წლები: ძვ. წ. 486-465) ვრცელი წარწერის ამ მოკლე მონაკვეთში ამგვარად აისახა:

**აქემენური ირანი** – ძველი ირანის მეფეთა დინასტია, რომელიც განაგებდა ირანს ორასი წლის განმავლობაში (ძვ. წ. 588-330 წწ.).

„როცა მე მეფე გავხდი, იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ჩამოვთვალე, იყო ქვეყანა, სადაც ჯანყი მოხდა. მერე აჰურამაზდა შემეწია მე. აჰურამაზდას ნებით, გავანადგურე ეს ქვეყანა და თავის ძველ ადგილზე დავაბრუნე. და ამ ქვეყნებს შორის იყო ისეთი ქვეყანა, სადაც წინათ დევებს სცემდნენ თაყვანს. მერე აჰურამაზდას ნებით, მე ეს დევთა ბუნაგი გავანადგურე და გამოვაცხადე: დევებს ნუ სცემ თაყვანს. და იქ, სადაც წინათ დევებს სცემდნენ თაყვანს, აჰურამაზდას და ციური ართას თაყვანისცემა დავაწესე".

ქსერქსემ ამ ლაკონიური, მაგრამ მძაფრად კატეგორიული ტექსტით არა მხოლოდ საკუთრივ ირანში, არამედ მთელ მის საბრძანებელში (იმპერიაში) სავალდებულოდ გახადა აჰურამაზდას თაყვანისცემა, ხოლო იქ გავრცელებული ადგილობრივი ტრადიციული კულტები აკრძალა, უფრო მეტიც – ფიზიკურად გაანადგურა მათი ნაგებობები. და ეს ყველაფერი ახალი ღმერთის აჰურამაზდას ნებით აღასრულა. „დევებს ნუ სცემ თაყვანს" – ამ ორიოდე სიტყვით ყველაფერია ნათქვამი.

აშოკას რელიგიური პოლიტიკა ძირეულად განსხვავდება ქსერქსეს პოლიტი-



აშოკას სვეტი ვაიშალიში



**ქსერქსე** – ირანის მეფე აქემენიანთა დინასტიისა (ძვ. წ. 486-465 წწ.). ცნობილია მისი მარცხიანი გალაშქრება საბერძნეთის წინააღმდეგ.



ქსერქსეს გამოსახულება ნაქშე-რუსტამიდან, ირანი

კისგან. თუ ქსერქსე მის მიერ აღიარებული ერთადერთი მთავარი ღმერთის ნებით კრძალავს სხვა სარწმუნოებას, აშოკა დჰარმის (ბუდას რელიგიის) ნებით სრულიად საწინააღმდეგოდ იქცევა.

**მიუხედავად იმისა, რომ აშოკამ შეიწყნარა ბუდიზმი და ის არა მხოლოდ მისი პირადი, არამედ სახელმწიფო რელიგია გახდა, მის თვალში სხვა რელიგიებმა შეინარჩუნეს ღირებულება. აშოკასთვის დჰარმის უპირატესობას – მან თვალი აუხილა აშოკას და გარდატეხის გზით სამართლიანობისა და კანონიერების გზაზე დააყენა – ხელი არ შეუშლია სხვათა სარწმუნოების შემწყნარებელი ყოფილიყო. სხვათა დამცირებით საკუთარი რელიგია არ უდიდებია, მათ წინაშე ბუდიზმს, როგორც ედიქტის ტექსტებიდან ჩანს, პრივილეგიები არ მინიჭებია.**



საფიქრებელია, რომ აშოკას ინტუიციაში არსებობდა ცნება „არასასურველი (ზუსტად – საძულველი) პრივილეგიისა“ (privilegium odiosum), ანუ ისეთი სამართლებრივი მდგომარეობისა, რომელიც მისი მფლობელის (პრივილეგირებულის) საზიანოდ მოქმედებს. აშოკას რელიგიური ემისრები არა მხოლოდ მის საბრძანებელში, არამედ მის საზღვრებს გარეთ ქვეყნებშიც (თვით ჩინეთამდე) ქადაგებენ დჰარმის მოძღვრებას, მაგრამ ედიქტების ტექსტებში არ ჩანს ბუდიზმის პრივილეგირებული სტატუსი. საგანგებო მოხელენი, „დჰარმის მაჰამატრები“, ვუწოდოთ მათ „დჰარმის მანდატურები“, მიმოდიან ქვეყანაში არა იმდენად ბუდიზმის საქადაგებლად, არამედ რელიგიური ზავის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა რელიგიამ თავისი საკუთრივი განავითაროს. როცა აშოკა ლაპარაკობს „შესაწირავზე და პატივზე“, გულისხმობს რელიგიის რიტუალურ მხარეს და განასხვავებს მას იმ არსებითისგან, რომელიც ყველა რელიგიის გულისგულს შეადგენს და, მისი რწმენით, სწორედ ეს არის ის, რაც ქვეყანაში არსებულმა რელიგიებმა უნდა გაზარდონ და განავითარონ. ამ მხრივ, აშოკას ედიქტი თანამედროვე ეკუმენური პრინციპების წინამორბედია.

აშოკა წერდა: „ეს დჰარმას ედიქტი დაიწერა ქვაზე, რათა დიდხანს გაძლოს და ჩემს შთამომავლებს შეეძლოთ მის თანახმად მოქმედება“.

საწინააღმდეგოდ აშოკას რწმენისა, მოსალოდნელი იყო, რომ მის პრინციპებს აშოკას სიცოცხლესთან ერთად ძალა გაუვიდოდა. ასეც მოხდა: არასოდეს არის პროგრესი (გარდა ტექნიკისა) სწორხაზოვანი – ის ზიგზაგებითა და ხშირად, პარადოქსია, მაგრამ უკანდახევებითაც მიიკვლევს გზას, რათა სხვა დროში, სხვა ვითარებებში კვლავ იჩინოს თავი.

გავიმეოროთ ინგლისელის სიტყვა, რომ მეფე აშოკას სახელი დღემდე ბრწყინავს, როგორც მარტოსული ვარსკვლავი.

მაჰაბოდჰის ტაძარი ბოდჰ-გაიაში, ინდოეთი

გარემო


ბარი როზენტალის ფოტო

# ნარჩენები

ნინო ჩხობაძე







ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინ მიიჩნევდნენ, რომ ნარჩენი არის ყველაფერი, რაც აღარ გამოდგება ყოფაცხოვრებაში – რასაც აღარ ვიყენებთ, აღარ გვჭირდება ან აღარ ვარგა – რასაც უბრალოდ ვაგდებთ ან თავიდან ვიშორებთ. იმ დროს ასევე აბსოლუტურად უსარგებლოდ ითვლებოდა მრეწველობის სხვადასხვა დარგის, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა ტიპის ნარჩენები, რასაც სულ უფრო მეტი ადგილი სჭირდებოდა განსათავსებლად. ამ ყველაფერს ერთი სახელი ერქვა – ნაგავი!!!

დღეს მსოფლიო საზოგადოება აღიარებს, რომ მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემა სულ უფრო შემაშფოთებელი ხდება და უკვე ყველასათვის ნათელია, რომ ასეთი დიდი რაოდენობით ნარჩენების დაგროვება სერიოზულ საშიშროებას უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და საცხოვრებელ გარემოს. ფაქტია, რომ მოსახლეობის რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება მოხმარებული პროდუქციის რაოდენობაც და ეს უფრო მეტ ე.წ. „ნაგავს“ აჩენს. როგორც გამოირკვა, ეს „ნაგავი“ სულაც არ არის უსარგებლო და მისი დახარისხებისა და გადამუშავების შედეგად ბევრი საჭირო პროდუქტი მიიღება. XX-XXI საუკუნეებში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები, თავისი შემადგენლობითა და რაოდენობით, საკმაოდ განსხვავდება წინა ეპოქების ნარჩენებისაგან. პრობლემა ისაა, რომ „ახალი თაობის“ ნარჩენების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელოვნური წარმოებისაა და არ ექვემდებარება ბუნებრივ კომპონენტებად დაშლას.



ამასთან, მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომ დღეს პროდუქციის წარმოება დიდწილად იმ ბუნებრივი რესურსების გამოყენებით ხდება, რომელთაც თვითაღდგენის უნარი არ გააჩნიათ (ნავთობი, მადანი და ა.შ.) და ამის შედეგად შესაძლებელია უახლოეს ასწლეულში კაციობრიობა ზოგიერთი ბუნებრივი რესურსის გარეშე დარჩეს.







ადამიანის მიერ „წარმოებული“ საყოფაცხოვრებო ნარჩენი არის მრავალფეროვანი კომპონენტების ნარევი. ეს კომპონენტებია: მინის ჭურჭელი (რომლის მეორადი გამოყენება შეიძლება) და მისი ნამსხვრევები, მაკულატურა, პლასტიკა, ძვირფასი ლითონები (შავი და ფერადი), საკვები პროდუქტების ნარჩენები და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნარჩენების მასაში დიდი რაოდენობითაა შერეული ისეთი სახიფათო ნარჩენები, როგორიცაა: ბატარეები, ვერცხლისწყალი, ფოსფატები და კარბონატები, ელექტროენერგიის დამზოგავი ნათურები, ტოქსიკური ქიმიკატები, გამხსნელები, საღებავები და ა.შ.

## რა ხდება ნაგავსაყრელებზე?

ადამიანები ხშირად ცდილობენ ე.წ. „ნაგავი“ თვალს მოაფარონ და ამით თითქოს პრობლემაც მოაგვარონ, მაგრამ რა ხდება სინამდვილეში?!

ჩვენი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ის ნაწილი, რომელიც გროვდება (და არ იყრება ხევებში, მდინარეებსა თუ სადმე სხვაგან, გარემოში), თავს იყრის ნაგავსაყრელებზე – პოლიგონებზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს მართლაც რომ ნაგავსაყრელებია და ჩვენს რეალობაში არსებულ ამ „მხატვრულ უმსგავსობას“ თანამედროვე ტიპის პოლიგონებთან არანაირი კავშირი არ აქვს.

ჩვენს ნაგავსაყრელებზე მოხვედრილი ნარჩენები იტკეპნება, იფარება მიწით ან რომელიმე ინერტული მასალით და იქმნება შთაბეჭდილება, რომ გარემო გასუფთავდა, ნარჩენი „გაქრა“ და პრობლემაც მოგვარდა, მაგრამ ეს ასე არ არის – მიწის ქვეშ „გადამალული“ ნარჩენები უბრალოდ აღარ ჩანს, თორემ გარემოს კვლავაც აზიანებს და თან – საკმაოდ სერიოზულად, კერძოდ:

- ნარჩენების ნაწილი ლპება, რის შედეგადაც ატმოსფეროში გამოიყოფა სხვადასხვა მავნე აირი. ლპობის შედეგად წარმოქმნილი მეთანი ხშირად თვითაალდება და იწყებს ხის, პლასტმასის, ტყავის და სხვა ნარჩენების მბჟუტავად წვას. ასეთი წვის შედეგად წარმოიქმნება განსაკუთრებით მავნე ნივთიერებები, რომლებიც ატმოსფეროში გაიფრქვევა.

- მიწით ან სხვა ინერტული მასალით „დამალულ“ ნარჩენებში მუდმივად ჟონავს წვიმის წყალი, რომელიც ბინძურდება იქ არსებული მავნე ნივთიერებებით (ნარჩენების დაუხარისხებლად/სეპარაციის გარეშე „ჩამარხვისას“ საყოფაცხოვრებო ნარჩენებში რჩება დიდი რაოდენობით სახიფათო ნივთიერებები). ვინაიდან საქართველოს ნაგავსაყრელების აბსოლუტურ უმრავლესობას არ გააჩნია ნაჟური წყლების შემკრები სისტემა, დაბინძურებული წვიმის წყალი საბოლოოდ გრუნტის წყლებს ან მდინარეებს შეერევა და მნიშვნელოვნად აბინძურებს, რაც, თავის მხრივ, მრავალნაირი ინფექციური დაავადების გავრცელების მიზეზი ხდება.





## გარემო

მდგრადი ნარჩენების გახრწნა ათწლეულები გრძელდება და მთელი ამ დროის მანძილზე ბინძურდება ჰაერი და წყალი.

როგორც აღვნიშნეთ, პოლიგონებზე განთავსებული ნარჩენები ლპობის შედეგად გამოყოფენ ნახშირორჟანგს, მეთანსა და სხვა მომწამვლელ აირებს. მათ მძაფრი სუნი აქვთ და სწრაფადაც ვრცელდებიან. ამ აირების პროცენტული მაჩვენებელი ნარჩენებისგან გამოყოფილი აირების მთელ მოცულობაში დაახლოებით ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| აზოტის ორჟანგი | 6% |
| ფრეონი | 9% |
| ნახშირბადის ორჟანგი | 54% |

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამაბინძურებელია აგრეთვე პოლიეთილენის პარკები, რომლებიც უხვად გვხვდება არა მარტო „მრავალფეროვან“ ნაგავსაყრელებზე, არამედ ყველგან – ქალაქებში, სოფლებში, ბუნებაში, ხეებზე, მდინარეებში, მიწაში... პოლიეთილენის პარკები ყრია, კიდია, ეკვრის თუ ეხვევა ყველგან, საითაც კი გაიხედავთ. არადა ქიმიური შემადგენლობის გამო მათ დაშლას 400-1000 წელი სჭირდება, ამასთან, ამ პარკების 96% არ ექვემდებარება გადამუშავებას (რეციკლირებას), ხოლო ის 4%, რომელიც იშლება, ტოქსიკური ნივთიერებებით აბინძურებს ნიადაგსა და მიწისქვეშა წყლებს და აღწევს კვებით ჯაჭვებში. გარდა ამისა, გარემოსთვის საზიანოა თავად პოლიეთილენის წარმოების პროცესიც. პოლიეთილენის ნაწარმი მზადდება ნავთობპროდუქტებისგან და ისეთივე ზიანს აყენებს ბუნებას, როგორსაც სხვა ნავთობპროდუქტები, მაგალითად, ნავთობი როცა ილვრება. რასაკვირველია, ვიზუალურად დიდი განსხვავებაა, მაგრამ მნიშვნელობით თითქმის ერთნაირია.

პოლიეთილენი საკმაოდ მსუბუქია და ქარს ადვილად გადააქვს ტყეებში, ზღვებში, ოკეანეებში, მდინარეებსა და ტბებში. ამ დაუდევრად მოდებული პოლიეთილენის პარკების გადაყლაპვის გამო წელიწადში დაახლოებით ერთი მილიარდი ზღვის ფრინველი და ძუძუმწოვარი იღუპება. იმის გათვალისწინებით, თუ რა რაოდენობის პოლიეთილენის პარკი „ამკობს“ ჩვენს გარემოს, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა ზიანს აყენებენ ისინი ჩვენს ჯანმრთელობას.

ფაქტობრივად, პოლიეთილენი წარმოადგენს „უკვდავ ნარჩენს“, მისი განადგურება გარემოსათვის ზიანის მიყენების გარეშე ძალიან რთულია, მის შეგროვებას სჭირდება დიდი დრო, შეგროვე-



ბის შემდეგ საჭიროებს სპეციალურ გადამუშავებას. პოლიეთილენის პარკების გაუვნებლების ერთადერთი გზა მათი შეზღუდული რაოდენობით გამოყენებაა.



## იცით თუ არა, რომ...

- 100 მილიონი პარკის საწარმოებლად საჭიროა 430,000 გალონი ნავთობი (1627 ტ.).
- ყოველწლიურად მსოფლიოში აწარმოებენ 4-5 ტრილიონ პოლიეთილენის პარკს.
- მოხმარებული პარკების მხოლოდ 1% ექვემდებარება გადამუშავებას (რეციკლირებას).



ერთი შეხედვით, ამ ნარჩენებისგან გასათავისუფლებლად საჭიროა მათი განადგურება, ჩამარხვა და, კიდევ უარესი, დაწვა (რაც დაუშვებელია ჰაერში მავნე ნივთიერებების მოხვედრის გამო), მაგრამ არსებობს უკეთესი საშუალებაც – ნარჩენების გამოყენება!

საყოფაცხოვრებო ნარჩენი ეს არის მთელი რიგი ფასეული კომპონენტების შემცველი კომპლექსური ნედლეული, მით უმეტეს, რომ ის ფაქტობრივად წარმოადგენს მუქთა რესურსს და ეს მაშინ, როდესაც ბუნებრივი რესურსების ფასი დღითი დღე იზრდება.



მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ ნარჩენების დახარისხებისა და გადამუშავების შედეგად მცირდება მათი რაოდენობა, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ნაგავსაყრელების ტერიტორიების ფართობს და ამ ადგილების სხვა დანიშნულებით გამყენების შესაძლებლობას იძლევა (რაც ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი მაღალმთიანი და მცირემიწიანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა).



# გარემო

დღეს მსოფლიოს წინაშე დგას ნარჩენების მართვის შემდეგი სქემის აწყობის ამოცანა:

წარმოება მინიმალური ნარჩენით – წარმოქმნილი ნარჩენის მაქსიმალურად გამოყენება მისი რეციკლირების გზით – რეციკლირებული პროდუქციის უნარჩენო წარმოება და გამოყენება – ნაგავსაყრელებზე ნარჩენების მინიმალური რაოდენობის განთავსება.

შეძლება ითქვას, რომ შვედეთმა და ნორვეგიამ თითქმის უკვე შექმნეს ნარჩენების მართვის ისეთი სახელმწიფო მოდელი, რომელიც ამ მოთხოვნებს შეესაბამება.



## რა ხდება საქართველოში?!

არავინ იცის ყოველდღიურად რა რაოდენობის ნარჩენი წარმოიქმნება თუნდაც მხოლოდ თბილისში. ამის დადგენა შეუძლებელია, რადგან რომც აღირიცხებოდეს, მაინც არ იქნებოდა ეს მონაცემები სანდო, რადგან როგორც მოქალაქეთა, ისე მეწარმეთა უმრავლესობა ნაგავს ყრის ყველგან, სადაც მოესურვება.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების უდიდეს ნაწილს საქართველოში წარმოადგენს კვებითი და სამშენებლო ნარჩენები. ნარჩენების მოცულობის შესამცირებლად საჭიროა მათი გადამუშავება (რეციკლირება), რისი შესაბამისი ინფრასტრუქტურაც ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობს.

საქართველოს არ აქვს ნარჩენების მართვის სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც გათვლილი იქნება გრძელვადიან პერიოდზე და დაეფუძნება ნარჩენების მდგრადი მართვის პრინციპებს, რომელიც გულისხმობს ნარჩენების რესურსებად განახლებისა და ხელმეორედ გამოყენების პრაქტიკას, რაც თავისთავად გამოიწვევს ნარჩენებისა და ნაგავსაყრელების შემცირებას.







## რას ნიშნავს რეციკლირება (ინგლ. Recycling)

ზოგადად, რეციკლირება, ანუ გადამუშავება, არის ნებისმიერი პროცესი, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის თავდაპირველ პროდუქტს. გადამუშავება შეიძლება იყოს გაცხელება, შებოლვა, დაკონსერვება, დამწიფება, გამოშრობა, დამარილება, გაცივება ან ამ პროცესების ნებისმიერი კომბინაცია.

საყოფაცხოვრებო ნარჩენის გადამუშავება (რეციკლირება) არის ნარჩენების მეორადი გამოყენება ან საწარმოო და ყოველდღიური ნარჩენის ხელახალი დაბრუნება წარმოების ციკლში. პრაქტიკაშია სამჯერ, ოთხჯერ და ა.შ გამოყენება ისეთი მასალებისა, როგორიცაა: მინა, ქაღალდი, ალუმინი, ასფალტი, რკინა, ქსოვილი და პლასტიკის სხვადასხვა სახეობა; სოფლის მეურნეობაში უძველესი მეთოდია ორგანული და საოჯახო ნარჩენების გამოყენება (ნაკელი, კომპოსტი).

გადამუშავებული პროდუქციის, ანუ განმეორებითი გამოყენების საერთაშორისო სიმბოლოდ მიღებულია ე.წ. „მობიუსის ლენტი“, რომლის იდეაც აღებულია ისეთი მათემატიკური ცნებების ფორმალიზებით, როგორიცაა კრებადობა, უწყვეტობა და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნარჩენების გარკვეული ჯგუფი ე.წ. „სახიფათო ნარჩენები“ არ ექვემდებარება გადამუშავებას ან ხელახალ გამოყენებას და ექვემდებარება უტილიზაციას.

უტილიზაციის პრობლემას ამძაფრებს ის, რომ საყოველთაო მოხმარების პროდუქციის დიდი ნაწილი „განწირულია“ მოკლევადიანი არსებობისათვის (მაგ.: ტანსაცმელი, საკვები პროდუქტის შესაფუთი მასალა და სხვა). ეს პროდუქცია იყრება ისე, რომ არავინ ითვალისწინებს მის „ნარჩენ ღირებულებას“, ანუ იმ ეკონომიკურ ეფექტს, რაც მათი გადამუშავებით და ხელახალი გამოყენებით მიიღება.

როგორც ვიცით, ნებისმიერი პროდუქციის მისაღებად საჭიროა ნედლეული და ენერგია, რომლის გამომუშავებაც ასევე ბუნებრივი რესურსების ხარჯზე ხდება. ლითონების, ქაღალდის, მინის, პლასტიკის და ორგანული ნარჩენების გადამუშავება (რეციკლირება) კი ამცირებს ნედლეულისა და ენერგიის მოხმარებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკისათვის. ასე, მაგალითად: ჯართის გადამუშავებით ალუმინის მიღებისას ენერგიის მოხმარება და ჰაერის დაბინძურება 95%-ით ნაკლებია, ვიდრე მისი ბოქსიტებისგან მიღების დროს.



**მობიუსის ლენტი**



**რეციკლირების სიმბოლო**

ერთი ტონა ქაღალდის მისაღებად მაკულატურის გადამუშავებისას (რეციკლირებისას) ჩვენ არა მარტო ვზოგავთ მერქანს, არამედ ¾-ით ვამცირებთ ენერგიის მოხმარებას და ვიყენებთ წყლის ორჯერ ნაკლებ რაოდენობას, ვიდრე მერქნიდან ქაღალდის ქარხნული წესით მიღებისას.

ამრიგად, კაცობრიობა უნდა ესწრაფვოდეს ნარჩენების შემცირებას, უნარჩენო წარმოების განვითარებას, არადაშლადი ნარჩენების უტილიზაციასა და ისეთი პროდუქციის შექმნას, რომლის მრავალჯერადი გამოყენება და გადამუშავება შესაძლებელი იქნება.

ევროპულ საკანონმდებლო სივრცეში მოქმედი ნარჩენების მართვის პრინციპები ჯერ კიდევ 1977 წელს ჩამოყალიბდა და სამი ძირითადი პოსტულატისაგან შედგება, კერძოდ:

- **ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია**
- **ნარჩენების გადამუშავება**
- **იმ ნარჩენების უსაფრთხო განთავსება, რომლებიც არ ექვემდებარება გადამუშავებას**

## ნარჩენების კომპლექსური მართვა

ნარჩენების კომპლექსური მართვის კონცეფციის მიხედვით, საყოფაცხოვრებო ნარჩენები შედგება სხვადასხვა კომპონენტისაგან, რომლებიც, იდეალურ შემთხვევაში, არ უნდა შეერიოს ერთმანეთს და მათი რეციკლირება უნდა მოხდეს განცალკევებით, ყველაზე მისაღები ეკოლოგიური და ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით.

ნარჩენების რეციკლირება წარმოადგენს რესურსდაცვითი ტექნოლოგიის ძირითად რგოლს. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რეციკლირება – ეს არის ამ ნარჩენების გადამუშავება მისგან სასარგებლო პროდუქციის მიღების მიზნით. ნარჩენების რეციკლირების მეთოდის შერჩევა საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით, მყარი სამრეწველო ტოქსიკური ნარჩენებისათვის. ასეთ შემთხვევაში მეთოდის შერჩევა ხდება ინდივიდუალურად.

ნარჩენების კომპლექსური მართვისათვის საჭიროა შეიცვალოს შეხედულება საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესახებ. პრობლემისადმი არატრადიციული მიდგომით უფრო იოლია გაკონტროლდეს რა ხვდება ნაგავსაყრელებზე, ვიდრე ის, თუ რა ხვდება ნაგავსაყრელებიდან გარემოში.

## ნარჩენების კომპლექსური მართვის პრინციპებია:

1. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემადგენელი სხვადასხვა კომპონენტისადმი განსხვავებული მიდგომების გამოყენება;

2. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ამა თუ იმ სპეციფიკური კომპონენტის რეციკლირებისათვის საჭიროა ტექნოლოგიათა და ღონისძიებათა კომბინაციის გამოყენება (ნარჩენების რაოდენობის შემცირების, მეორადი გადამუშავებისა და კომპოსტირების, პოლიგონებზე დამარხვისა და ნაგვის წვის ჩათვლით);

3. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რეციკლირების მუნიციპალური სისტემა უნდა შეიმუშავდეს კონკრეტული ადგილობრივი პრობლემების გათვალისწინებით და უნდა დაეფუძნოს ადგილობრივ რესურსებს. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რეციკლირების ადგილობრივი გამოცდილების მიღება ხდება თანდათანობით, მცირე პროგრამების შემუშავებითა და განხორციელებით;

4. ნარჩენების გადამუშავების მიმართ კომპლექსური მიდგომა უნდა ემყარებოდეს გრძელვადიან სტრატეგიულ დაგეგმვას, უნდა იყოს მოქნილი, რომ შესაძლებელი იყოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების შედგენილობისა და რაოდენობის მოსალოდნელ ცვლილებებთან ადაპტაცია და მზადყოფნა რეციკლირების ტექნოლოგიების მისაღებად. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების



რეციკლირების პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას აუცილებლად უნდა ახლდეს ჩატარებული ღონისძიებების შედეგების შეფასება და მონიტორინგი;

5. აუცილებელია როგორც ქალაქის მთავრობის, ისე მოსახლეობის ყველა ჯგუფის (ე.ი. მათი, ვინც საკუთრივ „აწარმოებს“ ე.წ. „ნაგავს“) მონაწილეობა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემის მოსაგვარებელი ნებისმიერი პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.

## ნარჩენების მართვის თანამედროვე მოდელი

დღეისათვის ნარჩენების მართვის ყველაზე პოპულარული მოდელია ევროპული მოდელი, რომელიც 5 იერარქიული ნაწილისაგან შედგება. ეს კომპონენტებია:

- **შემცირება**
- **ხელახლა გამოყენება**
- **გადამუშავება/რეციკლირება**
- **ნარჩენების ენერგიად გარდაქმნა**
- **განთავსება**




როგორც ამ მოდელიდან ჩანს, ნარჩენების შეგროვებისა და დახარისხების შემდგომ პირველ ეტაპს წარმოადგენს ნარჩენების შემცირება, ხოლო ბოლო ეტაპს – ნარჩენების განთავსება. ამ ორ ეტაპს შორის კი გასატარებელია მთელი რიგი ქმედებებისა.

### პირველი ძირითადი საფეხური – ნარჩენების შემცირება

ნარჩენების შემცირება შესაძლებელია მწარმოებლებისა და მომხმარებლების მიდგომების შეცვლით პროდუქტებსა და შეფუთვაზე. ტერმინი „ნარჩენების შემცირება“ ნიშნავს წარმოებული ნარჩენების რაოდენობრივ და ხარისხობრივ შემცირებას, ანუ იმ ნარჩენების წილის გაზრდას, რომლის გამოყენებაც შეიძლება მეორად რესურსად და ამავე დროს საშიშ/მავნე ნივთიერებათა შემცველი ნარჩენების ამოღებას საერთო მასიდან (დეტერგენტები, შხამქიმიკატები, ლაქ-საღებავები, აკუმულატორები, ელექტროელემენტები და სხვა).

წარმოების ნარჩენების შემცირება დაკავშირებულია ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან და მიმართულია ზედმეტი შეფუთვის წინააღმდეგ, რადგან მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ შესაფუთი მასალებისაგან შედგება.

### მეორე ძირითადი საფეხური – გადამუშავება (რეციკლირება)

რეციკლირება – ეს არის გამოყენებული მასალის ან ნარჩენის ხელახალი გადამუშავება, რომლის მიზანია არ დაუშვას ნარჩენებიდან სასარგებლო ფრაქციების დაკარგვა და შეამციროს ახალი ნედლეულის მოხმარება.

იმისათვის, რომ რეციკლირება იყოს ეფექტური, პირველ რიგში საჭიროა მოწესრიგდეს ნარჩენების შეგროვების სისტემა, ნარჩენების წარმოქმნისთანავე გაჩნდეს მათი დახარისხების აუცილებლობა. ნარჩენების რეციკლირების პროცენტული რაოდენობა პირდაპირ უკავშირდება ნარჩენების შეგროვების ეფექტურობას. რაც უფრო ეფექტურია გადამუშავებადი ნარჩენების შეგროვების პროცესი, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია მოსახლეობის მიერ ნარჩენების დახარისხების სანდოობაზე, მით უფრო მაღალია გადამუშავებული ნარჩენების პროცენტული წილი ნარჩენების მთელ მოცულობასთან შედარებით.

**უნდა გვახსოვდეს, რომ**

- ნარჩენების დაახლოებით 30%-ს მასის მიხედვით და 50%-ს მოცულობის მიხედვით შეადგენს სხვადასხვა შესაფუთი მასალები.
- შესაფუთი მასალების წონის 13%-ს და მოცულობის 30%-ს შეადგენს პლასტმასი.






ნარჩენების მართვის თანამედროვე ევროპული მოდელი აგებულია ე.წ. „ნარჩენების იერარქიის“ სქემაზე, რომელსაც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს 3R ინიციატივა.



RRR

### რას ნიშნავს 3R ინიციატივა?

3R ინიციატივა ოფიციალურად მიიღეს და მხარი დაუჭირეს 2008 წელს ქ. ტოკიოში, 8 დიდი ქვეყნის მინისტრების შეხვედრაზე. 3R ინიციატივა ემყარება მდგრადი განვითარების, ნარჩენების მინიმიზაციისა და რეციკლირების პრინციპებს.

3R ინიციატივის სლოგანია:

**„ნული ნარჩენი – უდანაკარგო წარმოება“.**

ტერმინი 3R აღნიშნავს შესაბამისი სამი ინგლისური სიტყვის პირველ ასოებს:

**Reduce** – შემცირება

**Reuse** – ხელახალი გამოყენება

**Recycle** – რეციკლირება, ანუ გადამუშავება

**Reduce** – შემცირება გულისხმობს ნაკლების ყიდვას და, შესაბამისად, ნაკლების მოხმარებას. ნარჩენების მინიმიზაცია, ანუ შემცირება არის პროცესი, რომლის დროსაც ხდება ცალკეულ ადამიანთა ან მთლიანად საზოგადოების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების შემცირება. ნარჩენების შემცირების გარდა ამ პროცესში ასევე იგულისხმება მოხმარებული ენერგიისა და რესურსების შემცირებაც.

**Reuse** – ხელახალი გამოყენება გულისხმობს უკვე მოხმარებული ნივთების კვლავ გამოყენებას. ეს შეიძლება იყოს ნივთების იმავე ან სხვა დანიშნულებით მოხმარება, საჭირო ან კარგ მდგომარეობაში მყოფი ნივთების გაცვლა ან ხელახალი გამოყენება მათი ტექნოლოგიური გადამუშავების გარეშე. იზოგება ფული, დრო, ენერგია და რესურსი.

REDUCE YOUR WASTELINE

**შეამცირე ნარჩენების რაოდენობა!**

**Recycle** – რეციკლირება, ანუ გადამუშავება გულისხმობს გამოყენებული ნივთის ან ნარჩენის გადამუშავებას სხვა პროდუქტად.

ნარჩენების კომპლექსური მართვა აჩვენებს, რომ ნარჩენების მეორადი გადამუშავება (რეციკლირება) არა მარტო ამცირებს ნარჩენების მოცულობას, არამედ აუმჯობესებს მათი წვის ეფექტურობას საერთო ნაკადიდან არაწვადი მასალების მოცილების გზით.

რეციკლირების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს ნარჩენების „წვა“. თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით ეს ხერხი ნარჩენებთან მოპყრობის ყველაზე რთული და „მაღალტექნოლოგიური“ ვარიანტია. წვა საშუალებას იძლევა თითქმის სამჯერ შევამციროთ ნარჩენების მასა, თავიდან ავიცილოთ არასასიამოვნო სუნი, ტოქსიკური სითხისა და ბაქტერიების გამოყოფა, ასევე მივიღოთ დამატებითი ენერგია, რომლის გამოყენებაც შეიძლება ელექტროენერგიის მისაღებად ან გასათბობად.

ამ მეთოდს წარმატებით იყენებენ შვედეთსა და ნორვეგიაში, სადაც ნარჩენების წვის შედეგად მიღებული ენერგია გამოიყენება ბინებისა და წყლის გასათბობად. უფრო მეტიც, ამ ქვეყნებში ქალაქების მთელი რაიონები მოიხმარენ ნარჩენების გადამუშავების შედეგად გამომუშავებულ ელექტროენერგიას.

## იცით თუ არა, რომ...

- ერთი თუნუქის ქილის რეციკლირება ზოგავს იმ რაოდენობის ენერგიას, რომელიც საკმარისია ტელევიზორის 3 საათით მუშაობისათვის;
- ერთი მინის ქილის რეციკლირება ზოგავს იმ რაოდენობის ენერგიას, რომელიც საკმარისია 25 წუთით კომპიუტერის მუშაობისთვის;
- ერთი რეციკლირებული პლასტიკის ბოთლი ზოგავს იმ რაოდენობის ენერგიას, რომელიც საკმარისია 3 საათით 60-ვატიანი ნათურით ოთახის განათებისთვის;
- ქაღალდის რეციკლირებას 70%-ით ნაკლები ენერგია სჭირდება, ვიდრე მის წარმოებას პირველადი რესურსისგან.
- დიდ ბრიტანეთში 8 თვის განმავლობაში წარმოქმნილმა ნარჩენებმა შეიძლება გაავსოს ყველაზე დიდი ტბა.
- პროდუქციის შეძენისას გადახდილი თანხის დაახლოებით 16 % იხარჯება შესაფუთ მასალაზე, რომელიც საბოლოოდ ნაგავსაყრელზე ხვდება.

### როგორ ხდება ნარჩენების გადამუშავება?!

უნდა გვახსოვდეს: მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავება ეფექტური რომ გახდეს, საჭიროა ნარჩენების ცალ-ცალკე დახარისხება (სეპარაცია). დახარისხების ორი გზა არსებობს – ტექნიკური და სოციალური.

ტექნიკური გზა ითვალისწინებს სპეციალური ქარხნის არსებობას, სადაც ნარჩენების საერთო მასის დახარისხება და ახალ ნედლეულად გადამუშავება ხდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. ამის შედეგად მიიღება ბაზარზე მოთხოვნადი პროდუქცია, ხოლო გადაუმუშავებისას მიღებული ნარჩენი განთავსდება პოლიგონზე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სხვადასხვა პროდუქციის გადასამუშავებლად გამოიყენება სხვადასხვა ტექნოლოგია.

სოციალური გზა გულისხმობს სეპარაციის პროცესს, სადაც ნარჩენებს (მინის ტარა, ლითონის ქილები, ქაღალდი და ა.შ.) ახარისხებენ და სპეციალურ კონტეინერებში განათავსებენ მოქალაქეები.



ყველაზე რეციკლირებადი ნარჩენები

### ქაღალდი

სხვადასხვა სახეობის ქაღალდის ნარჩენებს მაკულატურა ეწოდება და ყველაზე მოთხოვნად გადასამუშავებელ ნედლეულს წარმოადგენს ჯართის შემდეგ. დღეისათვის მსოფლიოში გადამუშავდება გამოყენებული ქაღალდის 60%-ზე ცოტა მეტი. მიღებული პროდუქციის 75%-ს შეადგენს ტუალეტის ქაღალდი და მუყაო (ყუთები, შესაფუთი მასალა, გოფრეკარდონი), ხოლო 20 პროცენტს – გადასახური მასალა.





საერთოდ, მაკულატურა იყოფა 12 მარკად. მარკა განსაზღვრავს პროდუქციის სახეობას (ქაღალდი თუ მუყაო), ფერს (თეთრი თუ ფერადი), ბოჭკოების შემადგენლობას (ცელულოზა, მერქნის რბილობი), წყალში ხსნადობის სისწრაფეს და ა.შ.

ქაღალდის გადასამუშავებელ ქარხნებში, ნარჩენები ქუცმაცდება, ირეცხება წყლით (მელნის, წებოს, საღებავის და სხვა კომპონენტების მოსაცილებლად), თავსდება სპეციალურ განიერ ჭურჭლებში, სადაც სველდება და იჯირჯვლება თხევად მასად გადაქცევამდე და სხვადასხვა შესაბამისი ნივთიერებების დამატებით მიიღება საოფისე, სასტამბო თუ სხვა დანიშნულების ქაღალდის პროდუქცია.

ბოლო ეტაპზე ქაღალდს ათავსებენ სპეციალურ საშრობებში და გაშრობის შემდეგ ჭრიან შესაბამის ზომებად. საბოლოოდ პროდუქცია ისევ ბრუნდება მაღაზიაში გასაყიდად.

### მინა

გამოყენებულ მინის ჭურჭელს ახარისხებენ როგორც მოქალაქეები (სპეციალურ კონტეინერებში), ისე ტექნიკის გამოყენებით – მინის გადასამუშავებელ სპეციალურ ქარხნებში. მინის გადარჩევა პირველ რიგში ხდება ფერის მიხედვით, რის შემდეგაც ის ირეცხება, იმსხვრევა, ქუცმაცდება და დნება. მდნარი მასალისგან ამზადებენ ახალ, მრავალფეროვან პროდუქციას.



### ალუმინი

მყარი საყოფაცხოვრებო ლითონის ნარჩენები ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს ალუმინს. ალუმინი ფართოდ გამოიყენება როგორც კონსტრუქციულ, ისე შესაფუთ მასალად: ელექტროტექნიკაში მავთულების წარმოებისათვის, მათი ეკრანირებისათვის და მიკროელექტრონიკაში ჩიპების წარმოებისას. ფართოდ გამოიყენება თბოდანადგარებში. იდეალური მასალაა სარკეების წარმოებისათვის, სხვადასხვა სასმელისა და კონსერვის ქილების დასამზადებლად. ასევე სხვადასხვა დანიშნულების მრავალფეროვანი საყოფაცხოვრებო პროდუქციის საწარმოებლად.

ალუმინის გადამუშავება შესაძლებელია მრავალჯერადად. მეწარმეებისათვის გაცილებით მომგებიანია ალუმინის ნარჩენების შესყიდვა და გადამუშავება, ვიდრე მისი მადნიდან „ამოღება“. მით უმეტეს, რომ მისი მეორადი გადამუშავება ფაქტობრივად უნარჩენოა, შესაძლებელია მრავალჯერადად, ხოლო მიღებული პროდუქციის ხარისხი ისეთივეა, როგორც პირველწყაროდან დამზადებულის.

ალუმინის ნარჩენების (სხვადასხვა ქილები, ფოლგა და ა.შ.) შეგროვება ხდება კონტეინერებში და ტრანსპორტირდება გადამამუშავებელ პუნქტებში. იქ ის ხარისხდება, სუფთავდება და მზადდება ხელახალი გადამუშავებისთვის. შემდგომ ალღობენ, აცლიან საღებავს და მელანს. ნელ-ნელა აცივებენ და ამზადებენ ე.წ. „ალუმი-



ნის ზოდებს“, რისგანაც, სპეციალური დამუშავების გზით, მზადდება დრეკადი ფურცლები. ბოლო ეტაპზე ალუმინი გარდაიქმნება ისეთ პროდუქციად, როგორიცაა ქილები, შოკოლადისა და მზა პროდუქტების შესაფუთი მასალა და სხვა. სულ მცირე 6 კვირის შემდეგ უკვე შესაძლებელია ალუმინის პროდუქციის ხელახალი გამოყენება და მაღაზიებში რეალიზაცია.

### პლასტმასი

21-ე საუკუნეში ყველაზე ფართოდ მოიხმარენ პლასტმასს. იგი ძალზე სახიფათოა გარემოსთვის, რადგან დიდხანს არ იშლება, ნაგავსაყრელებზე იკავებს დიდ ადგილს, არ ხდება მისი სრული გადამუშავება, ღიად იყრება, სხვა პროდუქტებთან შეხებაში კი გამოყოფს მავნე აირებს.

პლასტმასის ნარჩენებიდან ძირითადად გადამუშავდება 7 სახის ნარჩენი, რომელთაც დახარისხების (სეპარაციის) გასაადვილებლად შესაბამისი ნიშნები (ეტიკეტები) აქვთ:

1. **PET** ან **PETE** – წყლის, ლუდის და სხვა მსუბუქი სასმელების ბოთლები, საკვების შესაფუთი მასალა;

2. **PEHD** ან **HDPE** – საყოფაცხოვრებო დანიშნულების ქიმიური საშუალებების ბოთლები, სათამაშოები და სხვა;

3. **PVC** ან **V** – კარები და ფანჯრები, მილები, ბოთლები სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებებისთვის და სხვა;

4. **PELD** ან **LDPE** – ნაგვის ურნები, კონტეინერები, სხვადასხვანაირი ბოთლები და სხვა;

5. **PP** – მაგიდები, სკამები, ყუთები, ქილები და სხვა;

6. **PS** – სამზარეულოს პლასტმასის ჭურჭელი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ყუთები დისკებისთვის და სხვა;

7. **სხვა პლასტმასი** – ბავშვის ბოთლები, კომპიუტერის კორპუსები, ავტომობილის ნაწილები და სხვა.








## კვებითი პროდუქტების ნარჩენების გადამუშავება

ყველა ადამიანი წარმოქმნის საკვების ნარჩენს. ოპტიმალურია, როცა საკვებ ნარჩენებს აცალკევებს და გადაამუშავებს თავად მოსახლეობა, რასაც სჭირდება როგორც მოსახლეობის დამოკიდებულების შეცვლა, ისე მყარი ნარჩენების გატანის სხვაგვარად ორგანიზება.

ევროპის რიგ ქვეყნებსა და იაპონიაში მოქმედებს ნარჩენების ადგილებზე დახარისხების სისტემა. აქ ქალაქებსა და სოფლებში შეგროვებული და სეპარირებული ნარჩენი გადასამუშავებლად გადააქვთ გადამამუშავებელ ქარხნებში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად საკვები პროდუქტების გადამუშავება დიდწილად ადგილზევე ხდება.

ქარხნებში თუ სახლის პირობებში საკვები პროდუქტების გადამუშავება მიმდინარეობს კომპოსტირების მეთოდით.

## კომპოსტირება

კომპოსტირება წარმოადგენს ბიოქიმიურ პროცესს, რომლის საშუალებითაც ორგანული მყარი ნარჩენები გარდაიქმნება სტაბილურ, ჰუმუსის მსგავს პროდუქტად, რომელსაც იყენებენ ნიადაგის შედგენილობისა და ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად. კომპოსტირება, შეიძლება ითქვას, „ისტორიული“ მეთოდია, რომელსაც საუკუნეების მანძილზე იყენებენ გლეხები.

კომპოსტირების საბოლოო პროდუქტია კომპოსტი, რომელიც მიიღება ორგანული ნაერთების მიკრობული დაშლით და წარმოადგენს სასუქს. კომპოსტის ნიადაგში შეტანა ნიადაგს ამდიდრებს აზოტოვანი ნივთიერებებით და იმ მიკროორგანიზმებით, რომლებიც შლიან უხსნად ნიადაგურ ორგანულ ნაერთებს და წარმოქმნიან ამიაკს, რომლის დაჟანგვის შედეგად მიიღება ნიტრატები და ნიტრიტები.

**ამბობენ, რომ...**

**ერთხელ რომის იმპერატორ ტიბერიუსთან მისულა იუველირი და მისთვის ვერცხლისფერი ლითონის თეფში მიურთმევია, რომელიც თიხამიწისაგან ყოფილა დამზადებული. თეფში ვერცხლივით ნათელი და ელვარე ყოფილა. ოქრომჭედელი თურმე ამტკიცებდა, რომ მხოლოდ მან და ღმერთებმა იცოდნენ, თუ როგორ მიიღებოდა ეს ლითონი თიხისგან. ტიბერიუსს იმის შიშით, რომ თიხისგან იოლად მისაღები ლითონი ოქროსა და ვერცხლს გააუფასურებდა, ამ ადამიანისათვის თავის მოკვეთა უბრძანებია. ისტორიკოსები დღემდე ვერ შეთანხმებულან იყო თუ არა ეს ალუმინი, რომელიც მართლაც თიხამიწიდან მოიპოვება.**



## დაუჯერებელია, მაგრამ

იაპონიის საზღვაო ქალაქ კობეში გაკეთებულია ხელოვნური კუნძული Port Island. კუნძულის მშენებლობა დაიწყო 1966 წელს და დასრულდა 1981 წელს. მშენებლობის პრინციპი, ერთი შეხედვით, ძალიან მარტივია – მთელი კუნძული არის დაკონსერვებული ნაგავი, რომლის ფართობია 436 ჰექტარი. აქ განთავსებულია აეროპორტი შვეულმფრენისთვის, სხვადასხვა სასტუმრო, უნივერსიტეტები, მუზეუმი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ადგილები, IKEA-ს ჰიპერმარკეტი, დასასვენებელი პარკები და რამდენიმე კაფე. ტურისტებისთვის კუნძულის დასათვალიერებლად საგანგებოდაა გამოყოფილი პატარა მატარებელი. კუნძულთან დაკავშირება შესაძლებელია საავტომობილო ხიდით.

1987 წელს იაპონიაში დაიწყო მეორე ხელოვნური კუნძულის აშენება და დასრულდა 1989 წელს. კუნძულზე განთავსებულია კანსაის საერთაშორისო აეროპორტი. კუნძული 4 კილომეტრის სიგრძისაა და იმავე პრინციპით არის აგებული – მის საძირკველში მოათავსეს უამრავი ტონა ნაგავი და შემდეგ დააკონსერვეს. ხელოვნური კუნძული მთლიანად აეროპორტს უკავია, მასზე აშენებულია ორი ასაფრენ-დასაფრენი ზოლი და აეროპორტის შენობა. სპეციალურად მოწვეული ინჟინრების დამსახურებით კუნძულს მიწისქვეშა ბიძგები არანაირ საფრთხეს არ უქმნის – აქ ნგრევა მოსალოდნელი არ არის.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი იაპონიაში, სადაც ნაგავს გადაამუშავებენ, არის ქალაქი კავასაკი, სადაც, მაგალითად, აწარმოებენ ხარისხიან საპონს იმ ცხიმისგან, რომელიც რჩება რესტორნებში, კაფეებსა და სკოლის სასადილოებში კერძების მომზადების შემდეგ და, როგორც ამბობენ, ამ საპონს ძალიან სასიამოვნო სურნელი აქვს.



ჩვენი ჟურნალის მე-13 ნომერში მკითხველს შევთავაზეთ ლევან ბერძენიშვილის სტატია „შენი შექსპირი“, სადაც ავტორი, დასაწყისშივე, შექსპირის შესახებ ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობების წარმოდგენისას აღნიშნავს: „მართლა შექსპირმა დაწერა შექსპირის პიესები? ზოგიერთი ფიქრობს, რომ სხვა ავტორები წერდნენ იმ ნაწარმოებებს, რომლებიც მას მიეწერება. ეს კამათი არასოდეს დამთავრდება...“

სწორედ ამ კამათის საილუსტრაციოდ გთავაზობთ ინესა მერაბიშვილის საინტერესო წერილს შექსპირის ვინაობის შესახებ, სადაც გადმოცემულია ამ დიდი მწერლის ვინაობასთან დაკავშირებით დღეს არსებული თეორიები და მსჯელობა.




# შექსპირის ვინაობის კვალდაკვალ

ინესა მერაბიშვილი

შექსპირის ვინაობასთან დაკავშირებით ყოველთვის არსებობდა ეჭვი და მინიშნებები – იყო ვარაუდები, რომ შექსპირის ნაწარმოებების რეალური ავტორი შეიძლება ყოფილიყო ქრისტოფერ მარლო ან ლორდი ესექსი, ან ფრენსის ბეკონი, ან ოქსფორდ დე ვერე, ან გრაფი საუთჰემპტონი და სხვანი და სხვანი.



ქრისტოფერ მარლო (1564-1593)
ინგლისელი პოეტი,
მთარგმნელი და დრამატურგი



ლორდი ესექსი (1565-1601) –
ინგლისელი მხედართმთავარი და
ელისაბედ I-ის ფავორიტი



ფრენსის ბეკონი (1561-1626) –
ინგლისელი ფილოსოფოსი,
ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე

ეს მოსაზრებები ძირითადად XIX-XX საუკუნეებში მომძლავრდა და მეტწილად შემდეგი გარემოებით იყო გამოწვეული:

1564 წელს ინგლისის შუაგულში, პატარა ქალაქ სტრეთფორდში, რომელიც მდინარე ავონზეა გაშენებული, ნამდვილად დაიბადა ადამიანი, რომლის სახელი და გვარი იყო უილიამ შაგსპერი (William Shagspeare). ამავე გვარით დარეგისტრირებულია მისი მამაც. რაც შეეხება „გლობუსის“ თეატრის მსახიობსა და მეწილეს, რომელიც დრამატურგადაც გვევლინება, მისი გვარი აფიშებზე ჩნდება არა როგორც Shagspeare, სადაც shag ნიშნავს „ქოჩორა ჩვამას*“, ხოლო speare – „შუბს“, არამედ გვარით Shakespeare, რაც ითარგმნება, როგორც „მოიქნიე შუბი“. რაც შეეხება ისეთ მონაცემებს, როგორიცაა დაბადების ადგილი, მამის ვინაობა, მეუღლე, ოჯახი და ა. შ. ყოველივე მოწმობს იმას, რომ შაგსპერი (William Shagspeare) იგივეა, რაც შექსპირი (William Shakespeare). როგორც ჩანს, შექსპირი შაგსპერის ფსევდონიმი უნდა ყოფილიყო.





ოქსფორდ დე ვერე (1550-1604) –
ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე

ქვემოთ შევეცდებით წარმოვადგინოთ შექსპირის ვინაობასთან დაკავშირებული თეორიები. მსჯელობისას ძირითადად ვეყრდნობით ორ ბოლოდროინდელ პუბლიკაციას – ბრიტანელი ავტორის პიტერ დოკინსის 600-გვერდიან მონოგრაფიას „შექსპირის ენიგმა“ *(Peter Dawkins, The Shakespeare Enigma, Polair Publishing, London, UK, 2004)* და ამერიკელი ავტორის ვირჯინია ფელოუს წიგნს „შექსპირის კოდი“ *(Virginia M. Fellows, The Shakespeare Code, Summit University Press, USA, 2006).*

შექსპირის თხზულებებიდან გამომდინარე, ანუ იქ მოქცეული ცოდნისა და სიბრძნის მიხედვით, მათი ავტორი უნდა იყოს გამორჩეულად განათლებული ადამიანი: ის უნდა იყოს დიდი ფილოსოფოსი, ღრმად განსწავლული ისტორიკოსი, გეოგრაფი, იურისტი, ბოტანიკოსი, პოლიტიკოსი და ა. შ. მას აქვს იმ დროისათვის არსებული მთელი თეორიული ცოდნა, მან იცის მრავალი უცხო ენა და, როგორც ინგლისელები იტყვიან, არის კარგად ნაკითხი და ნამოგზაურები (well read and well travelled), რაც შეესაბამება იმდროინდელი მაღალი საზოგადოების მოთხოვნებსა და პირობებს. თხზულებების ტექსტები იმასაც მოწმობს, რომ მათი ავტორი ჩინებულად ფლობს იმდროინდელი კემბრიჯის უნივერსიტეტის სლენგს და ღრმად არის ჩახედული ამ უნივერსიტეტის ცხოვრებაში, რაც გვაფიქრე-



გრაფი საუთჰემპტონი (1573-1624) –
ითვლებოდა შექსპირის მფარველად და
მისი სონეტების ადრესატად

* ჩვამა – გარეული ფრინველის ერთ-ერთი სახეობა




ბინებს, რომ იგი კემბრიჯის უნივერსიტეტში სწავლობდა.

ყოველივე ამის საპირისპიროდ კი ირკვევა, რომ უილიამ შექსპირის სახელით ცნობილ პიროვნებას, რომელიც დაიბადა სტრეთფორდში, იყო „გლობუსის" თეატრის მსახიობი, მეწილე და ა.შ. არა თუ უმაღლესი განათლება მიუღია, არამედ, შესაძლოა, წერა-კითხვაც კი არ იცოდა.

ინგლისის არქივებში დაცულია ნოტარიუსთან გაფორმებული შექსპირის ანდერძის ექვსი ვარიანტი სათანადო ხელმოწერებით. როგორც ექსპერტებმა გაარკვიეს, ეს ხელმოწერები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მათივე დასკვნით, ეს იმ შემთხვევაში ხდებოდა, როცა კლიენტმა არ იცოდა წერა-კითხვა და ხელს მის მაგიერ ნოტარიუსი აწერდა. და თუ კაცს ხელმოწერაც არ შეეძლო, ცხადია, ამ თხზულებებს ვერ შექმნიდა. რაც შეეხება თავად შექსპირის ნაწარმოებების ხელნაწერებს, ბევრმა ალბათ არც იცის, რომ მისი ქმნილებების არც ერთი ავტორისეული ხელნაწერი არ შემორჩენილა. საფიქრალია, რომ ავტორმა ისინი თავად გაანადგურა.

მოდი, მივყვეთ იმას, თუ რა იცის კაცობრიობამ შექსპირის თხზულებების ავტორის შესახებ.

1785 წელს უორქშირის საგრაფოს მოძღვარმა ჯეიმზ ვილმოტმა მასთან დაახლოებულ პირს, ვინმე კოუელს, გაანდო, რომ შექსპირის თხზულებების ნამდვილი ავტორი იყო ცნობილი ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი. ეს ნაამბობი კოუელმა ჩაიწერა და ჩანაწერი დღესაც ლონდონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება.

საგულისხმოა ის წერილიც, რომელიც ფრენსის ბეკონს მისმა უახლოესმა მეგობარმა, არქიეპისკოპოსმა ტობი მეთიუმ მისწერა ჯერ კიდევ XVI საუკუნის დამლევს. წერილში ნათქვამია: „ყველაზე მძლავრი და გასაოცარი გონება, რომლის შესახებაც ოდესმე მსმენია ჩემს ქვეყანაში თუ ოკეანის მიღმა, თქვენში მეგულება, თქვენო უგანათლებულესობავ, და ისიც სხვა სახელითაა ცნობილი".

ეს მართლაც არ არის პატარა მინიშნება, მით უმეტეს, თუ ვიცით, რომ იმდროინდელ ინგლისში ყველაზე დიდი ინტელექტუალი იყო ფრენსის ბეკონი. შექსპირის პიესებში ძალიან ბევრი ქარაგმა, მინიშნება და რებუსია, რაც საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ სწორედ ფრენსის ბეკონი იყო ის, ვისაც შექსპირის სახელით ვიცნობთ.



**არქიეპისკოპოსი ტობი მეთიუ**

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო შრომები არსებობს, სადაც საუბარია იმაზე, რომ შექსპირის თხზულებებში მოცემული გარკვეული შიფრი ფრენსის ბეკონის ავტორობის შესახებაა. 1910 წელს გამოდის ფ. დარნინგ ლორენსის წიგნი „ბეკონი შექსპირია", სადაც ვკითხულობთ, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შიფრი მოცემულია პიესაში „სიყვარულის ამაო გარჯა". ეს გახლავთ გრძელი, თითქოს უაზრო ლათინური სიტყვა „honoricabilitudinitatibus", რომელსაც პიესის პერსონაჟი წარმოთქვამს. როგორც ავტორი ასკვნის, ეს ლათინური სიტყვა რეალურად არის ანაგრამა, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: hi ludi, F. Baconis nati, tuiti orbi – „ეს თხზულებები ფრენსის ბეკონმა შექმნა კაცობრიობისათვის". ანაგრამებით, ქარაგმებით, რებუსებით, იგავებით, ენიგმებითა თუ ალუზიებით საუბარი ჩვეულებრივი მოვლენაა ლიტერატურაში უხსოვარი დროიდან მოყოლებული დღემდე, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ მეთოდს განსაკუთრებით ხშირად მიმართავდნენ შექსპირის ხანაში და თავად გვარი შექსპირიც ამ პრინციპით უნდა იყოს შედ-



ფრენსის ბეკონი



ლორდი ესექსი

# HONORICABILITUDINITATIBUS

## HI LUDI, F. BACONIS NATI, TUITI ORBI

გენელი. სონეტების პირველ გამოცემაზე შექსპირი დეფისით წერია – “Shake-speare”, რაც ხაზს უსვამს ამ ორი სიტყვის შინაარსს: „მოიქნიე შუბი“.

1945 წელს გამოდის უ. მელსომის ნაშრომი „ბეკონი-შექსპირის ანატომია“, სადაც აღნიშნულია, რომ სანამ ბეკონი თავის ფილოსოფიურ შეხედულებებს და თეორიებს გამოაქვეყნებდა, ეს ყველაფერი შექსპირის შემოქმედებაში უკვე იყო ასახული. შექსპირი რომ გარდაიცვლება, ბეკონი მაშინ აქვეყნებს საკუთარ შრომებს. რჩება ერთადერთი ვარაუდი, რომ შექსპირმა ამ ყველაფრის შესახებ უკვე იცოდა, ანუ შექსპირი თავად იყო ბეკონი. დღეისათვის ასზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია გვთავაზობს ბეკონისა და შექსპირის საფუძვლიან შეპირისპირებას, მაგრამ პიტერ დოკინსის ზემოაღნიშნული წიგნი ბოლო დროის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოკვლევაა.

რაც შეეხება ვირჯინია ფელოუს „შექსპირის კოდს“, რომელიც 2006 წელს გამოიცა, მასში მოთხრობილია ასი წლის წინანდელი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ შექმნეს შექსპირის პიესების გასაშიფრი მანქანა. ამერიკელი ექიმი, რომელიც ძალიან კარგად იცნობდა შექსპირის შემოქმედებას, გრძნობდა, რომ შექსპირის თხზულებების ტექსტში რაღაც დიდი იმალებოდა. ეს ეხებოდა მოულოდნელ ჩართვებს პიესების პერსონაჟთა ტექსტში. ექიმი შეეცადა გაეშიფრა ეს ყოველივე, რამაც ის გასაშიფრი მანქანის შექმნამდე მიიყვანა. მანქანა ბორბლის ფორმისაა, რომელიც იწერს პიესას, უყენებს მას სათანადო შიფრს და ეს შიფრი სრულიად სხვა ახალ ამბავს გვიყვება.

გაშიფვრის შედეგად აღმოჩნდა, რომ შექსპირის პიესებში, გარდა იქ მოთხრობილი ამბებისა, ჩადებულია ფრენსის ბეკონის ცხოვრების ამბავიც, რასაც გაშიფვრის შედეგად ვიგებთ. როგორც ბეკონის ბიოგრაფია მოწმობს, სრულიად ახალგაზრდა ბეკონი დაშიფვრის ოსტატობას ჯერ კიდევ პარიზში დაუფლებია. ასეთი შიფრის შემოღება იმან განაპირობა, რომ მაღალი წრის წარმომადგენლები მიწერ-მოწერის დროს ვერ ენდობოდნენ ქაღალდს, რომელიც შეიძლებოდა სხვის ხელში ჩავარდნილიყო და საიდუმლო ინფორმაციას მხოლოდ შიფრით გადმოსცემდნენ. არსებული მეთოდი ფრენსის ბეკონმა კიდევ უფრო დახვეწა და განავითარა, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო მორზეს ანბანის შექმნას.



# Queen Elizabeth I (Tudor)

შექსპირის თხზულებების გაშიფვრის შედეგად იკითხება, რომ ფრენსის ბეკონი, არც მეტი და არც ნაკლები, ელისაბედ I-ის შვილია. ელისაბედ ტიუდორმა ფარულად იქორწინა გრაფ ლესტერზე. მათ შეეძინათ ვაჟი, რომელიც დედოფალმა გააშვილა. შემდეგ მათ შეეძინათ მეორე ვაჟი, რომელიც ასევე სხვა გვარითაა ცნობილი. ეს იყო ლორდი ესექსი. როგორც ჩანს, დედის ინსტინქტმა მონარქის ინსტინქტს ვერ სძლია და დედოფალმა არც ქორწინება გაამხილა და არც შვილების არსებობა. ქალწულ დედოფლად ცნობილ ელისაბედ I-ს გამოცხადებული ჰქონდა, რომ მან ინგლისზე იქორწინა. ის საკმაოდ ცბიერი პოლიტიკოსი იყო და საქმე ისე მიჰყავდა, რომ იმ უცხოელი თაყვანისმცემლებისაგან, ვინც მას ხელს სთხოვდა, ინგლისი სარგებელს იღებდა. ელისაბედ I-მა უფროსი ვაჟიშვილი განსაკუთრებულად სანდო და დიდებულ ოჯახს მიაბარა. ეს გახლდათ მისი ბეჭდის მცველის, სერ ნიკოლას ბეკონის ოჯახი. ბავშვს სახელად ფრენსისი დაარქვეს და გვარად ბეკონი გახდა. სერ ნიკოლას ბეკონის მეუღლე იყო ენ კუკი, დიდი ჰუმანისტის, ენტონი კუკის (Anthony Cooke) ქალიშვილი. ამ ოჯახში კიდევ ერთი ვაჟი იზრდებოდა, ოჯახის ნამდვილი შვილი – ენტონი ბეკონი (Anthony Bacon), რომელსაც ჩვენ ქვემოთ მივუბრუნდებით. ფრენსისის გაშვილების საიდუმლოს ორივე მხარე სათუთად ინახავდა, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც ფრენსისი 15 წლის გახდა, დედოფალმა ვაჟიშვილს თავად გაუმხილა ყოველივე. შემდგომში ტიუდორთა შთამომავალი შინაგანად ყოველთვის ილტვოდა გამხდარიყო მონარქი, მაგრამ ელისაბედ I-მა მას გასაქანი არ მისცა. როგორც ჩანს, ფრენსისმა საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების რეალიზაცია ფილოსოფიასა და ლიტერატურაში მოახდინა.

ფრიად საყურადღებოა, რომ თუ ვ. ფელოუს წიგნი შექსპირის, როგორც ფრენსის ბეკონის, ცხოვრების ამბავს გასაშიფრ მანქანაზე დაყრდნობით აღწერს, პ. დოკინსმა იგივე ბიოგრაფია ისტორიული წყაროების ანალიზით შემოგვთავაზა.

ფრენსის ბეკონი, როგორც მეცნიერი, სარბიელზე დაუფარავად გამოვიდა, მაგრამ როგორც პოეტი და დრამატურგი საკუთარ ავტორობას საგულდაგულოდ მალავდა. როგორც ირკვევა, მსახიობმა უილიამ შექსპირმა იცოდა დიდი საიდუმლო და მას ამისათვის გასამრჯელოს უხდიდნენ. საკვირველი აღარაა, რომ ის თეატრ „გლობუსის" მეწილეც გახდა და მოგვიანებით საკუთარი სახლიც შეიძინა.

ელისაბედ I, როგორც უძლიერესი მონარქი, მშვენივრად აცნობიერებდა, რომ ქვეყნის წინსვლა მხოლოდ ცოდნითა და განათლებით იყო შესაძლებელი. ელისაბედ I ფარულად გზავნიდა ინტელექტუალურ ჯაშუშებს (intellectual spies) კონტინენტზე და მათ იქიდან შემოჰქონდათ ცოდნა, რომლსაც თავის ქვეყანაში ამკვიდრებდნენ.

ზოგადად, ინტელექტუალური ჯაშუშობა მიღებული მოვლენა იყო შექსპირის ეპოქაში, თუმცა ეს ყველაფერი ფარულად ხდებოდა და ამ საქმიანობაში დედოფალმა საკუთარი შვილი – ფრენსის ბეკონიც ჩართო. ინტელექტუალური ჯაშუში გახლდათ ქრისტოფერ მარლოც. ამ მიზანს ემსახურებოდა ის კლუბიც, რომელიც დედოფლის ხელშეწყობით შეიქმნა და რომელსაც სათავეში სრულიად ახალგაზრდა ფრენსის ბეკონი ჩაუდგა. ამ კლუბის სახელწოდება იყო "Speare shakers" – „შუბის მქნეველნი", ინტელექტუალებს შუბი უმეცრების წინააღმდეგ უნდა მოექნიათ და დაემარცხებინათ ის. ელისაბედ I-მა ჩინებულად იცოდა, რომ განათლებისა და ინტელექტის გარეშე კაცის ძალა და ღონე ვერაფერს გახდებოდა. მან ეს საქმით დაამტკიცა: ელისაბედ I-მა შეძლო ინგლისის აღორძინება, ამიტომაც ინგლისური რენესანსი ელისაბედ I-ის მეფობის ხანასთანაა დაკავშირებული. საყურადღებოა, რომ ამას ძირითადად დრამატურგიითა და სიტყვით მიაღწიეს. იქნებ ამიტომაც იტყვის შექსპირი „ჰამლეტში", მსახიობების გეშინოდეთო. „შუბის მქნეველებში" ბეკონთან იმ დროის დიდი მწერლები და შემოქმედები თანამშრომლობდნენ. მათ ბეკონი თავის „კარგ მოკალმეებს" – "good pens" უწოდებდა. ფრენსის ბეკონს ეკუთვნის გამოთქმა: „ცოდნა ძალაა".

მართალია, ფრენსის ბეკონი ვერ გახდა მონარქი, მაგრამ მან საკუთარი შემოქმედებით უფრო მაღალი გვირგვინი დაიდგა და ინგლისსაც დაადგა.

როგორც ვხედავთ, ენიგმა, ანუ გამოცანაა არა მხოლოდ შექსპირის პიროვნება, არამედ თვით გვარი – "Shake speare" – „მოიქნიე შუბი", რომელიც კლუბის სახელწოდების – "Speare shakers" – „შუბის მქნეველნი" – სიტყვათა გადაადგილებით შეიქმნა.

როგორც მოგეხსენებათ, პიესების გარდა შექსპირი 154 სონეტითაა ცნობილი. ამ სონეტების პირველი სრული ქართული თარგმანი ეკუთვნის გივი გაჩეჩილაძეს, შემდეგ სონეტები ისევ სრულად თარგმნა რეზო თაბუკაშვილმა. როგორც შექსპიროლოგები აცხადებენ, მხოლოდ სონეტები რომ დაეწერა შექსპირს, ის მაინც ცნობილი გახდებოდა, მაგრამ, ნუ იტყვით და, თურმე ეს სონეტები ძირითადად ფრენსისის ძმას, ენტონი ბეკონს დაუწერია. ენტონი ფრენსისზე რამდენიმე წლით უფროსი იყო და ორივე მათგანი კემბრიჯის უნივერსიტეტში სწავლობდა. განათლებაში ძმები





ენტონი ბეკონი



მერი სიდნეი

ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ. ისინი თურმე რვა უცხო ენას ფლობდნენ და ყოველ მათგანზე ისე ლაპარაკობდნენ, რომ იმ ქვეყნის შვილი ვერ ხვდებოდა მათ უცხოურ წარმომავლობას. დედოფალმა, როგორც ჩანს, თანაბრად იზრუნა ორივე ძმის განათლება-განვითარებაზე და ფრენსისი და ენტონი კონტინენტზეც ერთად მოგზაურობდნენ.

ფრენსისი გარეგნულად ძალიან ლამაზი და მომხიბვლელი ყოფილა, რასაც ვერ ვიტყვით მის უფროს ძმაზე. ამას ისიც ემატებოდა, რომ ენტონი კოჭლი იყო და ჯანმრთელობაც ღალატობდა. ცნობილი იყო, რომ სწორედ ენტონი წერდა სონეტებს. ენტონის გარდაცვალების შემდეგ ფრენსისმა ძმის თხზულებებს თავი მოუყარა და გამოსცა, თუმცა სონეტებს იქ ვერ ვნახულობთ. როგორც მკვლევრები ასაბუთებენ მისი 154 სონეტი შექსპირის სახელით გამოიცა. შესაძლოა, ფრენსის ბეკონმა ბოლო რედაქცია თავად გაუკეთა სონეტებს.

ორი პოეტის საკითხი დღეს სერიოზული მსჯელობის საგანია. განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობენ 83-ე სონეტზე, სადაც ორ პოეტზეა მინიშნება. ამ ორ პოეტში ძმები ენტონი და ფრენსის ბეკონები იგულისხმება. ვარაუდობენ იმასაც, რომ ყველა სონეტი არ უნდა იყოს ენტონის შეთხზული, გარკვეული ნაწილი „კარგი მოკალმეების“ შემოქმედებაა. მათ შორის ერთ-ერთი ავტორი ქალიც ყოფილა – მერი სიდნეი, ფილიპ სიდნეის და. პოეტის, ანუ ენტონის კოჭლობაზე კი ლაპარაკია 37-ე და 89-ე სონეტებში. სამწუხაროდ, სონეტების თარგმანებში არც კოჭლობა და არც რიცხვი „ორი“ ყოველთვის არაა შენარჩუნებული.

შექსპირის საფლავზე მისი ბიუსტი დგას, სადაც პოეტი კალმით ხელშია გამოსახული. საყურადღებოა, რომ საწერი მაგიდის ნაცვლად პოეტს წინ ქვისგან გამოთლილი მუთაქა უდევს. როდის იყო მწერალი მუთაქაზე წერდა?! ისიც საგულისხმოა, რომ ამ ბიუსტზე გამოსახულ შექსპირს წინ სუფთა ფურცელი უდევს. ეს იმის მანიშნებელია, რომ მას, ვისაც უილიამ შექსპირი ერქვა, არაფრის დაწერა შეეძლო. მისთვის საწერი მაგიდა მხოლოდ მუთაქაა და მის კალამს ცარიელი ფურცლის შევსება არ ძალუძს...

შექსპირის ვინაობის საკითხი მსოფლიო ლიტერატურაში მხოლოდ ღრმა ინტელექტუალურ ფენებში განიხილებოდა. როგორც ჩანს, იქ, მის სამშობლოში, არავის აწყობდა შექსპირის ნამდვილ ვინაობა-



შექპირის მეუღლე - ენ ჰეთუეი

ზე საუბარი, თუნდაც ორი მიზეზის გამო: პირველი – ელისაბედ ტიუდორის კომპრომეტირებისაგან ყველა თავს იკავდებდა და მეორე – მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის ბიუჯეტის გაფრთხილება: ამ ცოდნის დაფარვამ საუკუნეების მანძილზე წინ წამოწია სტრეთფორდელი მსახიობის ამბავი, რასაც სათანადო ტურისტული ინდუსტრიის განვითარება მოჰყვა. თუ შექსპირის სამშობლოში მოხვდებით, დარწმუნდებით, რომ შექსპირს დიდი ინდუსტრია უკავშირდება: მილიონობით ტურისტი სტუმრობს სტრეთფორდს და ყიდულობს უამრავ სუვენირს, რასაც განსაკუთრებულ ელფერს სძენს შექსპირთან დაკავშირებული არაერთი სახლის მონახულება. გიდი თავაზიანად მიგიწვევთ შექსპირის ცოლის, ენ ჰეთუეისა, თუ თავად შექსპირის მშობლების სახლში და იმასაც გაჩვენებთ, თუ სად იჯდა შექსპირის მამა, სად ეძინა შექსპირს, სად სადილობდა ოჯახი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ამ საქმეში ჩახედულთ კი კარგად მოგვეხსენება, რომ არც ერთი სახლი და არც ერთი ადგილი სტრეთფორდელი მსახიობის ნამდვილ საცხოვრებელთან დაკავშირებული არ არის, რადგან ცოდნა მათ შესახებ აღარ არსებობს. ეს სახლები საგანგებოდ ააშენეს, რათა შექსპირის სახელი უკვდავეყონ და ქვეყანამ სარგებელიც ნახოს.

შექსპირის სახელის ბეკონთან გაიგივება დღესაც უცნობია ბევრისთვის, მათ შორის – ინგლისშიც. ინგლისელები ამაზე საუბარს ერიდებიან. თუმცა, ბოლოდროინდელ სუვენირებში უკვე შეიმჩნევა შექსპირის, როგორც ორი პოეტის სახე და მინიშნებები ფრენსის ბეკონზე. გამოჩნდა აბრეშუმის თავშლები შექსპირის ორი პორტრეტით. ასევე იყიდება ინგლისური ფაიფურის ჩაის ფინჯანი, სადაც ერთ სამელნეში ორი კალამია გამოსახული. იქვე, შექსპირის ცნობილი პორტრეტის გვერდით, მამაკაცის პორტრეტია გამოსახული. შექსპირის პორტრეტის ქვემოთ გარკვევით წერია – William Shakespeare, ხოლო მეორე მამაკაცის ვინაობა მითითებული არ არის. მავანსა და მავანს ის შეიძლება შექსპირის რომელიმე პიესის გმირი ეგონოს, ხოლო ვინც კარგად იცნობს ფრენსის ბეკონის იკონოგრაფიას, ამ პორტრეტში დიდ ინგლისელ ფილოსოფოსს ამოიცნობს.



უილიამ შექსპირის სახლი სტრეთფორდში



ამ იდუმალების ფონზე ნურც ის დაგვავიწყდება, თუ რა ეპიტაფიაა ამოტვიფრული შექსპირის საფლავის ქვაზე:

„გთხოვ, მეგობარო, ღვთის
გულისთვის, არ გაეკარო
ნეშტს იმ კაცისა, ამ საფლავში ღრმად
რომ მარხია,
ვინაც დაინდოს ეს ცივი ქვა, მან
გაიხაროს,
წყეულიმც იყოს, თუ გაბედა და
შეარხია“.



# აფხაზებისა და მათი ღამაზი ბაღის თავგადასავალი

წმ. გიორგი ორდენი

გიორგი თარხან-მოურავი

თხუთმეტიოდე წლის წინ უცნაური წერილი მივიღე კანადიდან. ჩემთვის უცნობი ქალბატონი მომმართავდა არანაკლებ უცნაური თხოვნით – დავხმარებოდი კანადაში, ბრიტანეთის კოლუმბიის შტატის ქალაქ ვიქტორიაში არსებული ბაღის გადარჩენაში.

ჩემი დავალება იმაში მდგომარეობდა, რომ თხოვნით მიმემართა შტატის გუბერნატორისთვის და ვიქტორიის მერისთვის, რომ ბაღის განადგურება დროებით შეეჩერებინათ, ვიდრე მის გადასარჩენად საჭირო ღონისძიებები განხორციელდებოდა (ანუ გამოსასყიდი ფული შეგროვდებოდა). მეორე თხოვნაც იყო – დავხმარებოდი ბაღის გარდაცვლილი პატრონების ვინაობის გარკვევაში. ასე გავეცანი ამ უაღრესად დრამატულ და ამავდროულად რომანტიკულ ისტორიას, რომლის გულგრილად გახსენება შეუძლებელია. მე სწორედ იმიტომ მომმართეს, რომ გარდაცვლილი მფლობელის სავარაუდო ქართველობაზე მიუთითა თურმე ჩვენმა საერთო ნაცნობმა და ამის შემოწმებაც სურდათ, რადგან ქალაქში მას უფრო „რუს თავადად“ იცნობდნენ.




ელენე იოსელიანი და კოტე აფხაზი
(ალექსანდრე როინაშვილის ფოტო)



СВИДѢТЕЛЬСТВО.

Тифлисскаго Дворянскаго Депутатскаго Собранія

Тифлисское Дворянское Депутатское Собраніе

ნიკოლოზ აფხაზის
დაბადებისა და წოდების მოწმობა

მაშ ასე, ულამაზესი ბაღი, რომლის ირგვლივაც ტრიალებს მთელი ეს საოცარი ამბავი, ეკუთვნოდა ნიკოლოზ და პეგი აფხაზებს. ამ უშვილო წყვილის გარდაცვალების შემდეგ კი სახლი და ბაღი ანდერძით დარჩათ მებაღეს და მის მეუღლეს, რომელთაც ბაღის მოვლა იკისრეს. ახალმა პატრონებმა რამდენიმე წლის შემდეგ ბაღის გაყიდვა გადაწყვიტეს, რადგან ბაღის შესანახი ხარჯები მათთვის მძიმე ტვირთი აღმოჩნდა. ამ თვალწარმტაცი ბაღის სანაცვლოდ კომერციული მშენებლობა უნდა დაწყებულიყო, რომ არა აფხაზების სამეზობლო, რომლებმაც განგაში ატეხეს, ბაღის გადარჩენა გადაწყვიტეს და ამისთვის კარგად ორგანიზებული და აქტიური კამპანიაც გააჩაღეს... სწორედ ერთ-ერთი ამ თავდადებულ მეზობელთაგანი მთხოვდა დახმარებას...

მაგრამ სჯობს ამბავს თავიდან მივყვე, რადგან ამ ისტორიაში ერთი საოცრება მეორეს ცვლის. ჯერ შევეცადე გამერკვია, თუ ვინ იყვნენ ეს ნიკოლოზი და პეგი აფხაზები და პირველი მოულოდნელობაც სწორედ აქ გამოჩნდა.

როგორც მალე გაირკვა, ნიკოლოზ აფხაზი ყოფილა გენერალ კოტე აფხაზისა და მისი მეუღლის, ელენე იოსელიანის, ვაჟიშვილი და, შესაბამისად, ილია ჭავჭავაძის უფროსი დის – ნინოს – შვილიშვილი. ნიკოლოზი დაიბადა 1899 წელს, ძველი სტილით 14 მაისს, სავარაუდოდ, სოფელ კარდენახში, სადაც აფხაზების ოჯახი მკვიდრობდა.

ნიკოლოზს ბედნიერი ბავშვობა დიდხანს არ დასცალდა, რადგან დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და კოტე აფხაზი ფრონტზე წავიდა. მოგვიანებით თვითონ ნიკოლოზიც, ჯერ მთლად ახალგაზრდა, გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. თუმცა ომი მალე დამთავრდა და რუსეთის იმპერიაც დაიშალა.



ნიკოლოზ აფხაზი პირველ მსოფლიო ომში სანგრებთან

# ქართველები უცხოეთში



## კოტე აფხაზი

კოტე აფხაზი დაიბადა 1867 წლის 27 ნოემბერს (ძველი სტილით) კახეთში, სოფელ კარდენახში, აფხაზების საგვარეულო მამულში, ნიკოლოზ აფხაზისა და ნინო ჭავჭავაძის (ილიას უფროსი დის) ოჯახში.

თავადი აფხაზების გვარი (სხვადასხვა ვერსიით – შერვაშიძე-ჩაჩბები თუ ანჩაბაძე-აჩბები) აფხაზეთიდან კახეთში მე-17 საუკუნეში გადმოსახლებულა, კარდენახში მიუღია ვაჩნაძეების ყოფილი მამულები და მას შემდეგ იქ დამკვიდრებულა.

კოტე აფხაზი მამამისივით სამხედრო კარიერას გაჰყვა. დაამთავრა თბილისის კადეტთა სასწავლებელი და შემდეგ – პეტერბურგის სამხედრო აკადემია. 1890 წლიდან მოყოლებული წარჩინებული სამხედრო სამსახურისთვის არაერთხელ დაჯილდოვდა, ხოლო 1916 წელს მიიღო არტილერიის გენერალ-მაიორის წოდება. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში (1914-1918 წწ.). არაერთგზის იქნა არჩეული თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლად, იყო თბილისის საადგილმამულო-სათავადაზნაურო ბანკის სამეურვეო კომიტეტის წევრი. 1916 წელს აირჩიეს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოში (დუმაში) თბილისის გუბერნიიდან.

კოტე აფხაზს მიუძღვის მნიშვნელოვანი წვლილი 1917 წელს საქართველოში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაარსებაში. გარკვეული პერიოდი ის პარტიის თავმჯდომარის მოვალეობასაც ასრულებდა. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენაში, იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი და მას გადასცა საადგილმამულო ბანკის შენაძენი 26 მილიონი ოქროს მანეთის ღირებულების ქონება. 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძალადობრივი გასაბჭოების შემდეგ აფხაზი ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, აქტიური მონაწილეობა მიიღო 1922 წელს დუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში დაწყებულ აჯანყებებში. 1922 წლის აგვისტოდან ჩართულია „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" (დამკომის) საქმიანობაში, სადაც პარიტეტულ საწყისებზე გაერთიანდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტია, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტია, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტია და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია „სხივი". განსაკუთრებით აქტიურ როლს კოტე აფხაზი ასრულებდა დამკომის სამხედრო ცენტრის საქმიანობაში.

1923 წლის გაზაფხულზე საგანგებო კომისიამ (ჩეკამ) მოიპოვა ინფორმაცია სამხედრო ცენტრის საქმიანობის შესახებ და კოტე აფხაზი და მისი თანამებრძოლები დააპატიმრეს. მათ ბრალი დასდეს საბჭოთა ხელისუფლების წიმააღმდეგ შეთქმულების მოწყობაში, საქართველოში ბანდიტური მოძრაობის შექმნაში, ანტანტის სასარგებლოდ ჯაშუშობაში, მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღალატში. 1923 წლის 21 მაისს კოტე აფხაზი და 14 ქართველი ოფიცერი დახვრიტეს დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე.

კოტე აფხაზის საგვარეულო სახლი კარდენახში დღეს სრულად გაპარტახებულია და ინგრევა.



სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებული ნიკოლოზი ევროპაში გასამგზავრებლად ემზადება, სადაც სწავლის გაგრძელებას აპირებს. 1919 წლის სექტემბერში ის უცხოეთის პასპორტს იღებს და მალევე ახალგაზრდა ნიკოლოზი დედასთან ერთად საქართველოს ტოვებს, სადაც ვეღარასოდეს დაბრუნდება, და ევროპისკენ მიემგზავრება.



**ნიკოლოზ აფხაზი და ელენე იოსელიანი საფრანგეთში**

საფრანგეთში ნიკოლოზი, მიუხედავად ფინანსური გაჭირვებისა, იურიდიულ განათლებას იღებს. ცოტა ხანში პარიზში საშინელი ამბავი მოსდით: საქართველოში დარჩენილი კოტე აფხაზი, რომელიც იატაკქვეშა „დამოუკიდებლობის კომიტეტის" (დამკომის) სამხედრო ცენტრს ხელმძღვანელობდა და ანტიბოლშევიკურ ამბოხებას ამზადებდა, 1923 წლის მაისში ჩეკისტებმა შეიპყრეს და სხვა თანამებრძოლეებთან ერთად მალევე დახვრიტეს.

ამ ტრაგიკულ ამბავთან ერთად პარიზში დარჩენილ ნიკოლოზ აფხაზს სახსრებიც შემოაკლდა და ბევრი ქართველი ემიგრანტის მსგავსად დიდ გაჭირვებაში უწევდა ცხოვრება. გადმოცემით, თავი იმით გაჰქონდა, რომ მდინარე სენის განთქმულ სანაპიროზე ძველ წიგნებს ყიდდა.

მაგრამ ნიკოლოზი ახალგაზრდა იყო და სიძნელეები არ აშინებდა. პარიზში ის გაიცნობს ოცი წლის გოგონას – მარჯორი (პეგი) პემბერთონ-კარტერს და ისინი მალევე დამეგობრდებიან, თანდათან კი მათი მეგობრობა რომანტიკულ ურთიერთობაშიც გადაიზრდება. სამწუხაროდ, პეგის მდიდარი და ამპარტავანი დედობილი ფლორენს პემბერთონი ვერ იყო ამით განსაკუთრებით კმაყოფილი, რადგან ნიკოლოზს, მართალია, სასიამოვნო ახალგაზრდად მიიჩნევდა, მაგრამ ზედმეტად უსახსროდ (მისი თქმით, „ის შესაძლოა თავადიც იყოს, მაგრამ ის ხომ ღატაკია!"). როგორც კი ურთიერთობამ სერიოზული ხასიათი მიიღო, 1932 წელს მან საჩქაროდ მოაშორა პეგი პარიზს და საცხოვრებლად ჩინეთში, შანხაიში გადავიდნენ, სადაც ფლორენსს დიდებული სახლი ქონდა.

მიუხედავად დაშორებისა, ნიკოლოზს და პეგის მაინც არ გაუწყვეტიათ ურთიერთობა და აგრძელებდნენ მიწერ-მოწერას, მაგრამ თანდათან ამ ურთიერთობის ინტენსივობა მინელდა. 1938 წელს ფლორენს პემბერტონი გარდაიცვა-

**მარჯორი (პეგი) მეიბლ ჯეინ პემბერთონ-კარტერი**
**MARJORY (PEGGY) MABEL JANE PEMBERTHON-CARTER**

მარჯორი მეიბლ ჯეინ პემბერტონ-კარტერი **(Marjory (Peggy) Mabel Jane Pemberthon-Carter)**, ანუ პეგი, როგორც მას ახლობლები ეძახდნენ, დაიბადა 1902 წელს ჩინეთში, შანხაიში, ინგლისელი ცოლ-ქმრის – მეიბლ და ჯეინ კარტერების ოჯახში. სამი წლის შემდეგ ოჯახი ინგლისში დაბრუნდა, მაგრამ პეგის მშობლები მალევე დაეხოცა და დაობლებული გოგონა ფლორენს და თომას პემბერთონებმა იშვილეს, რომლებიც კარტერების ოჯახს შანხაიდან კარგად იცნობდნენ.

პეგი და მისი დედობილი ფლორენსი ბევრს მოგზაურობდნენ, თუმცა მათი მთავარი საცხოვრებელი შანხაი იყო. პეგის მუსიკალური ნიჭი ადმოაჩნდა და მუსიკალურ განათლებას იღებდა ვენაში, ლონდონსა და პარიზში. სწორედ ერთ-ერთი ამგვარი მოგზაურობის დროს, პარიზში, 1923 წელს, გაიცნო პეგიმ ნიკოლოზ აფხაზი – თავისი მომავალი მეუღლე. 1932 წელს პეგი და ფლორენს პემბერთონი შანხაიში დაბრუნდნენ.

1939 წელს ფლორენს პემბერტონი გარდაიცვალა, პეგი კი შანხაიში დარჩა. 1943 წელს იაპონიის სამხედრო ოკუპაციის შედეგად პეგი დაატყვევეს და მოათავსეს სამოქალაქო პირებისთვის განკუთვნილ საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც ორნახევარი წელი გაატარა. 1945 წელს ბანაკი შეერთებული შტატების ჯარის ნაწილმა გაათავისუფლა და პეგი, სხვა განთავისუფლებულ ტყვეებთან ერთად, გემით ჯერ კალიფორნიაში, სან-ფრანცისკოში, გაემგზავრა, შემდეგ – კანადის ქალაქ ვიქტორიაში, სადაც სამუდამოდ დარჩა. 1946 წელს პეგი დაქორწინდა ნიკოლოზ აფხაზზე და ამ დროიდან მას უკვე პეგი აფხაზი ჰქვია.

ლა, მაგრამ პეგიმ შანხაიში გააგრძელა ჩვეული ცხოვრება.

1930-იანი წლების ბოლოს სამყარო კვლავ აირია და მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო. ნიკოლოზი ჯარში გაიწვიეს და ფრანგული სამხედრო ნაწილის შემადგენლობაში ფრონტზე იბრძოდა. ფრანგული ჯარი ვერ უწევდა წინააღმდეგობას გერმანელთა შემოტევას და მარცხი მარცხს მოჰყვებოდა. არც აქ გაუმართლა ნიკოლოზს, ის, თავის თანამებრძოლებთან ერთად, ტყვედ ჩავარდა და სამხედრო ტყვეების საკონცენტრაციო ბანაკში აღმოჩნდა გერმანიაში, სადაც ომის დასრულებამდე მოუწია დარჩენა. სამწუხაროდ, ცოტა რამ არის ცნობილი მისი ბანაკში გატარებული წლების შესახებ. ეტყობა, ნიკოლოზს განსაკუთრებით ამ ტრაგიკული დროის გახსენება არ უყვარდა .

არანაკლებ დრამატულად წარიმართა ჩინეთში დარჩენილი პეგის ცხოვრება. იაპონელებმა ჩინეთის სამხედრო ოკუპაცია მოახდინეს და იქ მცხოვრები მრავალი ევროპელი დააკავეს. უცნაური იყო მათი ბედისწერა: ვიდრე ნიკოლოზი გერმანულ ტყვეობაში იმყოფებოდა, პეგი იაპონურ ტყვეობაში, ე.წ. „ლუნგუას საპატიმრო ბანაკში“ (Lunghua Prison Camp) იყო. პეგი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში (1943-1945 წწ.), მიუხედავად დიდი ხიფათისა, საიდუმლოდ აწარმოებდა დღიურს, რომლის საფუძველზეც შემდგომ მოგონებების შესანიშნავი წიგნიც დაწერა. ეს წიგნი 1981 წელს გამოიცა, სათაურით „უცნაური გალია – ცხოვრება იაპონურ საკონცენტრაციო ბანაკში, 1943-1945 წლები“ (A Curious Cage), და მკითხველის დიდი მოწონებაც დაიმსახურა, წიგნი 2002 წელს ხელახლა დაიბეჭდა.

პეგი პატიმრობაში არა მხოლოდ დღიურის წერას ახერხებდა, მან შეძლო პუდრის კოლოფში გარკვეული თანხის დამალვაც, რაც შემდგომში ძალიან გამოადგა, და ასევე შეინახა და გადაარ-




2002 წელს პეგი აფხაზის მოგონებების ხელახალ გამოცემასთან ერთად გამოვიდა ქეთრინ გორდონის დაწერილი პეგი აფხაზის ბიოგრაფია „უცნაური ცხოვრება: თავადის ქალ პეგი აფხაზის ბიოგრაფია“.





ჩინა საბუთები, რომლებიც მის უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას ამტკიცებდა. ომი როგორც კი დასრულდა და პეგი განთავისუფლდა პატიმრობიდან, გადარჩენილი სახსრებით სანფრანცისკოში გაემგზავრა. 1945 წლის დეკემბერში პეგი ეწვია თავის მეგობრებს, კანადის კუნძულ ვანკუვერის ქალაქ ვიქტორიაში მცხოვრებ მაკკენზების ოჯახს. პეგის იმდენად მოეწონა იქაურობა, რომ გადაწყვიტა ვიქტორიაში დასახლება და შანხაის სახლის გაყიდვით მიღებული თანხით შეიძინა მიწის ნაკვეთი, რომელმაც თავისი ველური, კლდიანი ლანდშაფტით და იქიდან გადაშლილი ულამაზესი ხედით – ის ხუან დე ფუკას სრუტეს და შორეულ მთებს გადაჰყურებს – მისი გული მოიგო. იმ დროს ეს ნაკვეთი ქალაქის განაპირას იყო და, ფაქტობრივად, სანაგვედ იყო ქცეული, მაგრამ პეგი ამან არ დააფრთხო. ის უკვე გონებაში ხედავდა, თუ რა კოხტა ბაღნარად შეეძლო ექცია ეს არცთუ დიდი – 6000 კვადრატულ მეტრამდე – ფართობის, მაგრამ დიდი შესაძლებლობების ნაკვეთი.



პეგი აფხაზი (მარცხნივ) და მიურიელ მაკკენზი ვიქტორიის ქუჩაში, 1946 წელი

ამ დროს მნიშვნელოვანი რამ მოხდა: მიუხედავად ბოლო შეხვედრიდან განვლილი 13 წლისა, პეგის არ დავიწყებია ნიკოლოზი და ძალას არ იშურებდა, რომ ნიკოლოზის ბედი გაერკვია. ომის წლებში მათი კავშირი შეწყდა და ერთმანეთის შესახებ არაფერი იცოდნენ. ნიკოლოზიც, თავის მხრივ, ცდილობდა პეგის ასავალ-დასავალის გარკვევას. 1946 წლის იანვარში წითელი ჯვრისა და საერთო მეგობრების დახმარებით მათ ერთმანეთის კვალს მიაგნეს და პეგიმ ნიკოლოზის პირველი წერილი მიიღო. მათ გადაწყვიტეს ნიუ-იორკში შეხვედროდნენ ერთმანეთს. ისინი ერთად გაემგზავრნენ ვიქტორიაში, სადაც მალევე იქორწინეს.

ქორწინებისას ნიკოლოზი უკვე 47 წლისა იყო, პეგი – 44-ის. განვლილმა ცხოვრებამ მათ ბევრი უბედურება და სიძნელე აგემა, მაგრამ ვიქტორიაში მათ თითქოს სრულებით ახალი ცხოვრება დაიწყეს და ამ ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი ნიშანსვეტი მათი ბაღი გახდა. პეგიმ და ნიკოლოზმა დაუყოვნებლივ დაიქირავეს მუშახელი ნაკვეთის გასაწმენდად და ადგილობრივ არქიტექტორს საზაფხულო სახლის გეგმა დაუკვეთეს. ისინი სწრაფად მოქმედებდნენ, არც

თვითონ გაურბოდნენ მძიმე შრომას და უკვე ერთ წელიწადში, 1946 წლის ბოლოსთვის, მიწის ნაკვეთი გაწმენდილი და შემოღობილი, ხეხილის ხეები და ყვავილები დარგული, ხოლო საზაფხულო სახლი აშენებული იყო. 1947 წლის გაზაფხულიდან აფხაზები უკვე თავის ახალ ადგილ-სამყოფელში სახლდებიან და აქ გაატარებენ ერთად მომდევნო 40 წელიწადს.

ნიკოლოზი და პეგი სავსე ცხოვრებით ცხოვრობდნენ, მათ მალე შეიძინეს ბევრი მეგობარი და თავისი კეთილგანწყობის, განათლებისა და




**ნიკოლოზ და პეგი აფხაზები, 1947 წელი**

ფართო ინტერესების გამო საერთო პატივისცემით სარგებლობდნენ. ნიკოლოზი წარმატებულ საადვოკატო კარიერასაც მისდევდა. მიუხედავად აქტიური სოციალური ცხოვრებისა, აფხაზების მთავარი საზრუნავი ბაღი რჩებოდა. პეგი ბაღს ხშირად „ჩვენს შვილად" მოიხსენიებდა. მართლაც საკმაოდ მალე აფხაზების ბაღი, ბუტჩარტის ულამაზეს ბოტანიკურ ბაღთან ერთად, ვიქტორიის ერთ-ერთ მთავარ ღირსშესანიშნაობად იქცა. პეგიმ ბევრი რამ ისწავლა აღმოსავლეთში ცხოვრებისას მებაღეობის შესახებ, მაგრამ აფხაზები ცდილობდნენ ბაღისა და შენობების დაგეგმარებისას საუკეთესო სპეციალისტები ჩაერთოთ, იქნებოდნენ ეს არქიტექტორები თუ ლანდშაფტის სპეციალისტები. მათ თავიანთ ბაღში არა მარტო ულამაზესი როდოდენდრონების უნიკალური კოლექცია შექმნეს, არამედ რამდენიმე დეკორატიული ჯიში თავადაც გამოიყვანეს.

წლითი წლობით აფხაზების ბაღი სულ უფრო მშვენდებოდა და მის სანახავად უამრავი ხალხი მიდიოდა.

1987 წელს 88 წლის ასაკში გარდაიცვალა ნიკოლოზ აფხაზი. მარტო დარჩენილი პეგის ბოლო წლებს ბაღის გაურკვეველ მომავალზე ფიქრიც ამძიმებდა, ბაღისა, რომლის გასაშენებლადაც მას და მის მეუღლეს ამდენი სიყვარული და შრომა ჰქონდათ ჩაქსოვილი. ეს არის ბაღი, რომელიც



**მარჯორი (პეგი) მეიბლ ჯეინ ჰემბერთონ-კარტერი**

სიყვარულმა გააშენაო, – ხშირად ამბობდა თურმე პეგი. სამწუხაროდ, ბიუროკრატიული სირთულეების გამო უკვე ასაკოვანმა და მოტეხილმა პეგიმ ვერაფრით მოახერხა ბაღის ქალაქისთვის გადაცემა და საბოლოოდ, 1989 წელს, ის თავის მებაღეს ქრისტოფერ ჰილს დაუტოვა იმ პირობით, რომ ქრისი და მისი მეუღლე პამელა ბაღს მოვლა-პატრონობას არ დააკლებდნენ, თვითონ კი მოხუცთა თავშესაფარში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დარჩა. პეგი აფხაზი 1994 წლის 14 ნოემბერს 92 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სამწუხაროდ, მებაღის მიცემულ პირობას დიდი დღე არ ეწერა, რასაც ობიქტური მიზეზებიც ჰქონდა: მიწის ნაკვეთი, რომელიც ოდესღაც ქალაქის განაპირას მდებარეობდა, ახლა უკვე შუა ქალაქში მოექცა და მისი ფასიც საგრძნობლად გაიზარდა. ამავე დროს ბაღის შენახვის ხარჯები სულ უფრო იზრდებოდა და ჰილების ოჯახი ამას ველარ აუდიოდა. პეგის გარდაცვალებიდან რამდენიმე წელიწადში, 1999 წელს, ახალმა პატრონებმა ნაკვეთის გაყიდვა გადაწყვიტეს. მყიდველები კი ბაღის გაჩეხვას და მის ადგილას თორმეტი საცხოვრებელი სახლის აშენებას აპირებდნენ.

ეს ალბათ ასეც მოხდებოდა, რომ არა მეზობლები და ვიქტორიის საზოგადოება, რომლებიც შეძრწუნებული იყვნენ ბაღის განადგურების პერსპექტივით. გაჩაღდა დიდი საზოგადოებრივი კამპანია, რომელიც მოედო მთელ კანადასა და შეერთებულ შტატებს, ხოლო ბრიტანეთის კოლუმბიის ბუნებრივი გარემოს დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციამ თავის თავზე აიღო ვალდებულება, რომ გამოესყიდა ბაღი, თუკი დროს მისცემდნენ. არც ქალაქისა და შტატის ხელისუფლებამ დაიშურა ძალები, რომ ბაღის განადგურების პროცესი შეეჩერებინათ, თუმცა უცნობმა ბოროტ-

მოქმედებმა მაინც სცადეს ზოგიერთი ნარგავის დაზიანება. ამასობაში ნელ-ნელა ფულიც მოგროვდა – თითქმის ორ მილიონამდე კანადური დოლარი, რისი მეშვეობითაც ბაღი განადგურებას გადაურჩა, თუმცა კიდევ ერთ მილიონამდე დარჩა შესაგროვებელი აღებული სესხის დასაფარად.

ასეა თუ ისე, დღეს აფხაზების „ბაღი, რომელიც სიყვარულმა შექმნა" ისევ ისეთი მშვენიერი და მიმზიდველია, როგორიც აფხაზების სიცოცხლეში იყო და მნახველების უწყვეტ ნაკადსაც მასპინძლობს. აფხაზების სახელი კი, რომელიც კოტე აფხაზმა საქართველოში სამუდამოდ დაამკვიდრა, როგორც სამშობლოს ერთგულებისა და გმირობის სიმბოლო, მისმა შვილმა და რძალმა კანადაში სულ სხვაგვარად, თუმცა არანაკლებ შთამბეჭდავად დატოვეს.

ისიც უნდა აღინიშნოს, თეთრი შურით, რომ არანაკლებ შთამბეჭდავია კანადელების ზრუნვა თავის ბუნებასა თუ სხვა მემკვიდრეობაზე, მათი მზადყოფნა გაერთიანდნენ და იბრძოლონ კეთილშობილი მიზნების მისაღწევად. აფხაზების არა მარტო ბაღი ცოცხლობს და მშვენდება, კანადელმა მეცნიერებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ აფხაზების არქივში არსებული დოკუმენტები დაცულიყო ვიქტორიის უნივერსიტეტის საცავებში და ადვილად ხელმისაწვდომი გამხდარიყო დაინტერესებულ მკვლევართათვის, არქივის მნიშვნელოვანი ნაწილი ინტერნეტშიც არის განთავსებული.



**თუ ვინმეს გექნებათ შესაძლებლობა და მოხვდებით კანადის მშვენიერ ქალაქ ვიქტორიაში, ნუ დაიზარებთ და ეწვიეთ აფხაზების მშვენიერ ბაღს. აი, მისი მისამართიც:**

**Abkhazi Garden: 1964 Fairfield Rd., Victoria, BC, V8S 1H4; phone 250/598-8096,**
**E-mail abkhazi@conservancy.bc.ca**
**Web: http://www.abkhazigardens.com/**
**http://conservancy.bc.ca/featured-projects/abkhazi-garden/**





## შვეულად

**1.** სასწავლო საშუალება ინგლისში – ხის დაფა, რომელზეც მიწებებული იყო ცხოველის რქის თხელი, გამჭვირვალე ფენით დაფარული ნაწერი. **2.** ოფიციალური ფულის ერთეული აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. **3.** რუსი მხედართმთავარი, „თეთრგვარდიელი“ გენერალი. **5.** შექსპირის სახელგანთქმული პიესა, რომელიც ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. **6.** ქართველი სამხედრო მოღვაწე, გენერალი. 1918-1921 წლებში მან უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული არმიის ჩამოყალიბებაში. **7.** ძველი ბერძენი ფილოსოფოს პლატონის დიალოგი, რომელიც სიყვარულს მიეძღვნა. **8.** ფულადი ნიშანი, რომელიც მიმოქცევაშია და გარანტირებულია ცენტრალური (ეროვნული) ბანკის მიერ. **9.** ძველი ბერძენი დრამატურგი, კომედიის მამა. **10.** ქალაქი დღევანდელი თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც ოსმალეთმა დაიბრუნა საბჭოთა რუსეთისგან 1921 წელს. **11.** მხატვრული ნაწარმოების მოქმედი პირის ვრცელი სიტყვა, რომლითაც პერსონაჟი მიმართავს თავის თავს, სხვა მოქმედ პირებს ან მაყურებელს. **18.** საქართველოს ბინადარი ფრინველი, ე.წ. „დიდი კავკასიური ხუთეულის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი. **20.** სოფელი საქართველოს და თურქეთის საზღვარზე, სადაც მოქმედებს საბაჟო-გამშვები პუნქტი. **22.** ძველი ბერძენი მეცნიერი და ფილოსოფოსი, რომლის თეორიის მიხედვით, ფრინველები ზამთარს წყლის ფსკერზე ატარებდნენ. **24.** ისტორიულად სამხრეთ საქართველოს ტერიტორია, რომელიც 1918-21წწ.-ში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა, 1921წ. კი ყარსის ხელშეკრულების მიხედვით თურქეთის შემადგენლობაში მოექცა. **26.** მოქალაქე ან მეწარმე, რომელიც ცდილობს დააზღვიოს სავალუტო რისკები, ანუ გაცვლითი კურსის შესაძლო არასასურველ ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. **27.** პირი, რომელიც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის ემზადება. **29.** ქართველი მხედართმთავარი, გენერალი. **30.** სახელმწიფო მმართველობის ფორმა, როლის დროსაც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება მთლიანად ან ნაწილობრივ სახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველს ეკუთვნის. **31.** საქონლის, ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის საბირჟო ფასის დადგენა. **33.** სკანდალურად ცნობილი ბერი რუსეთში. **34.** მუსლიმი შიიტების წმინდა ქალაქი სამხრეთ ერაყში. **38.** შექსპირის ტრაგედიის მთავარი მოქმედი გმირი – მეფე. **40.** საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობაში მომხდარი ძირფესვიანი გადატრიალება, მოწინავე საზოგა-დოებრივი კლასის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების დაპყრობა. **43.** კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ძირითადად იძულებითი გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში XIX საუკუნეში. **46.** პოპულარული ფრინველი, რომლის ლათინური სახელია Phasianus Colchicus. **47.** გაბატონებული კლასი კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომლის ხელშიც არის სამუშაო იარაღი და საწარმოო საშუალებანი და რომელიც ეწევა დაქირავე-

ბული შრომის ექსპლუატაციას. **48.** კოლხური ქალაქი, რომლის სახელი ბერძნულად ღრმას ნიშნავს. **50.** ებრაული სალოცავი ადგილი. **55.** მუშკეტებით შეიარაღებული სამეფო გვარდიის მეომრები ირანში, რომლებიც ძირითადად გამუსლიმებული ქართველები და სხვა კავკასიელები იყვნენ. **56.** კახეთის წამებული დედოფალი. **57.** მდინარე დასავლეთ საქართველოში, რომელზეც 1918 წლის ხელშეკრულებით ოსმალეთისა და საქართველოს შორის საზღვარი გადიოდა. **58.** უილიამ შექსპირის ცნობილი ტრაგედიის მთავარი მოქმედი პირი. **60.** სხვაობა ვალუტის შესყიდვისა და გაყიდვის კურსებს შორის. **62.** ფასიანი ქაღალდების, ქაღალდის ფულის გამოშვება. **64.** ქვეყანა ევროპაში, რომელიც 1915 წელს სამთა კავშირიდან გავიდა და ანტანტას მიემხრო. **65.** სომხეთის ეროვნული ვალუტა.

## თარაზულად

**3.** ვალუტის ფორვარდულ კურსსა და ვალუტის სპოტ კურსს შორის სხვაობა. **4.** სამხრეთი კავკასიის სახელწოდება საბჭოთა ეპოქაში. 12. „სამთა შეთანხმება" – სამხედრო კავშირი ინგლისს, საფრანგეთსა და მეფის რუსეთს შორის. **13.** პროვინცია ირანში, სადაც შაჰ აბასმა ათასობით ქართველი გადაასახლა. **14.** მხატვრულ ნაწარმოებში განვითარებული მოქმედების, ამბების თანამიმდევრული გამოხატვა. **15.** ნაღვლიანი განწყობილება, სევდა, კაეშანი. **16.** რუსეთის პრემიერ-მინისტრი მე-20 საუკუნის დასაწყისში, ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი. **17.** მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული თურქეთში. **19.**14-სტრიქონიანი ლექსი, რომელშიც გვაქვს ჯვარედინრითმებიანი სამი სტროფი და საერთო რითმით შეკრული ორსტრიქონიანი ფინალი. **21.** პირი, რომელიც ბუნებას სწავლობს, ბუნებისმეტყველი. **23.** ფასების საერთო დონის ზრდა, რის გამოც ფული უფასურდება, ანუ მისი ერთი ერთეულით უფრო ნაკლებიპროდუქტის ყიდვა ხდება შესაძლებელი. **25.** ცნობილი გერმანელი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი. **28.** ისტორიული სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც 1609 წელს ქართულმა ლაშქარმაგიორგი სააკაძის სარდლობით დაამარცხა ოსმალები. **29.** გერმანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი, ისტორიკოსი, პოლიტიკური თეორეტიკოსი, სოციოლოგი, კომუნისტი და რევოლუციონერი, რომლის იდეებსაც ეფუძნება თანამედროვე კომუნიზმი. **32.** თურქეთში და აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში მემამულე, ბატონი. **35.** კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება რაიმე წარმოებაში. **36.** თავგადასავლების, ფათერაკების მაძიებელი. **37.** ცხოველთა სამყარო. **39.** სახალხო მგოსანი ძველ კელტურ სამყაროში (ირლანდია, უელსი, შოტლანდია, გალია). **41.** გერმანელი მოგზაური, რომელმაც აღწერა საქართველოს ფლორა და ფაუნა და მცენარის რამდენიმე და ფრინველის ერთი ახალი სახეობა აღმოაჩინა. **42.** საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობა, რომლის მიზანია ქალთა უფლებების აღიარება და მათი გათანასწორება მამაკაცებთან ცხოვრების ყველა სფეროში. **44.** შეთანხმება მეომარ მხარეთა შორის საომარი მოქმედების შეწყვეტის და მშვიდობის დამყარების შესახებ. **45.** მდიდარი მუსლიმანის სახლში მისი ცოლებისათვის გამოყოფილი დაცული, დახურული სახლი, ბინა. **49.** ფრინველი, რომელიც ძირითადად ლეშითა და კუს ხორცით იკვებება. გვხვდება ზღაპრებში. **51.** სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება, რომელიც ხელმოწერილია ამ სახელმწიფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ. **52.** ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ავტორი რომანისა „ხმაური და მძვინვარება". **53.** ოსმალეთის პროვინცია ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში. **54.** შაჰის გვარდიის მეთაური, რომელიც, შაჰ აბასის დროს მიღებული წესის თანახმად, აუცილებლად ქართველი უნდა ყოფილიყო. **59.** დასავლეთ საქართველოს ძველი ქართული სახელწოდება. **61.** უილიამ შექსპირის პიესა, რომელზეც შეიქმნა ჯუზეპე ვერდის იმავე სახელწოდების ოპერა. **63.** საზოგადოებრივი წყობა, რომელიც ემყარება სოციალურ თანასწორობას და წარმოების საშუალებების საერთო საკუთრებაში არსებობას. **66.**1866 წელს ბათუმში აშენებული პირველი მეჩეთი. **67.** ხელმწიფის ტიტული ზოგიერთ მაჰმადიანურ ქვეყანაში. **68.** საქონლის, მომსახურების, სამუშაოს და სხვ. საზღვარგარეთიდან შემოტანა. **69.** ბოლშევიკების ლიდერის – ლევ ბრონშტეინის ფსევდონიმი. **70.** მე-20 საუკუნის ოციან წლებამდე ოსმალეთში (თურქეთში) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული,ვილაიეთის ნაწილი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

### შვეულად

**1.** იეროგლიფიკა **2.** ავიაცია **3.** უტოპია **4.** ჩერჩილი **6.** მეტერნიხი **7.** ამბიცია **8.** მონანიება **9.** ტაივანი **10.** ეგოისტი **11.** არისტოტელე **15.** იზოლაციონიზმი **16.** კომპასი **18.** კომუნიკაცია **21.** რატიფიკაცია **22.** რეჟისორი **23.** პროპაგანდა **25.** ემოცია **29.** ალტრუიზმი **32.** რიმლანდი **34.** ნეპოტიზმი **36.** რეპატრიაცია **37.** გულაგი **38.** ჰემატოგენი **41.** ქრისტინე **43.** ტრაქტატი **44.** სიანგანი **46.** მიმიკა **48.** სკიპტრა **50.** ცენზურა **51.** ფოლადი **52.** რეკლამა **56.** ფანკუ **60.** ჟესტი

### თარაზულად

**5.** პროლეტარიატი **6.** მესიანიზმი **9.** ტალეირანი **12.** მელიესი **13.** გეორგიევსკი **14.** ქართველიშვილი **16.** კონსტიტუცია **17.** ნაპოლეონი **19.** დაოიზმი **20.** კონფუცი **24.** ნაციონალიზაცია **27.** სიუჟეტი **29.** არქიეპისკოპოსი **30.** კოლიზეი **31.** ლუმიერი **33.** ინტონაცია **35.** ტომარა **37.** გლობალიზაცია **39.** რუსთაველი **40.** მეტყველება **42.** ილუზიონი **45.** კომუნიზმი **47.** სტალინი **49.** ანგარი **53.** ნეიტრალიტეტი **54.** გეოეკონომიკა **55.** ძიაკუვენი **57.** ლუდი **58.** პარიზი **59.** ავთანდილი **61.** ჰეგემონია **62.** კუბა **63.** სინ

1 1924 წლის აჯანყება საქართველოში

2

3 ლი კუან იუ

4 მარტონი ვართ თუ არა სამყაროში?

5

6

7

8

9

ჟურნალი დაფინანსებულია აშშ-ის საელჩოს მიერ.
გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს
და შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ის სახელმწიფო
დეპარტამენტის თვალსაზრისს.

RONDELI FOUNDATION

Georgian Foundation for Strategic and International Studies

